პალიტრა მედია

ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
23 მაისი ხუთშაბათი 2013
№119 (14 035) ფასი 80 თეთრი

## სრული ტრიუმფი




ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# დუბლი ათი წლის შემდეგ
# თასიც დინამოსია!

## გვექონდეს თქვენი იმედი ევროპაში?

**დინამო-ჩიხურა**

**3:1**

1:0 მერებაშვილი (59)
2:0 ხმალაძე (64)
3:0 ძარია (73)
3:1 ე. საჯაია (93)




2

დინამომ საქართველოს თასი მეათედ მოიგო

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები



ვალტერ მაცარი

## მაცარი ინტერში?

იტალიური მედიის ინფორმაციით, „ნაპოლიდან“ აზარგებული მწვრთნელი **ვალტერ მაცარი** მილანის „ინტერში“ ინიშნება. ჩვენი იტალიელი კოლეგების ცნობით, 51 წლის მაცარი „ნერაძურისთან“ 2-წლიან კონტრაქტს გააფორმებს. საინფორმაციო სააგენტო ANSA წუხელ იტყობინებოდა, ნაშუადღევს **ანდრეა სტრამაჩონიმ** „ინტერი“ აღარ ავარჯიშაო. მილანური გრანდის ბოსმა **მასიმო მორატიმ** „გაძეტა დელო სპორტს“ უთხრა, მაცარის ხელი არაფერზე მოუწერიაო, **რობერტო მანჩინის** შესაძლო დანიშვნაზე კომენტარის გაკეთება კი არ ისურვა.

გოტფრიდ ლენცი

## გიოტცე ფინალს გამოტოვებს!

### დორტმუნდისთვის, შესაძლოა, ასე ჯობდეს...

მარიო გიოტცე ჩემპიონთა ლიგის ფინალს გამოტოვებს - ეს ინფორმაცია დორტმუნდის „ბორუსიას“ სამედიცინო შტაბმა გუშინ ოფიციალურად დაადასტურა. ამრიგად, 20 წლის შემტევი ნახევარმცველი მშობლიურ კლუბს უკანასკნელი მატჩის გარეშე გამოეთხოვება - როგორც იცით, „გიოტცინიო“ მიუნხენის „ბაიერნში“ გადადის. სწორედ ამიტომ ფიქრობენ „დორტმუნდის“ ქომაგები, რომ ზეგ, „უემბლიზე“, მარიოს არყოფნა „ბორუსიასთვის“, შესაძლოა, კარგიც იყოს...

გოტფრიდ ლენცი



მიუნხენისკენ გეზაღებული და დორტმუნდის ფანების მიერ გალანძღული მარიო გიოტცე ჩემპიონთა ლიგის ფინალში მომავალი გუნდის წინააღმდეგ არ ითამაშებს

## მალაგა შეიწყალეს!

9

## საNIKEიძე

### გამარჯვების შემოქმედი ვიქტორი

იტალიის ჩემიონატის მეოთხედფინალში „მონტეპასკისა“ და „მილანს“ 6 შეხვედრა ჰქონდათ ჩატარებული და ანგარიში საყაიმო იყო - 3:3. ყველა მატჩი მასპინძლებს ჰქონდათ მოგებული, თუმცა ჩვენდა სასიხარულოდ მილანში გამართული გადამწყვეტი, მეშვიდე თამაში სტუმრებმა, სიენელებმა მოიგეს - 90:80.



ვიქტორ სანიკიძე

ნახევარფინალში გასვლა დიდწილად **ვიქტორ სანიკიძის** დამსახურებაა. თავად განსაჯეთ: პირველ ტაიმში მის ანგარიშზე 5 ქულა იყო. მესამე პერიოდში თამაშში მეოთხე წუთიდან ჩაერთო, ჯერ სამქულიანი ჩააგდო (57:47), რასაც კიდევ 5 ქულა მიაყოლა, ხოლო მეოთხე რაუნდის „გარიჟრაჟზე“, მისი ჩატენვის შემდეგ, „მონტეპასკი“ უკვე 70:57 დაწინაურდა. ეს ნაადრევ გამარჯვებას ნიშნავდა.

ვიქტორი ქულებით მხოლოდ თანაგუნდელ **დანიელ ჰაკეტს** (25) ჩამორჩა. ქართველის მონაგარი ასეთი იყო: 30 წუთი, 17 ქულა (5/4 ორქულიანი, 3/2 სამიანი, 6/3 საჯარიმო), 6 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება.

მეოთხედფინალში „მონტეპასკი“ „ვარეზეს“ დაუპირისპირდება.

ვაჟა სიმონიშვილი

ქართველები უცხოეთში



მერაბ ჟორდანია (მარცხნივ) და შოთა არველაძე

# არველაძე ჟორდანიას შეხვდა

## შოთას ქასიმფაშასთვის ჰოლანდიელებიც სურს

ჰოლანდიურ მედიაში გაჩნდა ინფორმაცია - არნემის „ვიტესის" მწვრთნელობის ერთ-ერთი კანდიდატი **შოთა არველაძე** არისო.

სანდო წყარომ გვაცნობა, რომ ფლამანდიური მასმედიის ვარაუდები უსაფუძვლოა. ჰოლანდიურმა საიტებმა შოთა არველაძე „ვიტესის" მწვრთნელობის კანდიდატად იმიტომ დაასახელეს, რომ შოთა ამ დღეებში მართლაც იმყოფებოდა ჰოლანდიაში და შეხვდა კიდეც „ვიტესის" პრეზიდენტ **მერაბ ჟორდანიას.**

შოთა არველაძე ჰოლანდიაში დასასვენებლად არ ჩასულა. ჩვენებური მწვრთნელი თურქული „ქასიმფაშასთვის" ახალი ფეხბურთელების მოძიებას აპირებს და შესაძლოა, გუნდი ერთიორი ჰოლანდიელი ფეხბურთელითაც გააძლიეროს.

შევიტყვეთ, რომ შოთა თავის გუნდში ამსტერდამის „აიაქსისა" და ჰოლანდიის ნაკრების შემტევის, **რაიან ბაბელის** მიყვანას აპირებს. 26 წლის ბაბელი ის კაცია, ცენტრფორვარდობაც რომ შეუძლია და გარემარბობაც. ვნახოთ, როგორ დასრულდება მოლაპარაკება.

ტყუპისცალი არველაძე კი კვლავაც „ქასიმფაშას" თავკაცი იქნება.

**დავით თავართქილაძე**

22.05. თბილისი. მ. მესხი.
3 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| დინამო (თბ) | 3 |
| ჩიხურა | 0 |

1:0 მერებაშვილი (59,გრაიციარის პასით), 2:0 ხმალაძე (64,მერებაშვილის პასით), 3:0 ძარია (73, გრაიციარის პასით), 3:1 ე.საჯაია (90+3)

*ჩისკომ ვერ გაიტანა 11-მეტრიანი (14, მეკარე)*

| დინამო 4-4-2 | ჩიხურა 4-4-2 |
|---|---|
| ლორია | სომხიშვილი |
| სეთურიძე | კაშია |
| გ. კვარაცხელია | ლ.ჯელიძე |
| უსტარიცი | ე. საჯაია |
| გლიშიჩი | ჩიკვაიძე |
| ძარია | ლომაშვილი |
| ხმალაძე | დიღმელაშვილი |
| გრაიციარი | დ. ბოლქვაძე |
| მერებაშვილი | ნ. კვასხვაძე |
| ჩისკო | დეკანოიძე |
| დვალი | გოცირიძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| დ. უჰრინი | ს. ფრუიძე |

**დინამო**

89. მერებაშვილი - **მილხრაუში**
90. ჩიკსო - **პაპავა**
90+1. დვალი - **კოტო**

*სათადარიგო: ზარქუა, ტატანაშვილი, მენდი, გველესიანი*

**ჩიხურა**

61. დიღმელაშვილი - **კირკიტაძე**
70. დ.ბოლქვაძე - **ქიმაძე**

*სათადარიგო: მწყერაშვილი, ბერიანიძე, გუშარაშვილი, ძამსაშვილი, ზაბახიძე*

გაფრთხილება: შ.კაშია (14)მერებაშვილი (36), გოცირიძე (40), გრაიციარი (65)

გაძევება: უსტარიცი (76)

არბიტრი: ლ.სილაგავა

ტორპედო

# გიორგი პაპიაშვილი ტყუილია, ვისოლი ტორპედოდან არ მიდის!

ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები ბევრ კითხვის ნიშანსა და საფიქრალს აჩენს. "ზესტაფონის" პრეზიდენტმა ილია კოკაიამ გუნდი ქალაქის მუნიციპალიტეტს გადააბარა, გორის "დილას" პრობლემები ნაწილობრივ მოუგვარეს, მაგრამ არავინ უწყის, საბოლოოდ რა ბედი ელის. გაურკვევლობაა სახელმწიფო გუნდებში – დააფინანსებენ თუ არა პირველ ლიგაში გავარდნილ ბათუმის "დინამოს", ფოთის "კოლხეთს" ან ექნება თუ არა სათანადო ბიუჯეტი უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულ ლანჩხუთის "გურიას"? ფეხბურთზე გული აუცრუვდათ "ვიტ ჯორჯიასა" და მარტვილის "მერანის" მეპატრონეებსაც...

ქართველი გულშემატკივარი უმაღლესი ლიგის კლუბების პრობლემებით შეწუხებულია და აქციებს აპირებს. ეს პროტესტი განსაკუთრებით მას შემდეგ გამძაფრდა, რაც ფუტსალში უეფას „ოთხთა ფინალის" მონაწილის "იბერია ხტარის" მომავალიც სათუო გახდა.

ბოლო და ყველაზე მძაფრი რეაქცია კი ქუთაისის "ტორპედოში" განვითარებულმა მოვლენებმა გამოიწვია. აჟიოტაჟი არ ცხრება. ბოლო ჭორი ასეთია: კომპანია "ვისოლი" "ტორპედოს" პატრონობას აღარ აპირებს და გუნდიდან მთავარი მწვრთნელი გია გეგუჩაძეც მიდისო.

რა ხდება სინამდვილეში? მართლა აპირებს "ვისოლი" გუნდის მიტოვებას? ამის შესახებ ქუთაისური კლუბის აღმასრულებელ დირექტორს გიორგი პაპიაშვილს დავუკავშირდით.

**- ბევრმა უკვე მიიჩნია, რომ გუნდიდან წახვედით. რეალურად რა ხდება "ტორპედოში"?**

- ამ ხმებმა ჩემამდეც მოაღწიეს. თავიდან ყურადღებას არ ვაქცევდი, მაგრამ ახლა ისეთი აჟიოტაჟია ატეხილი, გაოცებული ვარ. მადლობა "ლელოს", ჭორმართალში გარკვევა რომ მოისურვა. გულშემატკივარი რომ არ ვანერვიულო, პირდაპირ გეტყვით, რომ ეს არის ჭორი და რეალობასთან არანაირი კავშირი არ გააჩნია.

**- შესაძლოა, ხმების გავრცელებას ხელი იმანაც შეუწყო, რომ შემადგენლობაში მოსალოდნელ საკადრო ცვლილებებზე ინფორმაცია დადასტურდა.**

- საკადრო ცვლილებები "ტორპედოშიც" ხდება და "რეალშიც", მაგრამ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გუნდიდან მივდივართ და მის დაშლას ვაპირებთ. ამაზე არც გვიფიქრია. საერთოდ, რატომ ჩათვალეს, რომ გაახალგაზრდავება დაშლის ტოლფასი იქნებოდა?!

**- ალბათ იმიტომ, რომ გამოცდილი მოთამაშეების გაშვებაზე გავრცელდა ხმები, ასე კი გუნდი დასუსტდება.**

- ჯერ ერთი, ჩვენ ყველა გამოცდილი ფეხბურთელის გაშვებას არ ვაპირებთ. მეორეც - გაცილებით ძლიერი გუნდის მშენებლობა გვსურს და არა "ტორპედოდან" მიტოვება.

**- ჯერ კიდევ ზამთარში ლაპარაკობდნენ ქუთაისში "ლუკოილის" მისვლაზე.**

- დამიჯერეთ, მსგავსი მოლაპარაკება



გიორგი პაპიაშვილი

ჩვენ არც "ლუკოილთან" გვქონია და არც სხვა კომპანიასთან. ეს სრული აბსურდია. რომელ წასვლაზეა ლაპარაკი, პირიქით, "ტორპედოს" გაძლიერება და ქუთაისელი გულშემატკივრების გახარება გვსურს. ამ ხალხმა დაიმსახურა, რომ უფრო ძლიერი და სოლიდური კლუბი ჰყავდეთ.

თუმცა, უფრო დეტალურად, ამაზე ჩვენი პრეზიდენტი ლევან ფხაკაძე ილაპარაკებს – ის ახლა უცხოეთშია, თბილისში მალე დაბრუნდება და იტყვის - სად და როგორ მოვემზადებით. ყველა დარწმუნდება - კი არ დავიშლებით, არამედ გავძლიერდებით. ბოლოს და ბოლოს, გუნდი ევროპის ლიგაზე გავიდა და უპასუხისმგებლო ხალხი არ ვართ, ასეთ დროს გუნდი მივატოვოთ.

**მერაბ მამულაშვილი**



საქართველოს თასი

ფინალი



მარცხნიდან: გიორგი სეთურიძე, გიორგი მერებაშვილი, კოტო, ლევან ხმალაძე

ოამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# ფეხმარჯვე ოსტატი

## მერებაშვილისთვის ტაში უჰრინმა დააკვრევინა

ის, რასაც ფეხბურთში მოულოდნელობას ეძახიან, არ მოხდა - ფინალი ფავორიტმა მოიგო.

„დინამო თბილისმა" სეზონი დუბლით დაასრულა, რაც სავსებით ლოგიკური გახლდათ - ეს გუნდი თითქმის ყველა პარამეტრით სხვებზე წინ იდგა.

მატჩისწინა პრესკონფერენციაზე „ჩიხურას" დამრიგებელი **სოსო ფრუიძე** ამბობდა - „დინამოს" შეტევაში კარგი შემსრულებლები ჰყავს და ამ გუნდის სიძლიერეს მეტწილად ეს განაპირობებსო.

ფრუიძის სიტყვები ფინალში ასი პროცენტით ასრულდა.

არ იყო სასიამოვნო, რომ დავით ყიფიანის სახელობის თასის ფინალს გუშინ ძალიან ცოტა მაყურებელი ჰყავდა. თუ არ ვცდები, აქამდე ასეთი ცუდი დასწრება საქართველოს თასის არც ერთ ფინალს არ ჰქონია. ამ ყველაფერს თავისი მიზეზები აქვს და ამაზე ბჭობა სხვა დროს იყო.

გუშინ „დინამოს" დღე იყო. პირველი ტაიმის დასაწყისშივე უპირატესობას **დუშან უჰრინის** გუნდი დაეუფლა. პირველი სახიფათო მომენტიც „დინამოსი" იყო - **ჩისკო** პირისპირ შეეყარა „ჩიხურას" მეკარე **გიორგი სომხიშვილს,** ორთაბრძოლის შემდეგ ბურთი **პეტერ გრაიციარს** მიუვიდა და „დინამო" ამ ყველაფრიდან მხოლოდ კუთხურს გამორჩა. კუთხიდან ჩაწოდებულ ბურთზე კი **ირაკლი ძარიას** შეეძლო გატანა, მაგრამ მიზანი ვერ გაისწორა.

„დინამოს" არც „ჩიხურა" დაურჩა ვალში - **დავით ბოლქვაძის** კარგი პასით **ნიკა კვასხვაძე** გაიჭრა მარჯვენა ფლანგზე, შევიდა მეტოქის საჯარიმოში, თუმცა ხეირიანი არც დარტყმა გამოუვიდა და არც ჩაწოდება.

„დინამოს" თავდასხმის ცენტრში ჩისკო და **ჯაბა დვალი** ჰყავდა, რომელთაც ფლანგებიდან გრაიციარი და **გიორგი მერებაშვილი** ეხმარებოდნენ. შეიძლება ითქვას, უმცროსმა უჰრინმა გახსნილი ფეხბურთი შესთავაზა მოწინააღმდეგეს.

მერებაშვილი მარცხენა ფლანგიდან უქმნიდა პრობლემას „ჩიხურას" დაცვას. მან მე-14 წუთზე **შოთა კაშიასთან** ორთაბრძოლაში 11-მეტრიანი მოიპოვა, ჩისკოს დარტყმა კი სომხიშვილმა კუთხურზე მოიგერია. სომხიშვილი ის მეკარეა, თუ თამაში წაუვიდა, შესაძლოა იმ შეხვედრაში ყველა ძნელი ბურთი აიღოს. წესითა და რიგით, გაცუდებული პენალტის შემდეგ „დინამოს" „ჩიხურას" დაჯაბნა უნდა გაძნელებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა.

გაფუჭებული 11-მეტრიანის შემდეგ „ჩიხურა" თითქოს თამაშის იშტაზე მოვიდა. ბოლქვაძემ ერთხელაც გაუჭრა პასი კვასხვაძეს, ვინც ამჯერად მარცხნიდან შეიჭრა საჯარიმოში, რამდენიმე მცველის გარემოცვაში იმდენი მოახერხა, რომ დასარტყმელ პოზიციაზე აღმოჩნდა, დაბალი ბურთი დაარტყა. რომელიც ძელიდან განზე წავიდა.

საგოლე შანსი ჰქონა **ვაჟა ლომაშვილსაც,** როცა **რევაზ გოცირიძემ** კორპუსით კარგად დააკავა მცველი, კარგადაც დაუგორა ბურთი თანაგუნდელს, ლომაშვილის დარტყმა კი **გიორგი ლორიამ** იოლად მოიგდო ხელებში.

ტაიმის ბოლოს საგოლე შესაძლებლობა უკვე „დინამომ" გაფლანგა - ესპანელმა ჩისკომ შორეულ ძელთან ჩააწოდა კუთხური და თანამემამულე **უსტარიცმა** მიზანს ააცილა.

■ ■ ■

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, ბოლქვაძემ შორიდან ძლიერად რომ დაურტყა ლორიას& „დინამოსა" და საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარემ ბურთი კი მოიგერია, მაგრამ ხიფათი ამით არ დასრულდა, კვასხვაძემ მცველი გააბითურა, მერე კი კარის გასწვრივ დააგორა - „ჩიხურა" ამ ხელსაყრელი სიტუაციიდან მხოლოდ კუთხური მიიღო.

მერე კი მერებაშვილის დროც დადგა. დინამოელმა გარემარბმა მარჯვენა ფლანგიდან გრაიციარის პასი მიიღო, ერთი მცველს თავგზა აუბნია და ძლიერი დარტყმით „ცხრიანში" გაუშვა ბურთი - 1:0.

შემდეგ მერებაშვილმა კუთხური მოიპოვა, ჩააწოდა და **ლევან ხმალაძემ** თავური დარტყმით გაზარდა „დინამოს" უპირატესობა.

გრაიციარმა ერთხელაც გაილაღა მარჯვენა ფლანგზე, კარის გასწვრივ გაგზავნა ბურთი და **ირაკლი ძარიამაც** ყველაფერი რიგიანად შეასრულა - 3:0.

შეხვედრის ამ მონაკვეთში „დინამო" კარგად გაპოხილ მანქანას ჰგავდა, თუმცა ყველაფრის იმპულსი და სულისჩამდგმელი მერებაშვილი გახლდათ.

სამი გაშვებული გოლის შემდეგ, „ჩიხურამ" თამაში გამოასწორა, რასაც უსტარიცის გაძევებამაც შეუწყო ხელი - **გიორგი ქიმაძის** პასით კვასხვაძე გადიოდა ხელსაყრელ პოზიციაზე, უსტარუიცთან ორთაბრძოლაში მსაჯმა მიიჩნია, რომ ესპანელმა ხელით ითამაშა და ბოლო იმედის ჯარიმისთვის გააძევა კიდეც.

კვასხვაძის ჯარიმა ლორიამ კუთხურზე მოიგერია, შემდეგ შოთა კაშიას შორეული, ჭკვიანურად დარტყმული ბურთი კარიდან ოდნავ გამოსულ ლორიას კი გადასცდა, მაგრამ ხარიხამ არ შეუშვა კარში, ედიკ საჯაიას შორეული დარტყმა დინამოელთა მეკარემ უკუაგდო...

„ჩიხურა" დიდი ანგარიშით წაგებას მაინც გადაურჩა - **დათო კირკიტაძის** ჩაწოდებულ კუთხურს „დინამოს" საჯარიმოში არეულობა მოჰყვა, საჯაიამ ბოლომდე იბრძოლა და ბურთი კარში გადაგზავნა.

მანამდე დვალს ჰქონდა გასატანი - სომხიშვილთან მარტო დარჩა, ორჯერ ცრუ მოძრაობა გააკეთა, მეტად მოხდენილად ცდილობდა გოლის გატანას და საგოლე შანსიც დაკარგა - ანგარიში უკვე 3:0 იყო და დვალს, ალბათ, ჰქონდა ამ ყველაფრის უფლება.

89-ე წუთზე უჰრინმა მერებაშვილი შეცვალა. ალბათ იმიტომ, რომ გულშემატკივარს ფინალის საუკეთესო ფეხბურთელისთვის ტაშის დაკვრის კიდევ ერთი შესაძლებლობა ჰქონოდა...

**მატჩის შემდეგ**

**სოსო ფრუიძე:** *„შეხვედრის შედეგზე გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ ინდივიდუალურმა, საშემსრულებლო ოსტატობამ იქონია. პირველ ტაიმში რამდენიმე საგოლე მომენტი შევქმენით და საშემსრულებლო ოსტატობა რომ გვქონოდა... გაიმარჯვა უძლიერესმა, თუმცა შესაძლებელი იყო, მატჩი სხვა შედეგითაც დასრულებულიყო".*

**დუშან უჰრინი:** *„პირველი ტაიმის შემდეგ აქცენტი იმაზე გავაკეთე, რომ მეტი კონცენტრაციით გავსულიყავით მოედანზე. ახლა, პირველ რიგში, არდადეგებზე ვფიქრობთ, დასვენება გვჭირდება, ჩემპიონობა და თასი მოვიგეთ, რითაც ბედნიერები ვართ. ამ გუნდის შენარჩუნებას ვაპირებ, დავიმატებთ ერთ ან მეტ ფეხბურთელს".*

**ჯაბა დვალი:** *„გახარებულები ვართ, კარგა ხანია, რაც „დინამოს' დუბლი არ ჰქონდა მოგებული. კარგად უნდა დავისვენოთ და მერე ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მოვემზადოთ".*

**დავით თავართქილაძე**



ჩისკომ პენალტი ვერ გაიტანა



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

კომენტარები

# ედიკ საჯაია ვაღიაროთ, დინამომ გვაჯობა

**გიორგი სეთურიძე,** "დინამო": *"დაწინაურება პირველი ტაიმშიც შეგვეძლო. მიმაჩნია, რომ დამსახურებულად გავიმარჯვეთ. თუმცა, სიმართლე გითხრათ, ამხელა უპირატესობას არ ველოდი".*

**გიორგი მერებაშვილი,** "დინამო": *"ვიცოდით, რომ რთული მატჩი გველოდებოდა და სერიოზულადაც განვეწყვეთ. მიხარია, ანგარიში რომ გავხსენი. იმ მომენტში რომც ამეცილებინა, თამაშის საკუთარ თავზე აღება მაინც სწორი გადაწყვეტილება იყო, რადგან პასის გაკეთებას აზრი არ ჰქონდა. კარგია, სეზონი ასე წარმატებული რომ გამოდგა და ყველა მნიშვნელოვანი პრიზი "დინამომ" მოიპოვა".*

**ირაკლი ძარია,** "დინამო": *"როდესაც "ზესტაფონი" ფინალში გავიდა, მაშინ სათადარიგოთა სკამზე ვიყავი. ასე რომ, დღეს თასისთვის პირველად ვიბრძოდი. სასიხარულოა, "დინამოს" წარმატებაში ჩემი პატარა წვლილი რომ შევიტანე და ჩემპიონობის შემდეგ, თასის აწევაც მოვახერხე".*

**ჩისკო,** "დინამო": *"ლამაზი სეზონი ლამაზადვე დავასრულეთ. "ჩიხურა" ძლიერი გუნდია და დიდი წინააღმდეგობაც გაგვიწია. პენალტის გამოუყენებლობაზე გული მწყდება, მაგრამ მთავარია, რომ თასს ჩვენ დავეუფლეთ".*

**გიორგი ლორია,** "დინამო": *"მეორე ეტაპზე საჩხერელებს ორჯერ მოვუგეთ და სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, "ჩიხურა" ასეთ წინააღმდეგობას თუ გაგვიწევდა. მაგრამ საკმაოდ ბევრი პრობლემა შეგვიქმნეს. თამაში განსაკუთრებით გაფუჭებულმა პენალტმა გაართულა. მაგრამ მეორე ტაიმში მობილიზებულად დავიწყეთ და ამან თავისი შედეგი მოიტანა".*

**გიორგი სომხიშვილი,** "ჩიხურა": *"კარგად არც მახსოვს, პენალტი როგორ მოვიგერიე. კუთხე ნამდვილად არ ჩამიფიქრებია. მანამდე "დინამო" უპირატესობას ფლობდა და მეგონა, ამის შემდეგ თამაშში გარდატეხის შეტანას მოვახერხებდით. მადლობა ჩვენს გულშემატკივარს, ბოლომდე რომ გვამხნევებდა. მაგრამ მეტოქემ გვაჯობა და მათ დამსახურებულ გამარჯვებას ვულოცავ".*

**ედიკ საჯაია,** "ჩიხურა": *"მგონია, რომ პირველმა გოლმა ფსიქოლოგიურად გაგვტეხა. დაძაბულები ნამდვილად არ ვყოფილვართ, მაგრამ თამაშიც არ წაგვივიდა და უნდა ვაღიარო, რომ ჩვენზე ძლიერ მეტოქესთან დავმარცხდით - ფაქტია, რომ "დინამოს" სეზონში ერთი შეხვედრაც ვერ მოვუგეთ".*

**რევაზ გოცირიძე,** "ჩიხურა": *"მეტოქის შიშზე ლაპარაკი უადგილოა. მაგრამ "დინამო" ჩვენზე კარგად მომზადებული, გაცილებით მდიდარი და უკეთესი პირობების მქონე გუნდია. გამომდინარე აქედან, უკეთ დაკომპლექტებულიც არის და ეს უპირატესობა დღეს გამოჩნდა. თუმცა, მაინც მგონია, რომ მოგების შანსი გვქონდა და ვერ გამოვიყენეთ. ისღა დამრჩენია, "დინამოს" წლევანდელი წარმატება მივულოცო".*

**დავით ბოლქვაძე,** "ჩიხურა": *"მეტოქემ მეორე ტაიმში გვაჯობა. გადამწყვეტი მერებაშვილის გოლი იყო. არადა, შანსები ჩვენც გვქონდა და რომ გამოგვეყენებინა, მოგებაც შეგვეძლო. როდესაც სომხიშვილმა პენალტი აილო, ფსიქოლოგიური უპირატესობის მოპოვება შეგვეძლო და ესეც ვერ გამოვიყენეთ. მოსაგებად არაფერი დავიშურეთ, მაგრამ არაფერი გამოვიდა".*

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები



გურამ კაშია

# ნაწილმა დაასრულა, ნაწილს მალე შევაფასებთ

**ევროპის ქვეყნებში სეზონი დასასრულს უახლოვდება. ბევრგან ჩემპიონატი უკვე დამთავრდა და ქართველი ლეგიონერების ნაწილსაც შვებულება დაეწყო. სეზონის დასრულების შემდეგ, საზღვარგარეთ მოასპარეზე ჩვენი ფეხბურთელების მონაგარის შესახებ უფრო ვრცლად ვისაუბრებთ, ახლა კი იმ მოთამაშეთა მაჩვენებლებს გადავხედოთ, რომელთა კლუბებმაც ყველა ტურნირი უკვე მოილიეს. ბუნებრივია, ჩვენს მიმოხილვაში ყველა ლეგიონერი ვერ მოხვდა.**

**გურამ კაშია**
**(ვიტესი, ჰოლანდია)**
25 წლის. 33 მატჩი, 2 გოლი

**კაშია** გასული სეზონის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ქართველი ლეგიონერია. გურამი "ვიტესის" კაპიტანი და ერთ-ერთი ლიდერია და დიდი წვლილი შეიტანა იმაში, რომ მომავალ სეზონში არნემული კლუბი ევროპის ლიგაზე იასპარეზებს. ქართველმა მცველმა ძლიერი ევროპული კლუბების ყურადღებაც დაიმსახურა და გამორიცხული არ არის, ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში ადგილსამყოფელი შეიცვალოს.

"ვიტესმა" ჰოლანდიის ჩემპიონატი მეოთხე ადგილზე დაასრულა, მაგრამ ერთი პერიოდი ჩემპიონთა ლიგაზე მოხვედრის რეალური შანსიც ჰქონდა და ჩემპიონობის კანდიდატებს შორისაც კი მოიხსენიებდნენ.

**ვაკო ყაზაიშვილი**
**(ვიტესი, ჰოლანდია)**
20 წლის. 5 მატჩი

**ყაზაიშვილი** გასულ სეზონშიც იბრძოდა "ვიტესის" ძირითად შემადგენლობაში დასამკვიდრებლად და 18-კაციან განაცხადში ხშირად ხვდებოდა, მაგრამ ჯერჯერობით, კონკურენციის დაძლევას იშვიათად ახერხებდა. ასაკიდან გამომდინარე, ყაზაიშვილს ყველაფერი წინ აქვს და უნდა ვივარაუდოთ, რომ მომავალი სეზონიდან მას მეტ სათამაშო დროს დაუთმობენ.

**ზურაბ ხიზანიშვილი**
**(ქაისერი, თურქეთი)**
31 წლის. 29 მატჩი

**ხიზანიშვილი** "ქაისერის" უკანა ხაზის საკვანძო მოთამაშეა და კლუბმა მისი შენარჩუნების სურვილიც გამოთქვა. ქართველმა მცველმა სეზონი სტაბილურად, მაღალ დონეზე ჩაატარა და მხოლოდ რამდენიმე მატჩი გამოტოვა, ისიც ტრავმის გამო. "ქაისერიმ" თურქეთის სუპერლიგა მეხუთე საფეხურზე დაასრულა, რაც ამ კლუბისთვის სერიოზული წარმატებაა.

აქვე შეგახსენებთ, რომ **შოთა არველაძის** მიერ გაწვრთნილმა "ქაშიმფაშამ" თურქეთის ჩემპიონატში მეექვსე ადგილი დაიკავა.

**ლევან კობიაშვილი**
**(ჰერტა, გერმანია)**
35 წლის. 11 მატჩი, 1 გოლი

**კობიაშვილის** ამბავი მართლაც გამორჩეულია – ვეტერანი ქართველი უნივერსალი მოედანს ნახევარწლიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ დაუბრუნდა და ამხელა პაუზისა და სოლიდური საფეხბურთო ასაკის მიუხედავად, "ჰერტას" სასტარტო შემადგენლობაში ადგილი მყარად დაიბრუნა.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მომავალ სეზონში იგი კვლავ პირველ ბუნდესლიგაში ითამაშებს – ბერლინურმა კლუბმა მეორე ბუნდესლიგის ჩემპიონობა დამაჯერებლად იზეიმა. კობის კვლავ გერმანული ფეხბურთის ელიტაში ვიხილავთ, რაც ქართული ლეგიონის ერთ-ერთი წამყვანი თემა იქნება.

**ალექსანდრე იაშვილი**
**(ბოხუმი, გერმანია)**
35 წლის. 28 მატჩი

"ბოხუმს" გასულ ზაფხულს მიაშურა და მართალია, საკმაოდ ხშირად ჩანდა გუნდის შემადგენლობაში, ჩემპიონატში გოლის გატანა ვერ შეძლო. ჯერჯერობით გაურკვეველია, როგორ გაგრძელდება **იაშვილისა** და კლუბის ურთიერთობა.

**ნიკოლოზ გელაშვილი**
**(ბოხუმი, გერმანია)**
27 წლის. 12 მატჩი, 1 გოლი

ისევე, როგორც წინა სეზონში, **გელაშვილმა** "ბოხუმის" მაისურით კვლავ ერთი გოლი გაიტანა და სეზონის უდიდესი ნაწილი ხან სათადარიგო იყო, ხანაც განაცხადს მიღმა რჩებოდა. "ბოხუმში" მისი მომავალი ბუნდოვანია. თავად კლუბი, შეგახსენებთ, ბეწვზე გადაურჩა მესამე ბუნდესლიგაში გავარდნას.

**დავით დევდარიანი**
**(ორჰუსი, დანია)**
25 წლის. 26 მატჩი, 4 გოლი

"ორჰუსის" ძირითად შემადგენლობაში სტაბილურად ხვდებოდა და გოლებიც გაიტანა. უთამაშებელი მხოლოდ სეზონის სტარტზე იყო, რაც ტრავმით გახლდათ გამოწვეული.

**დავით სხირტლაძე**
**(ორჰუსი, დანია)**
20 წლის. 20 მატჩი, 2 გოლი

**დევდარიანის** მსგავსად, გუნდისთვის ისიც მნიშვნელოვან ფეხბურთელად მოიაზრება. **სხირტლაძემ** ადრეულ ასაკში შეძლო არცთუ ძლიერი, მაგრამ ნორმალური ევროპული დონის კლუბში დამკვიდრება.

**მათე ვაწაძე (ორჰუსი, დანია)**
24 წლის. 13 მატჩი, 3 გოლი

"ორჰუსს" მას შემდეგ მიაშურა, რაც გორის "დილამ" დანიურ კლუბს ევროპის ლიგაზე სძლია და ამაში დიდი წვლილი **ვაწაძემ** შეიტანა. მათე უმალ გახდა "ორჰუსის" ერთ-ერთი წამყვანი თავდამსხმელი, მაგრამ მძიმე ტრავმის გამო სეზონი ნაადრევად დაასრულა.

» მე-4 გვერდზე

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი სამძიმარს უცხადებენ ვეტერან ფეხბურთელს ვასილ მიქაშავიძეს მამის გარდაცვალების გამო.**

*პანაშვიდი: 23, 24 V; მისამართი: ბახტრიონის, 13. გამოსვენება: 25. V საბურთალოს სასაფლაოს ამაღლების ეკლესიიდან 14 საათზე.*

XXIV ჩემპიონატი ციფრებში

# ყველგან ჩისკოს აჩრდილია...


ჩისკო

საქართველოს თასის ფინალიც ჩატარდა და 2012-13 წლების საფეხბურთო სეზონი ჩვენთან უკვე დასრულებულად შეგვიძლია გამოვაცხადოთ. „ლელო" არც ამჯერად ულალატებს ტრადიციას და უახლოეს ნომრებში XXIV ჩემპიონატის ნომინანტებს წარმოგიდგენთ: ჩვენი გაზეთის ვერსიით საუკეთესო ფეხბურთელს, საუკეთესო მწვრთნელს, საუკეთესო დებიუტანტს, სეზონის აღმოჩენას, ამპლუების მიხედვით საუკეთესოებს და ასე შემდეგ; რაღა თქმა უნდა, ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებსაც შევადგენთ, თანაც, ამ შემთხვევაში, როგორც ყოველთვის, „უმარტივესი პრინციპით" ვიხელმძღვანელებთ: სეზონის განმავლობაში ვინც ყველაზე მეტჯერ იყო მოხვედრილი „ტურის სიმბოლურ ნაკრებში", სწორედ ის ფეხბურთელები (ამპლუების მიხედვით) დაიმსახურებენ „ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში" დასახელებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2012-13 წლების საფეხბურთო სეზონის ნომინანტებს სულ მალე გაეცნობით, მანამდე კი ჩემპიონატში გატანილი ყველა გოლის, „დუბლისა" თუ „ჰეთ-თრიქის" ავტორი გვინდა წარგიდგინოთ. სხვათა შორის, პირველი ეტაპის დასრულების მერეც აღვნიშნავდით ამ სეზონის ერთ-ერთ სასიამოვნო ტენდენციას: წინა წლებთან შედარებით, XXIV ჩემპიონატში შედეგიანობამ აშკარად მოიმატა! თავად განსაჯეთ: არცთუ ცოტა იყო ისეთი შემთხვევები, როცა ამა თუ იმ ტურის მაჩვენებელი ერთ მატჩში საშუალოდ 3 გოლი ყოფილა! არც ის იყო უმნიშვნელო ფაქტი, რომ ასევე წინა წლებთან შედარებით, შესამჩნევად დაიკლო უგოლო მატჩთა რიცხვმა: ჩემპიონატში (ორივე ეტაპის ჯამში) 192 შეხვედრა ჩატარდა და აქედან მხოლოდ 20 დამთავრდა გულშემატკივართათვის ყველაზე არასასურველი ანგარიშით (ანუ, 0:0)...

...პირველი ეტაპის დამთავრების შემდეგ საუკეთესო ბომბარდირთა დავაში სამი ფეხბურთელი იყო დაწინაურებული: თბილისის „დინამოს" შემტევს **ჩისკოს** 17 გოლი ჰქონდა გატანილი, მის თანაგუნდელს **ჯაბა დვალს** - 16, „მერანის" თავდამსხმელს **საბა ლომიას** კი - 13. სიმართლე რომ ვთქვათ, არც ველოდით, რომ მეორე ეტაპის მატჩები ბომბარდირთა დავაში სერიოზულ კორექტივებს შეიტანდა და ასეც მოხდა: 32 წლის ჩისკომ 24 გოლით საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის წოდება მოიპოვა, 28 წლის ჯაბა დვალი 20 გოლით მეორე ადგილზე გავიდა, 22 წლის საბა ლომია კი 16 გოლით მესამე საფეხურზე დარჩა. ჩისკოსა და დვალის ასეთი შედეგიანი თამაში ვის უნდა გაჰკვირვებოდა, რასაც ვერ ვიტყვით საბა ლომიაზე: ამ სეზონამდე უმაღლეს ლიგაში 2 გოლი რომ ჰქონდა გატანილი და ახლა კი ასეთ პროგრესს მიაღწია.

... პირველ ეტაპზე 4 შემთხვევა იყო, როცა ამა თუ იმ ფეხბურთელმა კონკრეტულ მატჩში 3 გოლის გატანა მოახერხა. სამწუხაროდ, მეორე და გადამწყვეტ ეტაპზე მხოლოდ და მხოლოდ ერთი „ჰეთ-თრიქი" ვნახეთ: საქართველოს ჩემპიონატში გარკვეული პაუზის მერე დაბრუნებულმა **კოკა მიკუჩაძემ** („სიონი") მარტვილის „მერანთან" შეხვედრაში 3 გოლი გაიტანა. სამაგიეროდ, გამორჩეულად თვალშისაცემი იყო „დუბლის" მატება: პირველ ეტაპზე 132 მატჩი ჩატარდა და 31 შემთხვევა დაფიქსირდა, როცა ამა თუ იმ ფეხბურთელმა კონკრეტულ მატჩში 2 გოლი გაიტანა. მეორე ეტაპზე კი 60 შეხვედრა გაიმართა და „დუბლიც" 21-ჯერ შესრულდა! აღსანიშნავია, რომ ამ „კატეგორიაშიც" ჩინებული მაჩვენებელი აქვს ჩისკოს: ჩემპიონატის მართლაც გამორჩეულმა ფეხბურთელმა ექვსჯერ შეძლო „დუბლის" შესრულება! ნურც **ბესიკ ჩიმაკაძეს** დავუკარგავთ გარჯას: 24 წლის ფორვარდმა ერთი „დუბლი" პირველ ეტაპზე შეასრულა, როცა „ვიტ ჯორჯიაში" თამაშობდა, სამი კი - მეორე ეტაპზე, ოღონდ, ამჯერად უკვე ბათუმის „დინამოს" ფეხბურთელმა. სხვათა შორის, ჩიმაკაძეს მართლაც „უნიკალური" შედეგით შეუძლია იამაყოს: „ვიტ ჯორჯიას" საუკეთესო ბომბარდირიც გახდა და ბათუმის „დინამოსიც"!

მთლიანობაში, ამ ჩემპიონატში დუბლი 35-მა ფეხბურთელმა შეასრულა და ზემოთნახსენები ჩისკოსა და ჩიმაკაძის გარდა კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი გვინდა ცალკე გამოვყოთ. უპირველეს ყოვლისა, ამპლუით... მცველებს ვგულისხმობთ: 32 წლის **დავით ოდიკაძეს**, 24 წლის **გულვერდ თომაშვილსა** და 21 წლის **ლაშა შერგელაშვილს**.

დაბოლოს, ერთ კონკრეტულ ფეხბურთელზეც: ერთ-ერთმა ყველაზე ნიჭიერმა ქართველმა ფორვარდმა **ბაჩანა არაბულმა** გორის „დილას" შემადგენლობაში ოთხი არასრული მატჩი ჩაატარა და ...5 გოლი გაიტანა! ეგ კი არა, 19 წლის არაბულმა ორჯერ „დუბლის" შესრულებაც შეძლო!..

**გია ტუხაშვილი**

### XXIV ჩემპიონატის ყველა გოლი

**დინამო (თბილისი) - 88**

ჩისკო - 24, ჯაბა დვალი - 20, მიკელ ალვარო - 14, ლევან ხმალაძე - 9, გიორგი მერებაშვილი - 7, პეტერ გრაიციარი - 4, გივი კვარაცხელია - 3, კარლეს კოტო - 1, უსტარიცი - 1, გიორგი გველესიანი - 1, არჩილ ტვილდიანი - 1, რობერტინიო - 1, ვლადიმერ ვოსკობოინიკოვი - 1, ალექსანდრე ინწკირველი („მეტალურგი", - საკუთარ კარში).

**დილა - 60**

ირაკლი მოდებაძე - 11, ნათან ჟუნიორი - 7, ბაჩანა არაბული - 5, რომან ახალკაცი - 4, ლაშა გვალია - 3, გულვერდ თომაშვილი - 3, გიორგი კახელიშვილი -3, გიორგი ონიანი - 3, გოგიტა გოგუა - 2, მათე ვაწაძე - 2, მიხაილ გორელიშვილი - 2, დავით კვირკველია - 2, ირაკლი კლიმიაშვილი - 2, სანდრო გურული - 2, კახა ალადაშვილი - 1, ლაშა სალუქვაძე - 1, გიგა ბეჭვაია - 1, ზურაბ არზიანი - 1, გიორგი ილურიძე - 1, ლეონარდო - 1, გიორგი აბურჯანია - 1, ვალერიან კაციტაძე - 1, გია ჩადუნელი („კოლხეთი" - საკუთარ კარში)

**ტორპედო - 57**

ნიკა საბანაძე -10, გიორგი ბერიაშვილი - 9, გიორგი კუხიანიძე - 7, ელგუჯა გრიგალაშვილი - 6, გრიგოლ დოლიძე - 5, გიორგი დათუნაიშვილი - 4, ბექა ტუღუში - 4, გიორგი ფანცულაია - 3, ნიკა ფირცხალავა - 2, ლაშა შერგელაშვილი - 2, მერაბ გიგაური - 1, ვალერი ბოლქვაძე - 1, ზაზა ჭელიძე - 1, ალექსანდრე კვახაძე - 1, მამია გავაშელიშვილი - 1


ბაჩანა არაბული

**ჩიხურა - 49**

დავით ოდიკაძე - 8, დავით კირკიტაძე -7, ნიკა კვასხვაძე - 7, ბესიკ დეკანოიძე - 6, რევაზ გოცირიძე - 4, გაგა ჩხეტიანი - 3, თეიმურაზ შარაშენიძე - 2, ედიკ საჯაია - 2, ლაშა ჩიკვაიძე - 2, ლევან ბაკურაძე - 1, ვაჟა ლომაშვილი - 1, დავით დილმელაშვილი -1, ნიკა გუშარაშვილი - 1, ჯაბა ბერიანიძე - 1, გიორგი რეხვიაშვილი - 1, ლაშა კასრაძე („ვიტ ჯორჯია" - საკუთარ კარში), გივი ქარქუზაშვილი („მერანი", - საკუთარ კარში)

**ზესტაფონი - 35**

თორნიკე გორგიაშვილი - 7, რატი წინამძღვრიშვილი - 4, ლევან შარიქაძე - 3, შოთა ბაბუნაშვილი - 3, ბოტი გოა - 3, ალექსი ბენაშვილი - 2, მიხეილ სარდალიშვილი - 2, ზურაბ მენთეშაშვილი - 2, თორნიკე აფციაური - 1, თეიმურაზ ლონლაძე - 1, პატრიკ მილხრაუმი - 1, თედო გრიგალაშვილი - 1, თორნიკე გრიგალაშვილი - 1, იგორ იელიჩი - 1, გიორგი კაჭკაჭიშვილი - 1, ოთარ კვერნაძე - 1, ბერდია შარვაძე - 1

**დინამო (ბთ) - 39**

ბესიკ ჩიმაკაძე - 7, მიხეილ ჟორბენაძე - 6, ნიკა დიასამიძე - 4, ამირან მუჯირი - 3, თორნიკე ბერიძე - 3, სანდრო გურული - 3, ალექსანდრე ბაციკაძე - 2, ვაჟა ქორიძე - 2, ირაკლი ცნობილაძე - 2, გიგა ჟვანია - 2, ალექსანდრე კოშკაძე - 1, გელა გოგიტიძე - 1, კარენ მაკარიანი - 1, დათა სიჭინავა - 1, ივან ტიმჩიშინი - 1.

**ზუგდიდი - 31**

ირაკლი ქობალია - 7, გიორგი გაბედავა - 6, შოთა ლომია - 3, დავით გამეზარდაშვილი - 3, ზვიად სიხარულია - 3, ლევან კუტალია - 2, ალექსანდრე კოშკაძე - 1, დავით ბოლქვაძე - 1, დაჩი ფოფხაძე - 1, როინ ონიანი - 1, ირაკლი ეხვაია - 1, გიორგი ლაშქარავა - 1, ირაკლი კვეკვესკირი („დინამო", ბათუმი", - საკუთარ კარში)

**მერანი - 31**

საბა ლომია - 16, მამუკა ტორონჯაძე - 3, გიგა ამბროლაძე - 2, ვალერი იობაშვილი -2, ნოდარ ნოზაძე - 2, ლაშა კუჭუხიძე - 2, გიორგი რეხვიაშვილი - 1, გივი დიდავა - 1, პაპუნა ფონიავა - 1, გელა გოგიტიძე („დინამო", ბათუმი, - საკუთარ კარში)

**სიონი - 31**

რევაზ ჯიქია - 6, კოკა მიკუჩაძე - 4, დავით სვანიძე - 4, ლადო ახალაია - 3, გიორგი მანწკავა - 2, ვლადიმერ უგრეხელიძე - 2, ვილი ისიანი - 1, ირაკლი ლექვთაძე - 1, ირაკლი კლიმიაშვილი - 1, პაველ ჰაიდუჩეკი - 1, გიორგი ცხადაია - 1, ჯაბა უგულავა - 1, გიორგი ქუცურუა - 1, გიორგი ფეიქრიშვილი - 1, გიორგი ჭანკოტაძე - 1, გიორგი ჭედია - 1.

**მეტალურგი - 29**

ირაკლი სიხარულიძე - 8, დიმიტრი ტატანაშვილი - 7, ზვიად ლობჯანიძე - 3, გიორგი მიქაბერიძე - 2, რევაზ გეწაძე - 2, გოგა ფიფია - 2, რომან ახალკაცი - 1, დენის დობროვოლსკი - 1, გიორგი ქავთარაძე - 1, ანზორ სუხიაშვილი - 1, დავით ჯანელიძე - 1.

**ვიტ ჯორჯია - 25**

ბესიკ ჩიმაკაძე - 5, ელგუჯა ლობჯანიძე - 4, ლევან კუხალეიშვილი - 2, ლაშა გაბრიჭიძე - 2, ირაკლი ღიბრაძე - 2, გურამ ადამაძე - 2, გიორგი ჯანელიძე - 2, გიორგი ვასაძე - 2, გურამ გურეშიძე - 1, გიორგი კორიფაძე - 1, ჯემალ გოგიაშვილი - 1, ოთარ ჯავაშვილი - 1.

**კოლხეთი - 22**

შალვა კვანტალიანი - 5, პაველ დათუნაიშვილი - 3, პაატა ცხვიტარია - 2, გიორგი ბუხაიძე - 2, ომარ გოგონაია - 2, ილია პავლიაშვილი - 1, ჯემალ გაბუნია - 1, თემურ ფარულავა - 1, ზამირ ჯანაშია - 1, როსინი - 1, ალექსანდრე ქორჩილავა - 1, ნიკა სიჭინავა - 1, ალექსანდრე ინწკირველი („მეტალურგი", - საკუთარ კარში).

**ჰეთ-თრიქი**

**ჯაბა დვალი** - თბილისის „დინამო" - კოლხეთი" 5:0 (IV ტური)

**მიხეილ ჟორბენაძე** - ბათუმის „დინამო" - მერანი" 4:0 (VII ტური)


ბესიკ ჩიმაკაძე

**ჩისკო** - თბილისის „დინამო" - ჩიხურა" 5:2 (XVIII ტური)

**საბა ლომია** - „მერანი" - კოლხეთი" 4:0 (XX ტური)

**კოკა მიკუჩაძე** - „სიონი" - „მერანი" 3:1 (XXVII ტური)

**დუბლი**

ჩისკო (თბილისის „დინამო") - 6, ბესიკ ჩიმაკაძე („ვიტ ჯორჯია", ბათუმის „დინამო") - 4, ჯაბა დვალი (თბილისის „დინამო") - 3, საბა ლომია („მერანი") - 3, ნათან ჟუნიორი („დილა") - 3, ირაკლი მოდებაძე („დილა") - 2, ბაჩანა არაბული („დილა") - 2, გიორგი მერებაშვილი (თბილისის „დინამო") - 2, ლევან კუტალია („ზუგდიდი") - 1, მათე ვაწაძე („დილა") - 1, რევაზ გოცირიძე („ჩიხურა") - 1, რევაზ ჯიქია („სიონი") - 1, დავით ოდიკაძე („ჩიხურა") - 1, ლაშა შერგელაშვილი („ტორპედო") - 1, ირაკლი ქობალია („ზუგდიდი") - 1, რატი წინამძღვრიშვილი („ზესტაფონი") - 1, ნიკა საბანაძე („ტორპედო") - 1, მიკელ ალვარო (თბილისის „დინამო") - 1, გულვერდ თომაშვილი („დილა") - 1, გიორგი გაბედავა („ზუგდიდი") - 1, ელგუჯა გრიგალაშვილი („ტორპედო") - 1, თორნიკე ბერიძე (ბათუმის „დინამო") - 1, დავით კირკიტაძე („ჩიხურა") - 1, ირაკლი სიხარულიძე („მეტალურგი") - 1, ნიკა დიასამიძე (ბათუმის „დინამო") - 1, რომან ახალკაცი („დილა") - 1, დიმიტრი ტატანაშვილი („მეტალურგი") - 1, ბესიკ დეკანოიძე („ჩიხურა") - 1, გიორგი ბერიაშვილი („ვიტ ჯორჯია") - 1, ვლადიმერ უგრეხელიძე („სიონი") - 1, შალვა კვანტალიანი („კოლხეთი") - 1, გრიგოლ დოლიძე („ტორპედო") - 1, გიორგი ფანცულაია („ტორპედო") - 1, თორნიკე გორგიაშვილი („ზესტაფონი") - 1, პეტერ გრაიციარი (თბილისის - „დინამო") - 1.

**გოლები სხვადასხვა გუნდებში**

ბესიკ ჩიმაკაძე - 12 („ვიტ ჯორჯია" - 5, ბათუმის „დინამო" - 7)

რომან ახალკაცი - 5 („დილა" - 4, „მეტალურგი" - 1)

სანდრო გურული - 5 („დილა" - 2, ბათუმის „დინამო" - 3).

ირაკლი კლიმიაშვილი - 3 („დილა" - 2, „სიონი" - 1)

ალექსანდრე კოშკაძე - 2 („ზუგდიდი" - 1, ბათუმის „დინამო" - 1)

ლეგიონერები

# ნაწილმა დაასრულა, ნაწილს მალე შევაფასებთ

« მე-3 გვერდიდან

**ბაჩანა ცხადაძე**
**(ინტერი, აზერბაიჯანი)**
25 წლის. 29 მატჩი, 8 გოლი

**გიორგი ლომაია**
**(ინტერი, აზერბაიჯანი)**
33 წლის. 25 მატჩი

**რევაზ თევდორაძე**
**(ინტერი, აზერბაიჯანი)**
25 წლის. 6 მატჩი

**ვალერი აბრამიძე**
**(ინტერი, აზერბაიჯანი)**
33 წლის. 15 მატჩი

**ილია კანდელაკი**
**(ინტერი, აზერბაიჯანი)**
31 წლის. 25 მატჩი

**გიორგი ადამია**
**(ინტერი, აზერბაიჯანი)**
32 წლის. 5 მატჩი, 1 გოლი

ბაქოს "ინტერმა", რომელსაც **კახა ცხადაძე** წვრთნის, აზერბაიჯანის პრემიერლიგა მესამე ადგილზე დაასრულა და ევროპის ლიგის საგზური მოიპოვა. ქართველებიდან ყველაზე წარმატებული სეზონი **ბაჩანა ცხადაძეს** ჰქონდა, ხოლო **გიორგი ადამიას** მძიმე ტრავმამ არ მისცა შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება. ცნობილი გახდა, რომ მწვრთნელთან ერთად, ქართული ექვსეულიდან "ინტერში" მხოლოდ ლომაია და ცხადაძე-უმცროსი დარჩებიან.

ზაქათალის "სიმურგმა" **გიორგი ჩიხრაძის** ხელმძღვანელობით ჩემპიონატი მეოთხე პოზიციაზე დაასრულა და კლუბის მესვეურები ქართველ სპეციალისტს ხელშეკრულების გახანგრძლივებას სთავაზობენ.

**გიორგი ფოფხაძე**
**(ბაქი, აზერბაიჯანი)**
26 წლის. 20 მატჩი

იშვიათი გამონაკლისების გარდა, "ბაქის" ძირითადში მოხვედრა არ უჭირდა. **ფოფხაძის** გუნდი მეხუთე ადგილზე გავიდა და ევროთასებს მიღმა დარჩა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ამბები

# საფეხბურთო ფესტივალი 28 მაისიდან

## სომხები და აზერბაიჯანელები ერთად ითამაშებენ

ექვსი წლის წინ, თბილისის ფეხბურთის ფედერაციამ ნოდარ ახალკაცის სახელობის საფეხბურთო ფესტივალის ჩატარება გადაწყვიტა. გავიდა წლები და ფესტივალი კავკასიაში ყველაზე მასშტაბური და პოპულარული საფეხბურთო ტურნირი გახდა, რომელსაც სპონსორები არასოდეს აკლდა.

28 მაისიდან 2 ივნისამდე, თბილისის ფედერაცია საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დახმარებით ბავშვთა ფესტივალს მეექვსედ უმასპინძლებს.

ორი დღის წინ, ფესტივალის საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ლევან ყიფიანი** და ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი/ **აკაკი ლოდია** თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს **გრიგოლ ცაავასა** და ფედერაციის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

ყიფიანის თქმით, ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ თბილისისა და საქართველოს რეგიონების მოწინავე საფეხბურთო სკოლები, აგრეთვე, თურქეთის „ტრაბზონსპორი", აზერბაიჯანის „ნეფთჩი", სომხეთის „ალანჯა", ვლადიკავკაზის „ალანსკიე ბარსი" – სულ 62 გუნდი და 850-მდე მოზარდი.

აზერბაიჯანული და სომხური გუნდების ერთ ტურნირში მონაწილეობა მართლაც მოვლენაა, რადგან ისინი ერთად თამაშს კატეგორიულად უარობენ.

თამაშები საფეხბურთო კლუბების - „საბურთალოს", „ოლიმპისა" და „დინამოს" აკადემიის მოედნებზე ჩატარდება, ფინალური შეხვედრა კი - 2 ივნისს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დორტმუნდის ბორუსია

# ბორუსიას პრემიები და დანაკარგი


„დორტმუნდის“ დამრიგებელი იურგენ კლოპი ჩემპიონთა ლიგაში ტრიუმფის შემთხვევაში 300 ათას ევროს მიიღებს

„ბილდის“ ცნობით, „დორტმუნდი“ ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვების შემთხვევაში იმ ფეხბურთელებს, რომლებიც ფინალში განაცხადში მოხვდებიან, პრემიის სახით 150 ათას ევროს გადაუხდის. აღსანიშნავია, რომ მსგავსი პრემია კლუბს ჯერ ისტორიაში არასოდეს გაუღია. რურელთა მთავარი მწვრთნელი იურგენ კლოპი შეგირდებზე ორჯერ მეტს 300 ათასს მიიღებს. სწორედ ეს თანხა ჩაიწერა 2012 წელს კლოპის მიერ ხელმოწერილ ახალ ხელშეკრულებაში. ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში გერმანულმა გრანდმა 60 მილიონი ევრო მოიხვეჭა, რასაც გადამწყვეტი შეხვედრის შედეგის მიხედვით თანხა კიდევ დაემატება. შეგახსენებთ, რომ ფინალი „უემბლიზე“ 25 მაისს გაიმართება. „კლუბი აქამდე ჩვენთან ყოველთვის სამართლიანად არ იქცეოდა და ეს ალბათ მომავალშიც ასე გაგრძელდება, მაგრამ ამის მიუხედავად დორტმუნდში თასის ჩატანა ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ამოცანაა,“ - განაცხადა კაპიტანმა **სებასტიან კელმა**. რაც შეეხება „დორტმუნდის“ მეტოქეს: „ბაიერნმა“ „ბარსელონასთან“ 1/2-ფინალში გამარჯვებისთვის ფეხბურთელებს უკვე გადაუხადა 200 ათასი. რამდენს ჩამოვა **ული ჰიონესი** ჩემპიონთა ლიგის მეხუთედ მოგების შემთხვევაში ჩვენთვის უცნობია.

### ბორუსია პიშჩეკს კარგავს

„ვესტდოიჩე ალგემაინე ცაიტუნგის“ მტკიცებით, „დორტმუნდის“ 27 წლის პოლონელი მარჯვენა მცველი **ლუკაშ პიშჩეკი** 25 მაისის შემდეგ ბარძაყის კუნთზე ოპერაციას გაიკეთებს და გუნდს, მინიმუმ, ხუთი თვით ჩამოშორდება. ფეხბურთელმა ლონდონურ შეხვედრამდე ოპერაციაზე კატეგორიული უარი განაცხადა. ლუკაშს ბარძაყი 5 წლის წინ, „ჰერტაში“ თამაშის დროსაც აწუხებდა. 2008-ის ბოლოს ჩატარებული ოპერაციის შემდეგ მოედანს ის 6 თვის თავზე დაუბრუნდა. ჯერ კიდევ მიმდინარე სეზონში პოლონელმა 47 შეხვედრა ჩაატარა (46 ძირითადში) და 2 გოლის გარდა 12 საგოლე გადაცემა შეასრულა. ასე რომ, მისი გამოკლება „შავ-ყვითლებისთვის“ დიდი დანაკლისი იქნება.

ევერტონი

# ნევილი მოიესის ნაცვლად?


ფილ ნევილი „ევერტონის“ საკუთარ კანდიდატურას სთავაზობს

**ფილ ნევილს** „ევერტონთან“ ხელშეკრულება ივნისის ბოლოს ეწურება. კლუბს 36 წლის ფეხბურთელისთვის თანამშრომლობის გაგრძელება არ შეუთავაზებია, რადგან თავად ვეტერანს სურდა სხვაგან ძალების მოსინჯვა. ფილი ახალი კლუბის ძებნას რა ხანია შეუდგა, მაგრამ **დევიდ მოიესის** „მანჩესტერ იუნაიტედში“ დანიშვნის შემდეგ გადაწყვეტილება შეცვალა. „გარდიანის“ ცნობით, უმცროსი ნევილი მერსისაიდულ კლუბს მთავარ მწვრთნელად საკუთარ კანდიდატურას სთავაზობს: *„დიდი ხანია ვიცი, რომ მენეჯერად მინდა მუშაობა. რამდენიმე წელიწადია, ამ საქმისთვის ვემზადები და ვარჯიშების შემდეგ ჩანაწერებს ვაკეთებ. ყურადღებით ვაკვირდები რამდენიმე მწვრთნელის მუშაობასაც. ამ თემაზე ხშირად მილაპარაკია მოიესთანაც“.* „გარდიანის“ ჟურნალისტი ვარაუდობს, რომ „ევერტონი“ მას მოთამაშე-მწვრთნელის პოსტს შესთავაზებს. ორშაბათ საღამოს „სტოკ სიტიდან“ **ტონი პულისის** წასვლის შემდეგ „ინდეპენდენტმა“ ფილ ნევილს უელსელის მემკვიდრეობის ჩაბარების უმთავრესი პრეტენდენტი უწოდა.

„ევერტონის“ მომავალ მთავარ მწვრთნელთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაციას ავრცელებს პორტუგალიური A Bola. გამოცემის მტკიცებით, ლივერპულურმა კლუბმა „გუდისონ პარკზე“ მუშაობა ორი წლით „პორტუს“ დამრიგებელ **ვიტორ პერეირას** შესთავაზა და მხარეთა შორის წინასწარი შეთანხმება უკვე შედგა.

ვესტ ჰემი

# კეროლი 15 მილიონად


ენდი კეროლი

სპორტული ვებგვერდების ინფორმაციით, „ვესტ ჰემი“ ახლოს დგას „ლივერპულიდან“ **ენდი კეროლის** შეძენასთან. 24 წლის თავდამსხმელი „ჩაქუჩებს“ 12-დან 15 მილიონ ფუნტამდე დაუჯდებათ. 12-ს დედაქალაქელები პირდაპირ გადაიხდიან, 3-ს კი იმის მიხედვით, რამდენად წარმატებულად წარიმართება კეროლის კარიერა ძველ-ახალ კლუბში. აყლაყუდა ფეხბურთელმა სეზონი სწორედ „ენფილდზე“ დაიწყო, მაგრამ აგვისტოს ბოლოს იჯარის წესით ლონდონურ კლუბში გადავიდა. მართალია, მან „აპტონ პარკზე“ თამაში ცუდად დაიწყო, ახალ წლამდე მხოლოდ ერთი გოლი ჰქონდა გატანილი, მაგრამ მოყოლებული თებერვლის შუა რიცხვებიდან ენდიმ თამაშს უმატა და გოლების გარდა საგოლე გადაცემების კეთებაც დაიწყო. საბოლოო ჯამში მან 7-ჯერ გამოიჩინა თავი და 4 შედეგიანი პასი გააკეთა. **სემ ელერდაისის** თხოვნით, „ვესტ ჰემმა“ „ლივერპულთან“ სრულფასოვან ტრანსფერზე მოლაპარაკებები უკვე დაიწყო და როგორც ჩანს, საკითხს წერტილი მალე დაესმება. როგორც არ უნდა იყოს, „ლივერპული“ კეროლის ტრანსფერზე სერიოზულ ზარალზე მიდის, რადგან 2011 წლის იანვარში „ნიუკასლიდან“ მისი შეძენა „წითლებს“ 35 მილიონი ფუნტი დაუჯდათ.

კეროლზე აქვე ერთ ინფორმაციასაც მოგაწვდით: **როი ჰოჯსონმა** თავდამსხმელი გარკვეული პაუზის შემდეგ ეროვნულ გუნდში ხელახლა გამოიძახა, მაგრამ ის ქუსლზე შექმნილი პრობლემების გამო ასპარეზობას ვერ შეძლებს. მეტიც, მას ოპერაცია ელის და ფეხბურთს საუკეთესო შემთხვევაში აგვისტოს ბოლოსღა თუ დაუბრუნდება. ჰოჯსონის თქმით, ვესტჰემელის ნაცვლად შეკრებაზე ის არავის მიწვევას არ გეგმავს, რადგან მას გუნდში **ჯერმეინ დეფო, დენიელ სტარიჯი, უეინ რუნი** და **დენი უელბეკი** ჰყავს. კუნძულელებს რამდენიმე დღეში ირლანდიისა (29 მაისი) და ბრაზილიის (2 ივნისი) ეროვნულ ნაკრებებთან უწევთ დაპირისპირება.

დაუბრუნდეთ „ვესტ ჰემს“: კეროლის გარდა „ჩაქუჩებს“ კიდევ ერთი ძლიერი თავდამსხმელი სჭირდებათ. რამდენიმე დღის წინ „დეილი მეილი“ წერდა, რომ ლონდონელებმა თანაქალაქელ „ჩელსის“ 20 წლის **რომელუ ლუკაკუს** ერთწლიანი იჯარა შესთავაზეს. სამაგიეროდ „აპტონ პარკს“ დატოვებს და კარიერას სადმე სხვაგან გააგრძელებს 29 წლის შემტევი **კარლტონ კოული**. „ჩაქუჩებში“ ის 2006 წლიდან თამაშობდა და ამ ხნის განმავლობაში 250-ჯერ დაიცვა გუნდის ღირსება.

ამბები


ანდრეა რანოკია

### მოიესის პირველი იდეა

Football Italia-ს ცნობით, „მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარ მწვრთნელ **დევიდ მოიესს** (როგორ უცხოდ ჟღერს, არა?) „ინტერიდან“ **ანდრეა რანოკიას** შეძენა სურს. შოტლანდიელმა ეს იდეა უკვე შეაჯერა მენეჯმენტთან და უახლოეს დღეებში მიმართავს „ნერაძურის“ ოფიციალური წინადადებით. იტალიის ნაკრების ფეხბურთელის ყიდვა „იუნაიტედის“ გარდა „იუვენტუსსაც“ სურს. რანოკიას ტრანსფერი დაინტერესებულ კლუბებს 18 მილიონ ევრომდე დაუჯდებათ.

### ტერ შტეგენს ბარსაში სურს


მარკ-ანდრე ტერ შტეგენი

**ვიქტორ ვალდესი** „ბარსელონაში“ წლების განმავლობაში მიიჩნეოდა ერთ-ერთ ყველაზე სუსტ წერტილად. „კამპ ნოუდან“ მისი წასვლის საკითხი უკვე გადაწყვეტილია. შესაბამისად, კატალონიური გრანდი მის შემცვლელს ეძებს და თვალი მიონხენგლადბახის „ბორუსიისა“ და გერმანიის ნაკრების 21 წლის გოლკიპერ **მარკ-ანდრე ტერ შტეგენს** დაადგა. ახალგაზრდა ფეხბურთელით დაინტერესებას ინგლისური პრესა „არსენალსაც“ მიაწერს. როგორც ჩანს, „ბარსას“ ხათრით მან „მეთოფეებს“ უარი უთხრა. საკითხი უახლოეს დღეებში ვერ გადაწყდება. მიზეზი ობიექტურია: ტერ შტეგენი ეკვადორისა (29 მაისი) და აშშ-ის (2 ივნისი) ნაკრებებთან მატჩებისთვის **იოახიმ ლიოვმა** ბუნდესგუნდში გამოიძახა. ამას გარდა ბარსელონაში არ იმყოფება „ბლაუგრანას“ თავკაცი **ტიტო ვილანოვაც**. ის ექიმებთან კონსულტაციებისთვის ნიუ იორკში გაფრინდა. ტიტო საბოლოო გადაწყვეტილებას ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ მიიღებს. 2012/13-ის სეზონში მეკარემ „გლადბახის“ შემადგენლობაში 34-ვე თამაში ძირითადში ჩაატარა და მე-6 ტურში „დორტმუნდთან“ მატჩის გარდა ყველა სრულად ითამაშა.


ჰოლგერ ბადშტუბერი

### ბადშტუბერის 10 თვე

ის, რომ **ჰოლგერ ბადშტუბერმა** ჯვარედინი მყესების ტრავმა გაირთულა, „ბაიერნის“ ვებგვერდმა გულშემატკივარს 18 მაისს აცნობა. გერმანული პრესის ვარაუდით, 24 წლის ცენტრალურ მცველს რეაბილიტაციისთვის 6 თვე დასჭირდებოდა, მაგრამ აშშ-ში კოლორადოს ქალაქ ვაილში **რიჩარდ სტედმანის** მიერ ჩატარებულმა ოპერაციამ კიდევ უფრო მძიმე სურათი გვიჩვენა. sport1-ის ცნობით, გერმანელი ვარჯიშს 2014 წლის მარტამდე ვერ შეძლებს.

### კიდევ ერთხელ: სუარესი არ იყიდება!

სატრანსფერო ბაზრის ოფიციალურად გახსნამდე 8 დღე რჩება და ხმები პოპულარულ ფეხბურთელებზე უფრო და უფრო მატულობს. ერთ-ერთი, ვისზეც პრესა განუწყვეტლივ ნადირობს, „ლივერპულის“ 26 წლის ფორვარდი **ლუის სუარესია**. მართალია, ურუგვაელს მომდევნო სეზონის სტარტზე დისკვალიფიკაციის გამო 6 თამაშის გამოტოვება მოუწევს, მაგრამ მერსისაიდელთა მთავარი მწვრთნელი მის გაყიდვაზე არ ფიქრობს. *„ყველა ფეხბურთელს თავისი ფასი აქვს, მაგრამ ამის გამო „ლივერპული“ წნეხის ქვეშ არ მოქცეულა და სუარესის გაყიდვას არ ვგეგმავს. ჩვენ ბრძოლისუნარიანი გუნდის აშენებას ვგეგმავთ, სადაც ლუისს თავისი განსაკუთრებული როლი ექნება. ეჭვი არ მეპარება, რომ მის ტრანსფერთან დაკავშირებით ზაფხულზე წინადადებებს აუცილებლად მივიღებთ, რადგან მისი კალიბრის თავდამსხმელები მსოფლიოში თითებზე ჩამოსათვლელნი არიან. კლუბის მესაკუთრეებმა რამდენიმე დღის წინ კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ მასთან გამოთხოვებას არ აპირებენ,“* - განაცხადა **ბრენდან როჯერსმა**. სამხრეთამერიკელს „ლივერპულთან“ ხელშეკრულება 2018 წლის ივნისის ბოლომდე აკავშირებს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები



ჟოაო მოუტინიო და ჯეიმს როდრიგესი შესაძლოა „მონაკოში“ ამოჩნდნენ

## მოუტინიო და როდრიგესი „მონაკოში“?

ფრანგული და პორტუგალიური პრესის ცნობით, **ჟოაო მოუტინიოს** და **ჯეიმს როდრიგესის** შეძენა „მონაკოს“ სურს. საგრაფოს გუნდი, რომელმაც ლიგა 1-ის საგზური მოიპოვა, „პორტუს“ ფეხბურთელებში 70 მილიონი ევროს დახარჯვას აპირებს. გაზეთ „ო ჟოგოს“ ინფორმაციით, გუშინ, 26 წლის მოუტინიო და 21 წლის როდრიგესი, აგენტ **ჟორჟე მენდესთან** ერთად, ნიცასკენ გაემგზავრნენ, რათა „მონაკოს“ წარმომადგენლებთან მოლაპარაკებები პირადად გამართონ.

**კლაუდიო რანიერის** სამწყსომ ლიგა 2-ში 73 ქულა დააგროვა და უმაღლესი ლიგის საგზური ერთი ტურით ადრე გაინაღდა. „მონაკოში“ რამდენიმე ცნობილი და ასევე, საკმაოდ ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელი ისედაც თამაშობს, მაგრამ გუნდის ამბიციურ მფლობელ **დმიტრი რიბოლოვლევს**, მონტე კარლოში სუპერ-კლუბის ჩამოყალიბება სურს, რომელიც „პარი სენ ჟერმენს“ კონკურენციას პირველივე სეზონში გაუწევს.

შეგახსენებთ იმასაც, რომ მოუტინიო-როდრიგესის გარდა, „მონაკო“ არაერთი ფეხბურთელით არის დაინტერესებული, რომელთა შორისაც გამორჩეული, რა თქმა უნდა, **რადამელ ფალკაოა**.

## ჰოლანდიის შემადგენლობა

ჰოლანდიის ნაკრები ივნისში ორ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს და **ლუის ვან გაალმა** შეკრებაზე გამოძახებული ფეხბურთელები დაასახელა. აღსანიშნავია, რომ ნაკრებში კვლავ ვერ მოხვდა **გრეგორი ვან დერ ვილი** (პსჟ), ისევე როგორც რამდენიმე სხვა გამოცდილი თუ ახალგაზრდა ფეხბუთელი, რომელიც ბოლო პერიოდში ნაკრებში დამკვიდრდა; სამაგიეროდ, მოხვდა რამდენიმე დებიუტანტი: „აიაქსის“ ახალგაზრდა კიპერი **იასპერ სილესენი** (24 წლის), „სუონსის“ და „ფეიენოორდის“ მცველები **დუაიტ ტინდალი** (27) და **მიქელ ნელომი** (22); ნახევარმცველები **ლერინ დუარტე** (22 წლის, ჰერაკლესი) და **იენს ტოორნსტრა** (24 წლის, უტრეხტი).

„ორანიე“ 7 ივნისს ინდონეზიაში ითამაშებს, 11-ში კი ჩინეთს დაუპირისპირდება.

**მეკარეები:** იასპერ სილესენი (აიაქსი), კენეტ ვერმეერი (აიაქსი), მიხელ ვორმი (სოუნსი).

**მცველები:** ჯონ ჰეიტინგა (ევერტონი), დარილ იანმაატი (ფეიენოორდი), მიქელ ნელომი (ფეიენოორდი), ერიკ პიტერსი (პსვ), დუაიტ ტინდალი (სუონსი), რონ ვლაარი (ასტონ ვილა).

**ნახევარმცველები:** ლერინ დუარტე (ჰერაკლესი), ჯონათან დე გუზმანი (სუონსი), სიმ დე იონგი (აიაქსი), ვესლი სნეიდერი (გალათასარაი), იენს ტოორნსტრა (უტრეხტი), რაფაელ ვან დერ ვაარტი (ჰამბურგი).

**თავდამსხმელები:** დირკ კუიტი (ფენერბაჰჩე), ჯერმეინ ლენსი (პსვ), რობინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნაიტედი), არიენ რობენი (ბაიერნი), რუბენ შაკენი (ფეიენოორდი), რიკი ვან ვოლფსვინკელი (სპორტინგი/ მომავალი სეზონიდან: ნორვიჩი).

ტატო ბაციკაძე

კვირა ციფრებში

# ბომბარდირები და ტიტულების ჰეთთრიქი

**დღევანდელ სტატისტიკურ მიმოხილვაში რაფაელ ბენიტესის, ედინსონ კავანის, ზლატან იბრაჰიმოვიჩის, მიუნხენის „ბაიერნის“ და მოსკოვის ცსკა-ს მიღწევებზე ვისაუბრებთ...**

29 - გატანილი გოლით **ედინსონ კავანი** გახდა „ნაპოლის“ ისტორიაში მეორე ფეხბურთელი, ვინც სერია A-ს ბომბარდირის ტიტული მოიპოვა. პირველი იყო **დიეგო მარადონა**, თუმცა დიეგომ 1987/88 წლების სეზონში მხოლოდ 15 გოლი გაიტანა. სხვათა შორის, ამაზე ცოტა გატანილი ბურთით, იტალიის ჩემპიონატის ბომბარდირი არავინ გამხდარა. კავანი, მეორე მხრივ, ბოლო 7 წლის განმავლობაში ყველაზე შედეგიანი „კაპოკანონიერეა“. უკანასკნელად, ურუგვაელზე მეტი გოლი **ლუკა ტონიმ**, 2005/06 სეზონში გაიტანა - 31.

კავანისგან განსხვავებით, ანტირეკორდი დაამყარა მილანის „ინტერმა“, რომელმაც სეზონში მეშვიდე საშინაო მარცხი განიცადა. „ინტერნაციონალემ“ „უდინეზესთან“ 2:5 წააგო, ეს კი მილანური კლუბისთვის სეზონში მე-16 წაგებაა - ასეთი ცუდი შედეგი „ინტერს“ ბოლოს 65 წლის წინ ჰქონდა.

29 - გოლი გაიტანა **ზლატან იბრაჰიმოვიჩმაც** და საფრანგეთში გატარებულ პირველივე სეზონში, ლიგა 1-ის საუკეთესო სნაიპერი გახდა. **ჟან-პიერ პაპენის** მიერ, 1989/90 წლების სეზონში გატანილი 30 გოლის შემდეგ, საფრანგეთის ჩემპიონატში ამდენი გოლი არავის გაუტანია. შვედი ფეხბურთელი გახდა პირველი უცხოელი მოთამაშე ბოლო 31 წლის განმავლობაში, ვინც თავის გამოჩენა ამდენჯერ შეძლო - 1981/82 წლების სეზონში, არგენტინელმა **დელიო ონისმა** „ტურში“ საოცრად ითამაშა და 29 გოლი გაიტანა. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ „პარი სენ ჟერმენის“ ფეხბურთელებს, ბოლო 35 წლის განმავლობაში ასეთი რამ არ გაუკეთებიათ. უკანასკნელად, იბრაზე მეტი გოლი პსჟ-ს მაისურით არგენტინელმა **კარლოს ბიანკიმ** გაიტანა, ვინც 1977/78 წლების სეზონში მეტოქეთა კარი 37-ჯერ აილო.

18 - გაშვებული ბურთი ბუნდესლიგის ახალი რეკორდია. მიუნხენის „ბაიერნმა“ საკუთარი მიღწევა სამი გოლით გააუმჯობესა (2007/08 სეზონში „ბაიერნმა“ 21 გოლი გაუშვა). რეკორდი „რეკორდმაისტერმა“ იმ შეხვედრაში დაამყარა, რომელიც მიუნხენელთა დაცვისთვის ყველაზე ცუდი გამოდგა. „ბაიერნი“ ბოლო ტურში მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ დაუპირისპირდა და 4:3 მოუგო. ამ სეზონში, ერთ შეხვედრაში 3 გოლი, **იუპ ჰაინკესის** გუნდს (ბუნდესლიგაში) გაშვებული არ ჰქონდა. მატჩის დაწყებიდან 10 წუთის შემდეგ, „ბორუსია“ 3:1-ს იგებდა, მაგრამ მაინც დამარცხდა. აღსანიშნავია, რომ „ბაიერნმა“ 2008 წლის ოქტომბრის შემდეგ, პირველად შეძლო ბუნდესლიგაში ორბურთიანი დეფიციტის აღმოფხვრა და გამარჯვების მოპოვება.

გარდა ამისა, „რეკორდმაისტერმა“ ჩემპიონატი 98 გატანილი გოლით დაასრულა და რეკორდამდე, რომელიც, რა თქმა უნდა, „ბაიერნსვე“ ეკუთვნის, სულ 3 გოლი დააკლდა - 1971/72 წლების სეზონში მიუნხენელებმა 101 გოლი გაიტანეს.

5 - წლის განმავლობაში ვერ ახერხებდნენ დედაქალაქის გუნდები რუსეთის ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას. ეს სერია კვირას მოსკოვის ცსკა-მ დაასრულა. არმიელებმა კრასნოდარის „ყუბანთან“ 0:0 ითამაშეს და სანკტ-პეტერბურგის „ზენიტისთვის“, რომელმაც ბოლო 5 ჩემპიონატიდან 3 მოიგო, მიუწვდომელნი გახდნენ.

2007 წლამდე, მოსკოვურ გუნდებს, ერთის გარდა ყველა ჩემპიონატი ჰქონდათ მოგებული (1995 წელს „ალანიამ“ იმარჯვა). აი, 2008 წლიდან 2013-მდე, 3-ჯერ ჩემპიონის ტიტული „ზენიტმა“ მოიპოვა, ორჯერ კი ყაზანის „რუბინმა“.

ცსკა-მ ისტორიაში რუსეთის მეოთხე ტიტული მოიგო და ოდნავ შეამცირა სხვაობა „სპარტაკთან“, რომელიც 9-გზის ჩემპიონია და ამ მაჩვენებლით ერთპიროვნული ლიდერია.

3 - ევროტურნირი, სამ სხვადასხვა კლუბთან ერთად. **რაფაელ ბენიტესმა** ევროპული ტიტულები „ვალენსიასთან“, „ლივერპულთან“ და ახლა უკვე, „ჩელსისთან“ ერთად მოიგო. აქამდე, „უეფას ჰეთთრიქი“ სამ კლუბში მხოლოდ **უდო ლატეკს** ჰქონდა შესრულებული. გერმანელმა წარმატებით მიუნხენის „ბაიერნში“, მიონხენგლადბახის „ბორუსიასა“ და „ბარსელონაში“ იმუშავა.

„ბენფიკას“ დამარცხების შემდეგ, ჰეთთრიქი „ჩელსიმაც“ შეასრულა. ლონდონური კლუბი შეუერთდა „აიაქსს“, „ბაიერნს“, „იუვენტუსს“ და „ბარსელონას“ და გახდა ისტორიაში მეხუთე კლუბი, ვინც სამივე ევროტურნირის მოგება შეძლო. „ჩელსი“ ასევე გახდა პირველი კლუბი, ვინც ჩემპიონთა ლიგა და ევროპის ლიგა ზედიზედ მოიგო და ორივე ტურნირის მოქმედი გამარჯვებულის სტატუსი მიიღო, რომლითაც „არისტოკრატები“ 25 მაისამდე ისარგებლებენ.

კარგი კვირა ჰქონდა „ჩელსიდან“ იჯარით წასულ **რომელუ ლუკაკუსაც**. ახალგაზრდა ბელგიელმა ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა და „ვესტ ბრომვიჩს“ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ შეხვედრაში ქულა მოუტანა. მატჩი 5:5 დასრულდა - ასეთი შედეგი ინგლისის უმაღლეს დივიზიონში 1984 წლის შემდეგ არ დაფიქსირებულა. ლუკაკუ ამ შეხვედრაში ცვლილებაზე გამოვიდა და სამი გოლი გაიტანა. ის გახდა მესამე ფეხბურთელი, **დევიდ ბენტლის** და **დირკ კუიტის** შემდეგ, ვინც პრემიერლიგაში „იუნაიტედთან“ ჰეთთრიქი შეასრულა.

გარდა ამისა, ლუკაკუ გახდა მეხუთე ფეხბურთელი, რომელიც ცვლილებაზე გამოვიდა და სამი გოლი გაიტანა. სხვები არიან: **ემანუელ ადებაიორი**, **რობერტ ერნშოუ**, **ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი** და **ოლე გუნარ სოლსკიაერი**.



ედინსონ კავანიმ 29 გოლით დაასრულა სერია A

ტატო ბაციკაძე

ამბები



ლეონ ოსმანი

## ოსმანი დარჩა

ბრიტანული პრესის ინფორმაციით, „ევერტონის“ 32 წლის ცენტრალურმა ნახევარმცველმა **ლეონ ოსმანმა** ლივერპულურ კლუბთან ახალ 2-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. 2012/13-ის სეზონში ყველა ტურნირში ერთად მან 42 თამაში ჩაატარა და 8 გოლი გაიტანა. წინა ხელშეკრულება ფეხბურთელს მომდევნო წლის ზაფხულზე უმთავრდებოდა.

## ფულჰემი საქმეს შეუდგა

„ფულჰემმა“ ოფიციალურად დაადასტურა, რომ ბილბაოს „ატლეტიკის“ 28 წლის ცენტრალურმა მცველმა მასთან 4-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ვენესუელის ნაკრების ბასკი უკანახაზელი თავისუფალი აგენტი გახლდათ. იანვარში ინგლისური პრესა ამორებიეტათი „არსენალის“ დაინტერესებაზე წერდა, მაგრამ მას მერე **ლორან კოშელნის** ფორმაში შესვლის გამო ეტყობა ინტერესი გაქრა. ფერნანდოს გარდა უკვე გადაწყვეტილია, რომ „ქრევენ კოტეჯზე“ განაგრძობს კარიერას დნეპროპეტროვსკის „დნიპროს“ ყოფილი ფეხბურთელი **დერეკ ბოატენგი**. 30 წლის განელმა ლონდონელებთან 1+1 სისტემით გააფორმა ხელშეკრულება.

## ტაარაბტი დაჯარიმდა

„დეილი მეილზე“ ვკითხულობთ, რომ „ქუინზ პარკის“ მთავარმა მწვრთნელმა **ჰარი რედნაპმა** 23 წლის მაროკოელი **ადელ ტაარაბტი** დისციპლინის რეგულარული დარღვევის გამო 60 ათასი ფუნტით დააჯარიმა. დისციპლინის უგულებელყოფაში მათ შორის შედის არაერთგზის უარი ისეთ ელემენტარულ მოთხოვნაზე, როგორიც არის აწონვა. „რეინჯერებს“ იმედი აქვთ, რომ აფრიკელი გონს მოვა, ზედმეტ წონას მოიშორებს და „ლოფტუს როუდზე“ დარჩენას დათანხმდება.

## მოზესი ნაკრებზე უარს ამბობს

„ჩელსის“ 22 წლის გარემარბმა **ვიქტორ მოზესმა** გადაღლილობის გამო მაისსა და ივნისში დაგეგმილ სანაკრებო თამაშებში მონაწილეობაზე უარი თქვა. ნიგერიის ეროვნულ გუნდს მსოფლიოს 2014 წლის შესარჩევ ციკლში კენიასა და ნამიბიასთან უწევს დაპირისპირება, იქამდე კი 31 მაისს ჰიუსტონში მექსიკას უნდა გაეჯიბროს ამხანაგურ შეხვედრაში. **სტივენ კეშის** გუნდს შესარჩევ მატჩებში მეორე ჩელსელი **ჯონ ობი მიკელი** დაეხმარება, აი, მექსიკასთან კი არც ის ითამაშებს. ამჟამად მოზესიც და ობი მიკელიც „ჩელსისთან“ ერთად აშშ-ში იმყოფებიან.

ლევან ბიბილაშვილი



ვიქტორ მოზესი

სერია A. სეზონის შეჯამება. I ნაწილი (სტატისტიკა)

# ხილული ნეაპოლელები და უხილავი ტურინელი

სერია A-ს 2012/2013 წლების გათამაშება წარსულს ჩაბარდა და დადგა დრო, განვლილი ბატალიები შევაჯამოთ და გავაანალიზოთ. შეჯამების პირველი ნაწილი სტატისტიკას დავუთმოთ, რადგან ციფრები ყველაფერზე კარგად მეტყველებენ.

ტრიუმფატორი „იუვენტუსია", მაგრამ სტატისტიკიდანაც ნათლად ჩანს, რომ ტურინულ გრანდს კარგი გამტანი ფორვარდი აკლია. „ვეკია სენიორას" შემტევები პრაქტიკულად არც ერთ სიაში არ ფიგურირებენ და დიდად არც ნახევარმცველები არიან ავანგარდში. ბუნებრივია, აქა იქ, ანდრეა პირლო ჩანს, მაგრამ სხვები აშკარად ჩრდილში არიან - თუნდაც ნაქები არტურო ვიდალი და კლაუდიო მარკიზიო. მოკლედ, „იუვეს" ძლიერი მხარე გუნდურობაა და ეს პირველ რიგში, ანტონიო კონტეს დამსახურებაა. კონტეს ქვემოთ ვერსად შეხვდებით, მაგრამ ფაქტია, რომ ჩემპიონატის მთავარი გმირი სწორედ ის გახლავთ...

სხვადასხვა კატეგორიაში, წინა პლანზე „ნაპოლის" ფეხბურთელები არიან:



„იუვეს" წარმატების მთავარი შემოქმედი

ედინსონ კავანი ჩემპიონატის მთავარი ბომბარდირია და გოლს + პასის სისტემითაც არავის უთმობს პირველობას. ყველაზე მეტი საგოლე გადაცემაც ნეაპოლელის ანგარიშზეა - მარეკ ჰამშიკმა 14 ასისტი ჩაიწერა აქტივში. მოკლედ, ინდივიდუალურ დონეზე, სხვებზე მეტად სწორედ სამხრეთელებმა გაილაღეს. დანარჩენზე ქვემოთ...

## ინდივიდუალური სტატისტიკა

### ბომბარდირები

29 - ედინსონ კავანი (ნაპოლი); ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); 16 - სტეფან ელ შაარავი (მილანი), პაბლო ოსვალდო (რომა); 15 - ერიკ ლამელა (რომა), ჰერმან დენისი (ატალანტა), ჯამპაოლო პაცინი (მილანი), მიროსლავ კლოზე (ლაციო); 13 - ალბერტო ჯილარდინო (ბოლონია), გონსალო ბერგესიო (კატანია), სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა); 12 - ფრანჩესკო ტოტი (რომა), მარკო ბორიელო (ჯენოა), მარკო საუ (კალიარი), როდრიგო პალასიო (ინტერი).

### საგოლე პასები

14 - მარეკ ჰამშიკი (ნაპოლი); 12 - ფრანჩესკო ტოტი (რომა); 11 - ბორხა ვალერო (ფიორენტინა); 9 - ანტონიო კასანო (ინტერი); 8 - ადემ ლიაიჩი (ფიორენტინა), ალესიო ჩერჩი (ტორინო), ანდრეა კოსუ (კალიარი), არტურო ვიდალი (იუვენტუსი), ალეხანდრო გომესი (კატანია), ფაბრიციო მიკოლი (პალერმო); 7 - ალესანდრო დიამანტი (ბოლონია), ანდრეა პირლო (იუვენტუსი), ფრანჩესკო ლოდი (კატანია), გორან პანდევი (ნაპოლი), ლორენცო ინსინიე (ნაპოლი).

### გოლი + პასი

33 (29+4) - ედინსონ კავანი (ნაპოლი); 27 (23+4) - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); 25 (11+14) - მარეკ ჰამშიკი (ნაპოლი); 24 (12+12) - ფრანჩესკო ტოტი (რომა); 20 (15+5) - ერიკ ლამელა (რომა); 20 (16+4) - სტეფან ელ შაარავი (მილანი); 19 (11+8) - ადემ ლიაიჩი (ფიორენტინა); 19 (13+6) - გონსალო ბერგესიო (კატანია); 19 (15+4) - ჰერმან დენისი (ატალანტა).

### ყვითელი ბარათები

16 - დანიელე კონტი (კალიარი); 14 - ჰაიმე ვალდესი (პარმა); რაჯა ნაინგოლანი (კალიარი); 13 - დანიელე დესენა (კალიარი), დანიელე გასტალდელო (სამპდორია), დავიდ პისარო (ფიორენტინა), ჯუზეპე ბელუში (კატანია), ჟუან ჟესუსი (ინტერი); 12 - ალესანდრო ლუკარელი (პარმა), ლუკა რიგონი (კიევო), მაურიციო დომიცი (უდინეზე), პანაიოტის კონე (ბოლონია), ვალონ ბერამი (ნაპოლი).

### წითელი ბარათები

2 - ანდრეა კოსტა (სამპდორია), დანიელე გასტალდელო (სამპდორია), კარლოს კარმონა (ატალანტა), დანილო (უდინეზე), ტომას ერუ (უდინეზე), დავიდე ასტორი (კალიარი), ლუკა როსეტინი (კალიარი), ფელიპე (სიენა), ჯუზეპე ბიავა (ლაციო), კამილ გლიკი (ტორინო), კევინ პრინს ბოატენგი (მილანი), მასიმო ამბროზინი (მილანი), ვლადიმირ ვეისი (პესკარა).

### ჯარიმა

95 - გონსალო ბერგესიო (კატანია); 85 - ალბინ ეკდალი (კალიარი), პერპარიმ ჰეტემაი (კიევო); 84 - იური კუჩკა (ჯენოა); 82 - ვალონ ბერამი (ნაპოლი); 81 - ალესანდრო დიამანტი (ბოლონია); 79 - პანაიოტის კონე (ბოლონია); 71 - ერიკ ლამელა (რომა); 70 - როლანდო ბიანკი (ტორინო).

### ჯარიმის გამომუშავება

147 - ალესანდრო დიამანტი (ბოლონია); 111 - პაბლო ბარიენტოსი (კატანია); 108 - ცუან კუადრადო (ფიორენტინა); 107 - ფრანჩესკო ტოტი (რომა); 87 - დავიდ პისარო (ფიორენტინა); 83 - ალანი (უდინეზე); 81 - ანდრეა პოლი (სამპდორია), ვიქტორ იბარბო (კატანია).

### მეკარე (სეივი)

133 - ჯანლუკა პეგოლო (სიენა); 122 - მატია პერინი (პესკარა); 116 - ანდრეა კონსილი (ატალანტა); 115 - სამირ ჰანდანოვიჩი (ინტერი); 107 - სტეფანო სორენტინო (პალერმო); 104 - ანტონიო მირანტე (პარმა); 103 - მარიანო ანდუხარი (პარმა); 100 - სებასტიან ფრეი (ჯენოა).

### ზუსტი პასი

2517 - ანდრეა პირკლო (იუვენტუსი); 2198 - ბორხა ვალერო (ფიორენტინა); 2130 - რიკარდო მონტოლივო (მილანი); 2065 - მარეკ ჰამშიკი (ნაპოლი); 2015 - კრისტიან ლედესმა (ლაციო); 1935 - დანიელე კონტი (კალიარი); 1862 - ფრანჩესკო ტოტი (რომა); 1854 - ლეონარდო ბონუჩი (იუვენტუსი); 1835 - ლუკა ჩიგარინი (ატალანტა); 1829 - დავიდ პისარო (ფიორენტინა).

### დარტყმა (სულ)

156 - ედინსონ კავანი (ნაპოლი); 132 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე), ალესანდრო დიამანტი (ბოლონია); 124 - ფრანჩესკო ტოტი (რომა); 114 - სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა); 110 - ფაბრიციო მიკოლი (პალერმო), ფრედი გუარინი (ინტერი); 105 - ანტონიო კანდრევა (ლაციო); 104 - სტეფან ელ შაარავი (მილანი).

### კარში დარტყმა

70 - ედინსონ კავანი (ნაპოლი); 52 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); 48 - ფრანჩესკო ტოტი (რომა), სტეფან ელ შაარავი (მილანი); 46 - კარვალიო ამაური (პარმა); 43 - სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა); 42 - ერნანესი (ლაციო); 41 - მარკო ბორიელო (ჯენოა); 40 - მარიო ბალოტელი (მილანი), ფაბრიციო მიკოლი (პალერმო).

## გუნდური სტატისტიკა

საუკეთესო შედეგი საკუთარ მოედანზე

ნაპოლი (46 ქულა), იუვენტუსი (45), ფიორენტინა (43), ლაციო/მილანი (41), კატანია/უდინეზე (40).

უარესი შედეგი საკუთარ მოედანზე

პესკარა (13), ჯენოა/პალერმო (22), სიენა (23), ატალანტა/ტორინო (24).

საუკეთესო შედეგი სტუმრად

იუვენტუსი (42), ნაპოლი (32), მილანი (31), ფიორენტინა/რომა (27), უდინეზე/ინტერი (26).

უარესი შედეგი სტუმრად

პესკარა (9), პალერმო (10), სიენა (13).

საუკეთესო შეტევა

ნაპოლი (73 გოლი), ფიორენტინა (72), იუვენტუსი (71), რომა (68), მილანი (67), უდინეზე (59).

უარესი შეტევა

პესკარა (27), პალერმო (34), სიენა (36), კიევო (37), ჯენოა (38), ატალანტა (39).

საუკეთესო დაცვა

იუვენტუსი (24 გაშვებული ბურთი), ნაპოლი (36), მილანი (39), ლაციო (42), ფიორენტინა (44), უდინეზე (45).

უარესი დაცვა

პესკარა (84), ინტერი/სიენა (57), ატალანტა/რომა (56), კალიარი/ტორინო (55).

დარტყმა (სულ)

იუვენტუსი (699), მილანი (636), ფიორენტინა (618), რომა (617), ნაპოლი (579), ინტერი (552).

კარში დარტყმა

იუვენტუსი (258), მილანი (234), ნაპოლი (225), რომა (213), ფიორენტინა (206), ინტერი (185).

**ზუსტი პასი**

იუვენტუსი (19169), ფიორენტინა (18220), მილანი (18078), რომა (1748), ინტერი (16770), ნაპოლი (16292).

### სერიები

**მოგება:** იუვენტუსი (9 მატჩი)
**წაუგებლად:** მილანი (14)
**მოუგებლად:** პესკარა (19)
**წაგება:** პესკარა (8)
**გოლის გაუშვებლად:** იუვენტუსი (5)
**მშრალი სერია:** პესკარა, სიენა, პარმა (4)

რომა



ძველი ლოგო




ახალი ლოგო

# ტრადიციები და მომავალი

## რომამ ლოგო შეცვალა

„რომას" მესვეურებმა კლუბის ახალი ლოგო წარადგინეს, რომელიც მომდევნო სეზონიდან გუნდის მაისურს დაამშვენებს. ლოგო ძველისგან დიდად არ განსხვავდება, მაგრამ გარკვეული ცვლილებები მაინც შესულია. მაგალითად, კლუბის ინიციალები (ASR) სახელმა (ROMA) ჩაანაცვლა და ძუ მგელიც უფრო ვერცხლისფერია, ვიდრე უწინ. ამასთან, ლოგოზე კლუბის დაარსების თარილია დატანილი. კლუბის გენერალურმა დირექტორმა ამ თემაზე მოკლე კომენტარი გააკეთა:

*„ჩვენ პატივს ვცემთ კლუბის ისტორიას და ამიტომ, ლოგო-ტიპში ძირეული ცვლილებები არ მოგვიხდენია. თუმცა, შევიტანეთ შტრიხები, რომლებმაც ლოგოს ახალი სიცოცხლე შესძინეს. ახალი ლოგო კარგად ასახავს ტრადიციების მიმართ ჩვენს პატივისცემას და მომავლის ხედვას".*

ამბები

### ფიორენტინას პირველი შენაძენი



ალექსანდრ იაკოვენკო

იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მომდევნო სეზონიდან „ფიორენტინას" ღირსებას **ალექსანდრ იაკოვენკო** დაიცავს. უკრაინელი შემტევი 2005 წლიდან ბელგიის ჩემპიონატში ასპარეზობს და ყველაზე დიდი დრო „ანდერლეხტში" აქვს გატარებული. ბელგიური ფეხბურთის ფლაგმანთან 25 წლის შემტევს პირველ ივნისს ეწურება კონტრაქტი და „ფიორენტინაში" თავისუფალი აგენტის სტატუსით გადადის.

იაკოვენკოს ტრანსფერი ფლორენციული კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე დადასტურდა და იქვე ითქვა, რომ სულ მალე, ფეხბურთელთან ხანგრძლივვადიანი ხელშეკრულება გაფორმდება. თუმცა, კონტრაქტის დეტალები ჯერ არ ხმაურდება.

### ახალი კონტრაქტი ბონერას

როგორც „მილანის" ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, კლუბთან ხელშეკრულება 31 წლის მცველმა **დანიელე ბონერამ** გააგრძელა. იტალიურ სპორტულ პრესაში ჯერ კიდევ ზამთარს იწერებოდა, რომ ბონერა ბოლო სეზონს ატარებდა „როსონერიში", მაგრამ რეალობა სხვაგვარი გამოდგა. დანიელეს კლუბთან პირველ ივნისს უმთავრდებოდა კონტრაქტი და მისი გადაბირების სურვილი ერთბაშად რამდენიმე გუნდმა გამოთქვა - მათ შორის, „ნაპოლიმ", „იუვენტუსმა" და „რომამ". შესაძლოა, სწორედ ამად დააფასეს ფეხბურთელი „მილანის" მესვეურებმა და მას ახალი, 2-წლიანი კონტრაქტი შესთავაზეს.

ბონერა „გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტს ესაუბრა და დაადასტურა, რომ 2015 წლის ზაფხულამდე „მილანის" ღირსებას დაიცავს. მცველმა მადლობა გადაუხადა მწვრთნელ-მესვეურებს გამოცხადებული ნდობისთვის, გულშემატკივრებს კი მხარდაჭერისთვის.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**




დანიელე ბონერა

ლა ლიგა. ნომინაციები



ლეო მესი სეზონის საუკეთესო ფეხბურთელობას ალალად იმსახურებს

# GOAL.COM-ის რჩეულები

## ლეო მესიდან ხოსე კალეხონამდე

**მიუხედავად იმისა, რომ ლა ლიგის დასრულებამდე ორი ტური დარჩა და რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი ჯერაც გასარკვევია, დღეისათვის ყველაზე პოპულარულმა საფეხბურთო საიტმა მსოფლიოში Goal.com-მა ჩემპიონატის შეჯამება შემოგვთავაზა და დაასახელა ნომინანტები.**

**საუკეთესო გოლკიპერი**

### ვილი კაბალიერო (მალაგა)

31 წლის, 34 თამაში სეზონში

ამ სეზონში ესპანეთში ძალიან ბევრი ილაპარაკეს მეკარეებზე. განსაკუთრებით, ეს „სამეფო კლუბში" შექმნილ სიტუაციას ეხება, როცა **ჟოზე მოურინიომ** აითვალწუნა გუნდის კაპიტანი **იკერ კასილიასი** და მას ჯერ ახალგაზრდა **ანტონიო ადანი** არჩია, შემდეგ კი „სევილიადან" ნაყიდი **დიეგო ლოპესი**. „ბარსელონას" გოლკიპერმა **ვიქტორ ვალდესმა** ყველა გააოცა გუნდიდან წასვლის სურვილით. „ატლეტიკოს" ახალგაზრდა ბელგიელი კარის დარაჯი **ტიბო კურტუა** ბრწყინვალე იყო და მან თასის ფინალში გმირულად ითამაშა „რეალის" წინააღმდეგ.

მაგრამ „მალაგას" არგენტინელი გოლკიპერი ვილი კაბალიერო ნამდვილი სენსაცია იყო 2012/13 წლების სეზონში. ვილი ძალიან იშვიათად ცდებოდა და მსოფლიო დონის მეკარეთა კლასი გამოავლინა.

**საუკეთესო მცველი**

### სერხიო რამოსი (რეალი)

27 წლის, 26 თამაში, 4 გოლი

2011/12 წლების სეზონში მოურინიომ **სერხიო რამოსს** ამპლუა შეუცვალა - მარჯვენა ფლანგიდან დაცვის ცენტრში შენია. ამ ცვლილებამ ბრწყინვალედ იმუშავა და „რეალმა" ტიტულიც მოიგო. ამ სეზონში კი კასილიასის დამცრობის გამო, სერხიოს კაპიტნობაც დაევალა და **რაფაელ ვარანის** მენტორობაც. ვარანისა და რამოსის დუეტი დაცვის ცენტრში კარგად გამოიყურება, განსაკუთრებით - მომავლის პერსპექტივის გათვალისწინებით.

მართალია, რამოსისთვის კვლავ აქილევსის ქუსლია დისციპლინა, მაგრამ 27 წლის მცველი უკვე მსოფლიო კლასის ფეხბურთელია ლიდერის თვისებებით და გოლის გატანის ალღოთი (4 გოლი ამ სეზონში). მისი გადამწყვეტი გოლი „კლასიკოზე" ამ სეზონის ჰაილაითია.

**საუკეთესო ნახევარმცველი**

### ანდრეს ინიესტა (ბარსელონა)

29 წლის, 29 თამაში, 2 გოლი, 15 საგოლე პასი

ინიესტა იყო ევრო 2012-ზე ესპანეთის ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი. მან მოახერხა და ფორმა ახალ სეზონშიც შეინარჩუნა. მართალია, სულ ორი გოლი გაიტანა, მაგრამ ჩემპიონატში საუკეთესო 15 საგოლე პასი (პასების ჰეთთრიკი „ლევანტესთან") ბევრზე მეტყველებს.

ანდრესმა „ბარსელონას" ჩემპიონობაში დიდი წვლილი შეიტანა. ეს ალბათ პირველი შემთხვევაა, როცა ინიესტას დამსახურება **ჩავისას** ბევრად აღემატება.

**საუკეთესო თავდამსხმელი**

### ლიონელ მესი (ბარსელონა)

25 წლის, 32 თამაში, 46 გოლი

სხვა ვინ, თუ არა მესი? „პარი სენ-ჟერმენთან" მიღებულმა ტრავმამ დალი დაასვა ლეოს სეზონს, მან უკვე დაასრულა სეზონი. სამწუხაროა, რომ ამის გამო ვერ შეძლო ლა ლიგაში 50 გოლის კვლავ გატანა და 46-ზე გაჩერდა. მაგრამ 46 გოლი 32 მატჩში მაინც დიდებული შედეგია. ამას დავუმატოთ, რომ მან ზედიზედ 21 ტურში შეძლო გატანა, რომლებშიც ითამაშა. დავუმატოთ ამას 12 საგოლე პასი (ჩემპიონატში მხოლოდ ინიესტას ჩამორჩება).

**საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი**

### რაფაელ ვარანი (რეალი)

20 წლის, 15 თამაში

20 წლის ფრანგისთვის სეზონი დასანანი ტრავმით დასრულდა, რის გამოც მან სამეფო თასის ფინალი გამოტოვა. ვფიქრობთ, ამის მიუხედავად მადრიდელ ფანებს საზეიმოდ აქვთ საქმე - კიდევ კარგა ხნით მათ ძალიან საიმედო და ნიჭიერი მცველი დაიბევეს. ვარანი 2011 წლიდან არის „რეალში", თუმცა საფეხბურთო სამყაროს თავი უფრო ამ სეზონში გააცნო. სერხიო რამოსთან ბრწყინვალე დუეტს ქმნის.

**საუკეთესო მწვრთნელი**

### დიეგო სიმეონე (ატლეტიკო)

43 წლის, მე-3 ადგილი

მართალია, არგენტინელი მწვრთნელის ყველაზე დიდი წარმატება სათასო ბატალიებზე მოდის, მაგრამ მისი გაწვრთნილი „ატლეტიკო" ჩემპიონატშიც დიდებული იყო. მე-3 ადგილი და ავტომატურად ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი კარგა ხნით დაიბევა სიმეონეს გუნდმა. სიმეონემ ეს შეძლო გუნდით, რომლის ბიუჯეტი „სამეფო კლუბისას" 400 მილიონი ევროთი ჩამორჩება.

**საუკეთესო ტრანსფერი**

### არიც ადურისი (ვალენსია-ატლეტიკო)

სეზონის სტარტზე **მარსელო ბიელსა** გამოუტყდა რეპორტიორებს, რომ არიც ადურისის დამატება მისი მოთხოვნა არ იყო. 9 თვის მერე არგენტინელი სწორედ ამ ფორვარდს უნდა უმადლოდეს, რომ ბილბაოს „ატლეტიკი" ისტორიაში პირველად არ გავარდა ლა ლიგიდან. არადა, ადურისი „ვალენსიადან" 2,5 მილიონ ევროდ შეიძინეს. ამ დროს ადურისმა 14 გოლი გაიტანა და სასტარტო შემადგენლობიდან თვით **ფერნანდო ლორენტე** ამოაგდო.

**ყველაზე ცუდი ტრანსფერი**

### ალექს სონგი (არსენალი-ბარსელონა)

ალექს სონგი ცუდი ფეხბურთელი არ არის, მაგრამ მაინც ვეჭვობთ, რომ მისი შეძენა „ბარსელონასთვის" მართებული ნაბიჯი იყო. „ბარსა" ვერ შეწვდა **ხავი მარტინესს**, არადა, ძალიან სურდა ისეთი ფეხბურთელის დამატება, რომელსაც თანაბარი წარმატებით შეუძლია თამაში, როგორც დაცვაში, ისე ნახევარდაცვაში. **კარლეს პუიოლის** როლის დამცრობისა და **სეიდუ კეიტას** წასვლის შემდეგ ასეთი ფეხბურთელი, უბრალოდ, აუცილებელი იყო გუნდში. 19 მილიონად ნაყიდი კამერუნელი ძვირი და უცნაური შენაძენია.

**საუკეთესო ფეხბურთელი**

### ლიონელ მესი (ბარსელონა)

25 წლის, 32 თამ, 46 გოლი, 12 საგოლე პასი

გასული სეზონის ბოლოს ჟოზე მოურინიომ თქვა: „მესის 50 გოლი არაფერს ნიშნავს, რადგან ტიტული „რეალმა" მოიგო". 25 წლის არგენტინელი ამჯერად 46 გოლზე გაჩერდა, მაგრამ ტიტული „ბარსელონას" დარჩა. ახლა პორტუგალიელი სპეციალისტი უნდა ჩამოყალიბდეს, ბოლოსდაბოლოს ღირს თუ არა სეზონში 45-50 გოლის გატანა რამედ. სხვებისთვის კი ლეო მესი სეზონის საუკეთესო ფეხბურთელია.

**ყველაზე ცუდი ფეხბურთელი**

### ხოსე კალეხონი (რეალი)

26 წლის, 28 თამაში, 1 გოლი

„ესპანიოლიდან" გადასული გარემარბი ბრწყინვალე იყო მოურინიოსთვის საჩემპიონო სეზონში. შარშან მან ლა ლიგაში 5 სულ კი 13 გოლი გაიტანა. ამ სეზონში კი კალეხონმა მხოლოდ 1 გოლის გატანა შეძლო. კალეხონს ძალიან გაუმართლებს, თუ მომავალ სეზონსაც „ლოს ბლანკოსის" ფორმით შეხვდება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები

### ნეიმარი: იმედია, ვიპოვით საუკეთესო გამოსავალს ჩემთვისაც და სანტოსისთვისაც

ბოლო დღეებში გააქტიურდა 21 წლის **ნეიმარის** „ბარსელონაში" შესაძლო ტრანსფერის თემა. მედიაში ერთმანეთის გამომრიცხავი სიახლეებიც კი გვხვდება. ამიტომაც თავად ნეიმარის კომენტარი არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული:

*„როცა მე „სანტოსთან" 2014 წლამდე გავაფორმე ხელშეკრულება, ყველა მილოცავდა. და მე ამ ვალდებულებას ვასრულებ კიდევაც. მაგრამ რაც ახლოვდება ეს თარიღი, სულ უფრო ხშირად მაბრალებენ ანგარებაში. რაც უნდა იყოს, ჩვენ შევეცდებით საუკეთესო გამოსავალი ვიპოვოთ ჩემთვისაც და „სანტოსისთვისაც".*

შეგახსენებთ, რომ „ბარსელონა" აწარმოებს მოლაპარაკებას ნეიმარის ტრანსფერზე, მხარეებმა ჯერ ვერ მოილაპარაკეს კომპენსაციის თანხაზე.

ამასობაში „სანტოსის" მთავარმა მწვრთნელმა **მურისი რამალიომ** განაცხადა, რომ ნეიმარის კლუბში დატოვება თითქმის შეუძლებელი იქნება.

### პსჟ კომპენსაციის სახით 7,5 მილიონს ითხოვს

**მადრიდის** „რეალის" ხელმძღვანელობა არ კარგავს იმედს, რომ შეძლებს „პარი სენ-ჟერმენის" იტალიელი თავკაცის, **კარლო ანჩელოტის** გადაბირებას. მაგრამ საამისოდ გვარიანი თანხის დახარჯვა მოუწევს.

შეგახსენებთ, რომ სეზონის ბოლოს **ჟოზე მოურინიოს** კონტრაქტი გაწყდება და პორტუგალიელი სამუშაოდ ინგლისში დაბრუნდება. მის მემკვიდრეს კი „სამეფო კლუბში" ანჩელოტი სურთ.

პსჟ-ს პრეზიდენტი ნასერ ალ-ხელაიფი უკვე ჩამოყალიბდა კომპენსაციაზე, რომელსაც ფრანგული კლუბი „რეალს" მოსთხოვს - ეს თანხა 7,5 მილიონ ევროს უდრის.

ეს იმ შემთხვევაში, თუ „რეალი" არ დათანხმდება პარიზელთა წინადადებას და რომელიმე მადრიდელი ფეხბურთელის ტრანსფერზე მოლაპარაკებას არ დაიწყებს.

აქამდე ესპანურ პრესაში დაიწერა, რომ „რეალი" არ აპირებს კომპენსაციის თანხის გადახდას მწვრთნელისთვის.

### ატლეტიკო ნეგრედოში 18 მილიონს იხდის

**მადრიდის** „ატლეტიკოს" სამწვრთნელო შტაბი დაინტერესებულია, რაც შეიძლება უმტკივნეულოდ შეცვალოს კოლუმბიელი ფორვარდი **რადამელ ფალკაო**, რომლის „მონაკოში" გადასვლა თითქმის გადაწყვეტილია.

მადრიდელებმა გადაწყვიტეს, რომ შორს წასვლა საჭირო არ არის, როცა პრიმერაში თამაშობს 27 წლის **ალვარო ნეგრედო**. ესპანეთის ნაკრების ფორვარდმა „სევილიას" რიგებში უკვე გაიტანა 20 გოლი და სეზონის დასრულებამდე კიდევ 2 ტურია დარჩენილი.

„ატლეტიკო" მზადაა ნეგრედოს სანაცვლოდ 18 მილიონი ევრო გადაიხადოს, მაგრამ „სევილიას" პრეზიდენტ **ხოსე მარია დელ ნიდოს** ცენტრფორვარდი 25 მილიონი ევრო ულირს.

ალბათ სწორედ „ატლეტიკოს" ვარიანტის გამო ნეგრედომ „ვესტ ჰემში" გადასვლაზე უარი განაცხადა.

### იუნაიტედს ალკანტარა მოუნდა

„ბარსელონას" ახალგაზრდა ნახევარმცველი **ტიაგო ალკანტარა** „მანჩესტერ იუნაიტედს" სურს. საამისოდ კი ინგლისური კლუბი მზადაა 18 მილიონი ევრო გაამზადოს. ზუსტად ასეთია ტიაგოს გამოსყიდვის ფასი ხელშეკრულების მიხედვით.

როცა ალკანტარამ ხელშეკრულები განაახლა „ბარსასთან" მის გამოსასყიდ თანხად 90 მილიონი ევრო ჩაიწერა. თუმცა ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით, თუ ალკანტარა გარკვეული რაოდენობის მატჩებს ვერ ითამაშებდა ეს თანხა 18 მილიონამდე დაიკლებდა. ასეც მოხდა, ტიაგო იშვიათად ხვდება შემადგენლობაში. ის „ბარსელონაში" ხელფასის სახით 1,8 მილიონ ევროს იღებს.

22 წლის ალკანტარას შეძენა „ბაიერნის" მომავალ თავკაც **პეპ გვარდიოლასაც** სურს.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● უეფა

# უეფას უცნაური შეწყალება

## მალაგა დაუშვეს, ჯოხი რაპიდზე გადატეხეს



მალაგას უცნაური შეწყალება ლა ლიგის ბოლო ტურებს არევს



უეფამ რამდენიმე გადაწყვეტილების შესახებ გამოაცხადა, რომელთაგანაც ყველაზე მნიშვნელოვანი ესპანური კლუბის, „მალაგას“ შეწყალებაა.

უეფას ფინანსური კონტროლის ბორდმა შვეიცარიულ ნიონში საბოლოო ვერდიქტი გამოაცხადა დეკემბერში დასჯილი 8 კლუბისათვის.

„მალაგას“, რომელსაც სეზონის ბოლომდე „მანჩესტერ სიტის“ მომავალი მწვრთნელი **მანუელ პელეგრინი** უდგას სათავეში, მოეხსნა სანქცია და ანდალუსიურ კლუბს უკვე ამ სეზონში შეეძლება ევროთასებზე გამოსვლა. ცოტა არ იყოს, უცნაური გადაწყვეტილებაა - უმოტივაციობის გამო „მალაგამ“ ბოლო ტურებში დაკარგა ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების შანსი და ახლა ამ შეწყალებით ევროპალიგაში თუ ითამაშებს.

ასევე შეიწყალეს: „ჰაიდუკი“ (ხორვატია), „ოსიეკი“ (ხორვატია), „დინამო“ (რუმინეთი), „პარტიზანი“ (სერბეთი) და „ვოივოდინა“ (სერბეთი).

სამაგიეროდ, ორ კლუბს სანქცია შეუნარჩუნდათ: ბუქარესტის „რაპიდი“ ჯარიმის სახით გადაიხდის 100 ათას ევროს და უეფას შეჯიბრებებში 2016/17 წლების სეზონამდე ვერ ითამაშებს. კიევის „არსენალი“ 75 ათასი ევროთი დაისჯება (ეს კლუბი ევროთასებიდან არ მოუკვეთავთ).

„მალაგას“ შეწყალებამ ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ორი ტურის მოტივაცია მნიშვნელოვნად შეცვალა. ახლა ლა ლიგაში დარჩენისთვის მებრძოლ „დეპორტივოს“ ანდალუსიაში უკვე მოტივირებული „მალაგა“ ელის. პლუს ამას, ესპანეთის ჩემპიონატის მერვეადგილოსანი ველარ გავა ევროპალიგაზე, რაც პირდაპირ ურტყამს „სევილიას“ და „ხეტაფეს“ ინტერესებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

Esset
PREMIUM AUTOPARTS
პრემიუმ ავტონაწილები
NGK
Continental CONTITECH
BILSTEIN
TEXTAR
ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში
მის:. ხოშარაულის ქ. 25 ტელ:. 234 09 14 www.autoparts.ge

თბილისის წიგნის XV საერთაშორისო ფესტივალი 2013
23-26 მაისი
EXPO GEORGIA
წერეთლის 118, XI პავილიონი
აიეთ ნაშრი

მშვილდოსნობა. ინტერვიუ

# წარმატებული დებიუტანტები

## გათიკაევი: მათ ამ პირობებში მაქსიმუმი გააკეთეს

ᲬᲘᲜᲐ კვირას ლიუბლიანაში გამართული ახალგაზრდა და ჭაბუკ მშვილდოსანთა ევროპის თასი ჩვენთვის მნიშვნელოვანი შეჯიბრება გამოდგა. ჯერ თუნდაც იმით, რომ იქ ორივე ასაკში გოგონებისა და ბიჭების სრულად დაკომპლექტებული გუნდებით წავედით, ამხელა წარმომადგენლობა კი ასაკობრივ ტურნირებში თვით კომუნისტურ ეპოქაშიც არ გვყოლია. მეორე და უმთავრესი ჩვენებურთა შედეგები, მათი გამოსვლაა. მართალია, მედალი ვერ მოვიპოვეთ, თუმცა რამდენიმემ იმდენად კარგად იასპარეზა, რომ ყველას დაუმტკიცა, ახალ თაობაში ღირს ფულის დაბანდება - ზოგმა საქართველოს რეკორდი გააუმჯობესა; ზოგმა 1300-იან მიჯნას გადააბიჯა თუ უწია; ვინ მებრძოლი ხასიათი გამოავლინა, ვინ - გუნდურში იბრძოლა კარგად. ბუნებრივია, არ ვამტკიცებთ, რომ ყველა მათგანი მომავალში მსოფლიოს ან ოლიმპიური ჩემპიონი გახდება, მაგრამ რაც დღეს შეძლეს, ამასაც ნუ დავუკარგავთ. მით უფრო, რომ ამ მოზარდების უმეტესობა საერთოდ პირველად იმყოფებოდა უცხოეთში, ბევრს კი აქაც აკლია სატურნირო გამოცდილება, არათუ - საზღვარგარეთ. არაფერს ვამბობთ ინვენტარზე თუ სხვა აუცილებელ ტექნიკურ სიახლეებზე. პირველი ნაბიჯის გარეშე ხომ დიდი წარმატება არ იქნება, პირველი მცდელობა კი არაა ცუდი.

ჩატარებულ ტურნირზე ნაკრებთა მთავარი მწვრთნელი **სერგო გათიკაევი** გვესაუბრება, რომელმაც ალალად აღიარა, რომ შეჯიბრება მწვრთნელებისთვისაც დიდი სკოლა იყო, რადგან საერთაშორისო გამოცდილება მათაც აკლიათ. ზოგადად, ამ მხრივაც ბევრი რამეა შესაცვლელი ქართულ მშვილდოსნობაში, თუმცა ეს ცალკე წერილის თემაა, ამჯერად კი ამ კონკრეტული შეჯიბრებით შემოვიფარგლოთ.

**- მთლიანობაში, ალბათ, მაინც კმაყოფილი იქნებით გუნდების გამოსვლით, რადგან დებიუტანტობის კვალობაზე, მთლად ურიგოდ არ გამოსულან.**

- მოგეხსენებათ, ასე მრავალრიცხოვანი გუნდით, ამდენი სპორტსმენით არასოდეს გამოვსულვართ შეჯიბრებებზე. სლოვენიაშიც ყველას გაუკვირდა, საიდან ეს ხალხიო. არც ეგონათ, ამდენი სპორტსმენი თუ გვყავდა. სიამოვნებით უნდა აღვნიშნო გუნდის დისციპლინა, რომელიც უმაღლეს დონეზე იყო. ბავშვები მონწყურებულნი არიან შეჯიბრებებს, დიდი ბრძოლისუნარიანობაც გამოავლინეს და სათითაოდ ყველამ არათუ მაქსიმუმი, არამედ შესაძლებლობებზე მეტიც კი გამოავლინა და საკუთარ შედეგს გადააჭარბა. თავიდან თბილისშიც არ სჯეროდათ ჩვენი, როცა ამდენი სპორტსმენის წაყვანას ვგეგმავდით, მაგრამ ახალგაზრდებმა სერიოზული განაცხადი გააკეთეს. უცხოეთში ყველამ დაინახა, რომ მოდის კიდევ ერთი ქვეყანა, რომელიც აქტიურად იბრძოლებს მედლებისთვის. სრული გუნდების დასაკომპლექტებლად დიდი სამუშაო ჩავატარეთ და ძალიანაც გაგვიჭირდა, მაგრამ გაკეთებული დიდი საწყისია მომავლისთვის - ოდესღაც ეს პროცესი უნდა დაწყებულიყო და ახალგაზრდებზე სათანადოდ გვეზრუნა.

ამ ტურნირისთვის მოსამზადებლად ბავშვებს წყნეთში შეკრება მოვუწყვეთ, რაშიც ძალიან დაგვეხმარა სამინისტრო - ის გვერდში დაგვიდგა გეგმების ასრულებაში. იარაღი მთელი საქართველოს მასშტაბით მოვიძიეთ, ძველ მსროლელებსაც გამოვართვით და შეძლებისდაგვარად დავაკომპლექტეთ, რადგან ნათხოვარი ინვენტარით სრულყოფილად ეს შეუძლებელია. ერთი სიტყვით, ხელთ რაც მოგვხვდა, იმით წავედით საბრძოლველად, მაგრამ შემართება იყო დიდი. ამაში ლომის წილი მწვრთნელებს - გია მაკიევს, დავით ლეკვეიშვილს და გურამ ბასილაძეს მიუძღვით, რომელიც, სამწუხაროდ, უსახსრობის გამო სლოვენიაში ვერ წავიყვანეთ.

**- გუნდში უმეტესობა დებიუტანტი იყო, რაც, ალბათ, თავის კვალს დაატყობდა მათ გამოსვლას.**

- რა თქმა უნდა. ამიტომაც გავაკეთეთ აქცენტი ახალგაზრდებზე, რომ გამოცდილება მიიღონ. მათი უმეტესობა თვითმფრინავშიც კი პირველად იყო, ხოლო საშეჯიბრო ატმოსფერო, თუნდაც ის 4-ვარსკვლავიანი სასტუმრო თუ სხვა სრულიად უცხო გახლდათ მათთვის, თავი ზღაპარში ეგონათ. კონკიას როლში ყოფნის მიუხედავად, მობილიზაცია მოახდინეს და კარგად გადაერთნენ საშეჯიბრო ატმოსფეროზე. გუნდის კაპიტნად ლაშა ფხაკაძე ავირჩიეთ, როგორც გამოცდილი და ბევრ ტურნირზე ნამყოფი. ჯერჯერობით ისიც ამართლებს ლიდერობას, თუმცა აქვე ვიტყვი, რომ მისგან მეტი გვინდა - მედალი.

დებიუტანტებისთვისაც და ჩვენთვის, მწვრთნელებისთვისაც პრობლემა გამოდგა ახალი წესები, რომელსაც არ ვიყავით მიჩვეულები. ამის გამო ჭაბუკებში შერეულ წყვილებში სლოვენიელებთან ერთი ისარი საერთოდ გაგვიუქმეს, რაშიც ჩვენს ბრალეულობას მწვრთნელებიც ვაღიარებთ - შეჯიბრებისას ხაზზე ერთი შედის, მეორე - გამოდის. შესვლისას ერთს ფეხი გადაუცდა ხაზზე, რისთვისაც ყვითელი ბარათი ამოგვიღეს და ერთი ისარი გაგვინულეს. მასპინძლებთან რომ არ ყოფილიყო პაექრობა, იქნებ არც დავესაჯეთ, მაგრამ ახლა ელოდნენ მიზეზს... ამის მიუხედავად, ბავშვებმა ის 10-ქულიანი სხვაობა გაქვითეს, ანგარიში გაუთანაბრეს და გადასროლაში მხოლოდ ერთი ქულით წააგეს.

**- ბრძანეთ, რომ ყველამ შესაძლებლობებზე მეტი გააკეთა, მაგრამ მაინც ვის გამოარჩევთ განსაკუთრებული გარჯისთვის?**

- ვინმეს გამორჩევა მართლა ძნელია, მაგრამ მეტ-ნაკლებობა ყველგანაა და ამ კუთხით, უპირველესად, ლაშა ფხაკაძეს გამოვყოფ. მან 50 მეტრზე საქართველოს რეკორდი დაამყარა - 332 ქულა. რაც მთავარია, კაცებში პირველად გადავაბიჯეთ 1300-იან მიჯნას - 1301 ქულა დააგროვა. უნდა შევაქო ქუთაისელი ჯაბა მოსეშვილიც, რომელიც ყოველ შეჯიბრებაზე აუმჯობესებს საკუთარ შედეგს. გვინდა, მან ქუთაისშიც ავარჯიშოს ბავშვები და განავითაროს სპორტის ეს სახეობა.



სერგო გათიკაევი

გოგონებიდან თეონა კუტალაძეს გამოვარჩევ, რომელმაც 1261 ქულა დააგროვა. ძალიან კარგი, პერსპექტიული გოგოა, თუმცა იარაღი არ ჰქონდა სათანადო. ის სერიოზულად ამოუდგა გვერდში ეროვნული ნაკრების წევრებს. ჩვენი დაკვირვებით, მან ბევრი ქულა დაკარგა, რაც გამოსწორდება, და შეიძლება, 1300-იანთა შორისაც შევიდეს. თეონა არჯევანიძე თბილისური ტურნირის შემდეგ საერთოდ პირველად იყო შეჯიბრებაზე, მაგრამ კარგად გამოვიდა - პირადშიც და გუნდურშიც. ჭაბუკებმა თავისი ბრძოლისუნარიანობით გამაოცეს. კარგად ისროლეს მედეა აბულაძემ, ანა დუმბაძემ. ზოგადად, ჩვენების კმაყოფილი ვარ იმიტომ, რომ მათ, აქაური პირობებიდან გამომდინარე, მაქსიმუმი გააკეთეს.

სხვათა შორის, დუმბაძე და ვლადიმერ დოლიძე 2014 წლის მსოფლიოს ახალგაზრდული ოლიმპიადის ასაკისანი არიან, რომელიც გაისად ჩინურ ნანჯინგში გაიმართება. საგზურების მოპოვება კი მათ წლეულსვე შეუძლიათ ისევ ჩინეთში, ქალაქ ვუქსში 13-20 ოქტომბერს, მსოფლიოს პირველობაზე. საამისოდ 17 ქვეყანას შორის მოხვედრაა საჭირო, თითო გუნდზე კი თითო საგზური გაიცემა. მათ მოსაპოვებლად სერიოზულად ვემზადებით, ხოლო ამ ტურნირზე გამოსასვლელად ოლიმპიური კომიტეტი გვაფინანსებს.

**- თქვენი აზრით, ლიუბლიანაში უმედლოდ რატომ დარჩით, რა დააკლდათ სპორტსმენებს მედლამდე?**

- უმთავრესი მიზეზი გამოუცდელობაა, რასაც ინვენტარი ანუ ტექნიკური პრობლემაც ემატება. ამის მიუხედავად, მედლისთვის ბრძოლა ახლაც შეგვეძლო, მაგრამ ამ პირობებში, როცა ხეირიანი ინვენტარიც არაა, ეს ლამის შეუძლებელი იყო.

**- ჭაბუკებმა გუნდურში განსაკუთრებით იყოჩაღეს, თითო შეხვედრა მოიგეს, თუმცა ბიჭების ამბავი მაინც განსხვავებულია - თვით იტალიელები დაამარცხეს...**

- სხვათა შორის, ამ პაექრობას თვალს მშვილდოსნობის ევროპული და იტალიური ფედერაციის პრეზიდენტი მარიო სკარცელა ადევნებდა, რომელიც, პარალელურად, მსოფლიო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტიცაა. ვლადიმერ დოლიძემ გუნდურში ისეთი შემართებით ისროლა, ყველა გააოცა. საერთოდ, ჭაბუკები უფრო უშიშრად გამოდიოდნენ, ახალგაზრდები ცოტა მეტად ღელავდნენ.

**- გარკვეული ცვლილებებია წესებში. მაინც რა შეიცვალა, საით მიდის მშვილდოსნობა და რა საფუძველი უდევს ამ რეფორმებს?**

- ცდილობენ, რომ მშვილდოსნობა გახდეს სანახაობრივი, რათა მოიზიდონ მაყურებელი, ტელევიზიები. პლეიოფებიც ამიტომ გაკეთდა, ფინალები განსხვავებულ, ისტორიულ ადგილებზე ტარდება. მსოფლიო ფედერაციამ ხეირიანი სპონსორებიც შეიძინა, თუმცა სანახაობრიობა ჯერ მაინც მთავარ პრობლემად რჩება. შეიძლება, გაისიდან მხოლოდ 70-მეტრიანი დისტანცია დატოვონ, დანარჩენები კი გააუქმონ.

**- უახლოეს მომავალში ინვენტარის პრობლემის მოგვარება თუ იგეგმება?**

- სამინისტრომ უკვე დაგვიმტკიცა 6 კომპლექტის შესაძენი თანხა, რაც გათვალისწინებულია ასაკობრივი ნაკრებებისთვის. აქ მწვრთნელებისთვის საჭირო ეკიპირებაც იგულისხმება. ამ იარაღს გადავანაწილებთ სპორტსმენებზე, რასაც დღემდე არსებულსაც მივახმართ და გაჭირვებით გადავიტანთ ამ პერიოდს, თუმცა ეს ახალი კომპლექტები ჰაერივით საჭიროა ჩვენთვის.

**- დასასრულს, როგორც ეროვნული, ასევე ასაკობრივი გუნდების უახლოეს სამომავლო გეგმებზე გკითხავთ, სად გამოვლენ ისინი.**

- 10-16 ივნისს ეროვნული ნაკრები ანტალიაში მიემგზავრება მსოფლიოს თასის მეორე ეტაპში საასპარეზოდ. ამის შემდეგ ახალგაზრდები და ჭაბუკები კვლავაც სრული გუნდებით ბულგარეთში მიდიან შეკრებაზე, სადაც რუმინეთში 15-20 ივლისს გასამართი ევროპის ახალგაზრდული თასის მეორე ეტაპისთვის მოემზადებიან. ეს დაახლოებით ერთნაირი კლიმატური სარტყელია და ბულგარეთი ამიტომ შევარჩიეთ შეკრებისთვის. ეს ტურნირი მსოფლიოსთვის მზადებას ისახავს მიზნად და გვინდა, სექტემბერში ჩინეთში კარგად გამოვიდეთ.

ეროვნული ნაკრები კალენდარით გათვალისწინებულ ყველა მთავარ ტურნირში გამოვა - ერევანში ევროპის „დიდ პრიზზე", აგვისტოში - პოლონეთში მსოფლიოს „დიდ პრიზზე", მაგრამ არაა გამორიცხული, მასში ახალგაზრდებიც მოხვდნენ. ქალებს ნაკრებში მოსახვედრად 1320-ქულიანი ნორმატივი დავუწესეთ. ვინც ვერ შეასრულებს, მას ახალგაზრდებით ჩავანაცვლებთ. კაცებში რახან ნაკლები ტრადიციებია, 1265 ქულა დავაწესეთ. საშუალო შედეგით, როცა მედალი გამორიცხულია, ვინმეს წაყვანას გვირჩევნია, ისევ ახალგაზრდები გამოვცადოთ ტურნირებზე, რითაც გამოცდილებას მიიღებენ, ეს ყველაფერი კი სამომავლოდ წაგვადგება. უფროსებს ნაკრებში მოსახვედრად ბევრად მეტი შრომა დასჭირდებათ.

**ირაკლი თავაძე**

მეკლდეურობა

# ხელოვნურ კედელზე, სტუ-ს ეზოში



„სტუდენტური დღეები 2013"-ის პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სპორტულ პაექრობებს. გუშინ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეზოში მეკლდეურები შეეჯიბრნენ ერთმანეთს. საასპარეზოდ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის 30-მა სტუდენტმა მოიყარა თავი. გოგონებში გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „ალმა მატერის" წარმომადგენელმა **მარიამ იოსელიანმა** გაიმარჯვა, ვაჟებში ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტმა **გიგა ჯანხოთელმა** აჯობა ყველას.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი. დევისის თასი

# სომხეთის ძლევით დაიწყეს




ᲡᲐᲜᲛᲐᲠᲘᲜᲝᲨᲘ გუშინ დაიწყო ჩოგბურთელ ვაჟთა დევისის თასის გათამაშება ევროაფრიკული ზონის მე-3 ჯგუფში. მეორე ზონაში ასასვლელი 2 საგზურისთვის ბრძოლაში 16 გუნდი ჩაება. მათ შორისაა საქართველოს ნაკრები (**გიორგი ცივაძე, ალექსანდრე მეტრეველი, შოთა მეფარიძე, კაპიტანი ვიქტორ ბაკში**). C **ჯგუფის** პირველ ტურში ჩვენმა ბიჭებმა 3:0 მოუგეს სომხებს: გიორგი ცივაძე-ხაჩატურ ხაჩატრიანი 6:1, 7:5; ალექსანდრე მეტრეველი-აშოტ გევორქიანი 7:6, 6:2; მეტრეველი, ცივაძე-გევორქიანი, ხაჩარტიანი 6:2, 6:0. საგულისხმოა, რომ შარშანაც ამავე ჯგუფში მე-5 ადგილისთვის პაექრობაში ქართველმა ჩოგბურთელებმა ასეთივე ანგარიშით სძლიეს სომხეთის ნაკრებს.

დანარჩენ სამ ჯგუფში გუშინდელი შეხვედრები ასე დასრულდა: **A ჯგუფი**. საბერძნეთი-ჩერნოგორია 3:0, **B ჯგუფი**. ნორვეგია-მალტა 3:0, **D ჯგუფი**. მაკედონია-თურქეთი 3:0, ალბანეთი-აზერბაიჯანი 3:0.

**ვაჟა დანელია**

ლელოზე
ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.

დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

## არჩილ ჩოხელის გახსენება



დღეს, 2013 წლის 23 მაისს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს, მსოფლიოს თასის მფლობელს ჭიდაობა სამბოში, საქართველოს ნაკრები გუნდის ყოფილ უფროს მწვრთნელს, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენის კავალერს, პოლიციის მაიორს, **არჩილ ჩოხელს** 42 წელი შეუსრულდებოდა. იგი 2012 წლის აგვისტოში ლაფანყურში, შეიარაღებული შეტაკების დროს დაიღუპა.

ღმერთმა გაანათლოს უმწიკვლო მამულიშვილის, არჩილ ჩოხელის სული!

**სამბოს ფედერაცია**

● ქართული ჭიდაობა

# შილდელების ზეიმზე



ვარდობის თვეში შილდელებს მტერი დასხმია თავს, მაგრამ აქაურებს ისე გაუნადგურებიათ ისინი, ამბის წამლებიც არ დაუტოვებიათ. გამარჯვებულებს ეს მოვლენა ზეიმით აღუნიშნავთ. მეორე დღეს შილდაში სეტყვა (კოხი) მოსულა. ზეიმი მაინც გაუგრძელებიათ...

ყვარლის სოფელი შილდა, რომელიც ცნობილია ისტორიული ძეგლებითა და მოსახლეობის სიმრავლით, სტუმრებთან ერთად ყოველწიურად სოფლის ცენტრში ერთ დღეს „მაისობას", მეორე დღეს კი ჩრდილოეთ ნაწილში - „კოხიაობას" აღნიშნავს.

შილდელები განთქმულნი არიან თავისი მომღერლებით: **ლადო აღნიაშვილი, მერი შილდელი (მიჩელაშვილი), დედას ლევანა (ასაბაშვილი)**... აქაურებს უყვართ და ქომაგობენ ქართული ჭიდაობის მედგარ შერკინებებსაც.

ქართული სახალხო ზეიმი შილდაში სწორედ ქართული სიმღერით, ქართული ჭიდაობითა და ქართული ცეკვის თანხლებით ჩატარდა წლეულსაც.

ქართულ ჭიდაობაში დაიწყო ასპარეზობა და ქომაგებთან ერთად თანდათან მატულობდა ჭიდაობის მსურველთა რიცხვი. ზოგიერთმა ჭარმაგმა და საბავშვო ბაღის ასაკის ბიჭებმაც კი თხოვნით მიმართეს მსაჯებს საჭიდაოდ ჩვენც გამოვალთო...

საინტერესო გამოდგა გამარჯვებულთა დაჯილდოებაც. რამდენიმე ფინანსურად შეძლებული ქართული ჭიდაობის ქომაგი შილდელი, უშუალოდ შერკინებების დროს ჩადიოდა ფსონს გამაჯვებულისთვის.

ყველაზე მეტად გაგვახარა ერთი ჭარმაგი ხალხური კერამიკის ოსტატის ახალსოფლელი **ზალიკო ჩიდრაშვილის** საქციელმა. მან საჩუქრად დააწესა ერთ-ერთი ჩემპიონისთვის მის მიერვე დამზადებული ახალთახალი თონე. ეს ჯილდო მიიღო ქიკაანელმა **ილია ბითარაშვილმა**, რომელმაც სხვათა შორის, ორივე დღეს იმარჯვა 35 და 40 კილოგრამ წონით კატეგორიებში. თურმე ნუ იტყვით და ბატონი ზალიკო ხშირად აწესებს კახეთში ქართულ ჭიდაობებზე პრიზად - თავის თონეს!

გაგაცნობთ „მაისობაზე" გამარჯვებულებს: **დაჩი ხახუტაშვილი** (30 კგ, გრემი), **გიორგი გიორგაძე** (35, თელავი), **ილია ბითარაშვილი** (40), **გიორგი ბალოშვილი** (45, ორივე - ქიკაანი), **ნიკა ტურაშვილი** (50, შილდა), **თემურ ჯოხაძე** (55, ქიკაანი), **რომან თურქაძე** (60), **თემურ ოზგელდაშვილი** (65, ორივე - ახალსოფელი), **ნოდარ ცალუღელაშვილი** (70), **გიორგი ბიჩელაშვილი** (80), **იოსებ იარაჯული** (+80, სამივე - თიანეთი).

მეორე დღეს „კოხიაობის" - ქართული ჭიდაობა მოეწყო შილდის ღვთისმშობლის სახელობის ტაძართან, სადაც გამარჯვებულები გახდნენ: **შოთა მაისურაძე** (30 კგ, გიორგეთი), **ილია ბითარაშვილი** (35), **გურამ გრიგალაშვილი** (40, ორივე - ქიკაანი), **გიორგი წიკლაური** (45, ახალსოფელი), **ნიკა ტურაშვილი** (50, შილდა), **ლევან ბერბერაშვილი** (55, თიანეთი), **ვალერი ცერცვაძე** (60), **თემურ ოზგელდაშვილი** (65, ორივე - ახალსოფელი), **ალექსანდრე ნანიევი** (70, ვერხვის მინდორი), **ბექა წყალობაშვილი** (აბსოლუტური, ახალსოფელი).

26 მაისს ყვარლის ტბაზე, გაიმართება დიდი ქართული ჭიდაობა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნება.

**გაბრიელ ბარჯაძე**

*ავტორის ფოტო*

● ჩოგბურთი

# რუმინელები ჩამოიშორეს

ორთაბრძოლა 2 საათსა და 10 წუთს გაგრძელდა და ქართველი ჩოგბურთელის გამარჯვებით დამთავრდა - **ანა ტატიშვილმა** მე-5 ნომრად განთესილი რუმინელი ჩამოიშორა გზიდან.

ტრავმის გამო ანა ტატიშვილს წლეულს ბევრი დრო გაუცდა. კორტებზე დაბრუნების შემდეგაც რამდენიმე ტურნირში ხელი მოეცარა, რის გამოც მსოფლიო რეიტინგში 83-ე საფეხურზე ჩამოქვეითდა. და აი, სტრასბურგის საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 235.000 დოლარი), შესაძლოა, ახალ ათვლის წერტილად იქცეს. პირველ წრეში მასპინძელი კაროლინ გარსიას ძლევის (6:7, 7:5, 6:4) შემდეგ გუშინ მეორეში რუმინელი მონიკა ნიკულესკუს დაუპირისპირდა, რომელიც მსოფლიო რეიტინგში ამჟამად 49-ეა. ცხადია, ფავორიტად ტურნირის მეხუთე ნომერი კარპატელი მიიჩნეოდა. მანაც პაექრობა ენერგიულად დაიწყო. პირველ სეტში 5:0 დაწინაურდა. მართალია, ამის შემდეგ ჩვენებურმა ზედიზედ ოთხი გეიმი აართვა მეტოქეს, მაგრამ ნიკულესკუმ მაინც შეძლო, პირველი ხელი მოეგო - 6:4, სამაგიეროდ, მეორე-მესამე სეტებში ქართველმა ჩოგბურთელმა იყოჩაღა და მოწინააღმდეგეს წარმატების ყოველგვარი შანსი გადაუწურა - 6:3, 6:2. ამ გამარჯვებით ჩვენებურმა 70 სარეიტინგო ქულა მიითვალა.

მესამე წრეში ტატიშვილი მსოფლიო რეიტინგით 93-ე ადგილზე მყოფ 19 წლის ეჟენი ბუშარს (კანადა) დაუპირისპირდება. ამ უკანასკნელმა გუშინ ასპარეზობის რეიტინგფავორიტ მარიონ ბარტოლის (საფრანგეთი) მძლეველი (6:3, 6:2) კამილა ჯორჯი (იტალია) დაამარცხა - 6:3, 6:0.



მაკა ჩახნაშვილი

წარმატებით ითამაშა იტალიურ კასერტაში (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) **მაკა ჩახნაშვილმა**. მე-2 წრეში მან მე-3 ნომრად განთესილი რუმინელი კრისტინა დინუ დაჯაბნა. პირველი ხელი შედარებით იოლად მოიგო - 6:3, მეორე ასეთივე ანგარიშით დათმო. მესამეში კარპატელი 3:0 დაწინაურდა, მაგრამ თბილისელმა ჩოგბურთელმა გადამწყვეტ მომენტში შეძლო ძალების მობილიზება და 7:6 (7:4) გაიმარჯვა.

ჩახნაშვილი მეოთხედფინალში ტურნირის მეშვიდე ნომერ დანკა კოვინჩს (ჩერნოგორია) გაუწევს მეტოქეობას. კოვინჩმა გუშინ მაია კაციტაძეს (რუსეთი) აჯობა - 7:6, 7:5.

**ვაჟა დანელია**

● თარიღები და მოვლენები

**23-24-25-26 მაისი**

**23.05.2011.** ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონის ტიტული **„ზესტაფონმა"** მოიპოვა.

**23.05.2011.** ჩოგბურთელმა **ანა ტატიშვილმა** კარიერაში პირველად ითამაშა „დიდი სლემის" ტურნირის ძირითად ბადეში.

**23.05.1919.** დაიბადა **ნინო დუმბაძე** - მძლეოსნობა. გარდაიცვალა 1983 წელს.

**23.05.1940.** დაიბადა **ვალერი ალთაბაევი** – კალათბურთი. გარდაიცვალა 2008 წელს.

**23.05.1971.** დაიბადა **არჩილ ჩოხელი** - სამბო. დაიღუპა 2012 წელს

**24.05.1955.** დაიბადა **თემურ ხუბულური** - ძიუდო

**24.05.1962.** დაიბადა გიორგი თენაძე - ძიუდო

**24.05.1987.** დაიბადა **რაულ ცირეკიძე** - ძალოსნობა

**24.05.2011.** კალათბურთში საქართველოს ჩემპიონი **„არმია"** გახდა.

**25.05.1896.** დაიბადა **სიმონ ჯაფარიძე**-მთამსვლელი. დაიღუპა 1929 წელს

**25.05.1953 წ.** ტოკიოში **ვახტანგ ბალავაძე** გახდა პირველი ქართველი მსოფლიო ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში.

**26.05. 1992 წ.** თბილისის **„იბერიამ"** სოხუმის „ცხუმს" საქართველოს ეროვნული თასის გათამაშების ფინალში 3:1 სძლია

**26.05.2011.** ფეხბურთში საქართველოს თასის ფინალში **„გაგრამ"** დამატებით დროში 1:0 მოუგო ქუთაისის „ტორპედოს".

● სუმო. ნაცუ ბაშო. 12-26 მაისი

# გაგამარუს კაჩი კოში, ტოჩინოშინის ლამაზი გამარჯვება



გაგამარუმ უკვე მიაღწია მიზანს - 8 ორთაბრძოლა მოიგო

როგორც იქნა! ზედიზედ 10 მარცხის შემდეგ მოიგო **ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი)**. ქართული ანტირეკორდის დამყარების შემდეგ მან აჯობა მაღალი რანგის სუმოისტს, კომუსუბი **ოკინოუმის**. ეს იყო ძალიან მაგარი ორთაბრძოლა, რომელშიც ქართველმა იაპონელის რამდენიმე სერიოზული შეტევა მოიგერია და ბოლოს ბრწყინვალედ შეასრულა ილეთი და მეტოქე მაყურებელთა დარბაზში მოისროლა. გულშემატკივარმა ოვაცია მოუწყო ჩვენებურს ლამაზი მოგებისთვის. მიუხედავად ამისა, ლევანს მხოლოდ 1-10 ბალანსი აქვს. ახლა მისი მეტოქე **ჯოკორიუა**, ვისაც კარიერაში პირველად დაუპირისპირდება.

პროგრამა-მინიმუმი შეასრულა **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)**, მძიმეწონოსანმა ქართველმა მე-8 ორთაბრძოლა მოიგო (კაჩი კოში) და ახლა აუცილებლად დაწინაურდება რეიტინგში, რომელშიც დღეისათვის დასავლეთის მე-11 მაეგაშირაა. გაგამარუმ **ჩიოოტორი** ლონივრად დაიქნია და დოჰიოზე დაანარცხა. ჩვენებურს 8-3 ბალანსი აქვს და ახლა **დაიდოს** ხვდება (4:1 ურთიერთშეხვედრებში).

ნაცუ ბაშოს დასრულებამდე 4 დღე დარჩა. იმპერატორის თასისთვის ბრძოლაში ორი დაუმარცხებელი ლიდერობს: დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო** და ჩემპიონი **კისენოსატო**.

**XI დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-კოტოოშუ (უვატენაგე), ჰარუმაფუჯი-კოტოშოგიკუ (უვატენაგე), კისენოსატო-არანი (ცუკიდაში), კაკურიუ-აოიამა (ჰატაკიკომი), ტოიონოშიმა-გოეიდო (ცუკიოტოში), ტოჩიოძანი-კიტატაიკი (ოკურიდაში), **ტოჩინოშინი**-ოკინოუმი (უვატენაგე), **გაგამარუ**-ჩიოოტორი (კოტენაგე).

**სატურნირო მდგომარეობა**

**11-0:** ჰაკუჰო (იოკოძუნა), კისენოსატო (ოძეკი).

**10-1:** კაკურიუ (ოძეკი).

**9-2:** ჰარუმაფუჯი (იოკოძუნა)... **8-3:** **გაგამარუ** (მაეგაშირა 11)... **1-10:** **ტოჩინოშინი** (მ 2).

**XII დღე**

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰარუმაფუჯი-კისენოსატო, ჰაკუჰო-კაკურიუ, კოტოოშუ-აოიამა, კოტოშოგიკუ-არანი, გოეიდო-შოჰოზანი, **ტოჩინოშინი-ჯოკორიუ**, **გაგამარუ**-დაიდო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ახალი ამბების ესტაფეტა

## ზეიმს სპორტი გაალამაზებს

26 მაისი - დამოუკიდებლობის დღე მთელ საქართველოში აღინიშნება და საზეიმო განწყობას კიდევ უფრო გაახალისებს და გაალამაზებს სპორტული ღონისძიებები, მათ შორის სპორტის ეროვნულ სახეობებში, თითოეული კუთხისთვის დამახასიათებელ ტრადიციულ ხალხურ თამაშებში. ღონისძიებების მაღალ დონეზე ჩატარების მიზნით, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები სტუმრობენ რეგიონებს და მასპინძლებთან ერთად განიხილავენ გასამართი სანახაობების გეგმას.









## გენეტიკა და სპორტი

„სპორტი და გენეტიკა"- ეს თემა ჩვენშიც იძენს აქტუალობას. ჩინელებმა სპორტში მეცნიერების ამ ახალ მიმართულებას ყველაზე უკეთ აუღეს ალღო, გაითავისეს და ბრწყინვალე შედეგებსაც მიაღწიეს პეკინში 2008 წელს გამართულ ოლიმპიურ თამაშებში. ჩვენში ამ საქმეს ხელი მოჰკიდა შპს „დნმ-დიაგნოსტიკამ" (დირექტორი **ნანა კირეულიშვილი**). საცნობარო ინფორმაცია დაეგზავნა ფედერაციებს. გუშინ ქალბატონი ნანა ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის გენერალურ მდივან **ემზარ ზენაიშვილს** შეხვდა. ამ დღეებში კი სპორტის სამინისტროსაც გააცნობს თავისი გეგმებს.



## სპორტული ცეკვები

„კავკასიის თასის" გათამაშებას „სპორტულ ცეკვებში" თბილისი უკვე მეთვრამეტედ უმასპინძლებს. წლევანდელი ასპარეზობა ყველაზე წარმომადგენლობითი იქნება - მოელიან 15 ქვეყნის 2000-მდე მონაწილეს სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიასა თუ დისციპლინაში. ორგანიზატორია საქართველოს სპორტული ცეკვების ეროვნული ფედერაცია, მხარდამჭერი - სპორტის სამინისტრო. ჰარმონიის ზეიმს სპორტკომპლექსი „არენა" 24 მაისიდან უმასპინძლებს.

**შენიშვნა:** „ლელო" ამიერიდან რუბრიკით „ახალი ამბების ესტაფეტა" სისტემატურად გამოაქვეყნებს ინფორმაციებს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე თუ დაგეგმილ სპორტულ მოვლენებზე. შეგვატყობინეთ რა ხდება თქვენთან, ან რას აპირებთ! ინფორმაციის მოსაწოდებლად ისარგებლეთ „ლელოს" მე-16 გვერდზე საცნობარო ბლოკში გამოქვეყნებული ნებისმიერი საკონტაქტო საშუალებით.

მოამზადა
**თენგიზ თომაშვილმა**



პერსპექტივა

# მეკალის ნახტომით კალათბურთში



ორშაბათს დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი 16-წლამდელთა შორის. ქულების საშუალო მაჩვენებლით შეჯიბრების ლიდერი **ვილი ისიანი** იყო - 29.9. გარდა ამისა, მის ანგარიშზე 19.3 მოხსნა, 3 დაფარება, 3.5 ჩაჭრა და 4.1 პასი იყო. იმასაც შეგახსენებთ, რომ ვილი ის კალათბურთელია, ამ სეზონში, ერთ მატჩში 127 ქულა რომ ჩააგდო („მართვესთან").

კიდევ არაერთი შთამბეჭდავი ციფრის ჩამოწერა შეგვიძლია, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგი 1997 წლის 11 აგვისტოსაა დაბადებული, ჯერ 15 წლისაა და ეფექტურ მონაგარს 16-წლამდელთა ჩემპიონატში აგროვებს. საქმე ისაა, ასაკის მატებასთან ერთად რიცხვებმა არ იკლოს, რაც ურთულესი საქმეა. ამისთვის აუცილებელია თავდაუზოგავი შრომა. ცნობილ სპეციალისტს, სვეტისლავ პეშიჩს აქვს ნათქვამი: გუნდში ნიჭიერი კალათბურთელები კი არა, შრომის ნიჭით დაჯილდოვებული მოთამაშეები მჭირდებაო. ჰოდა, სწორედ ადრეული ასაკიდან უნდა გამომუშავდეს შრომის ნიჭი, თორემ ქართველებში ბუნებრივ ტალანტებს რა გამოლევს.

მოკლედ, დროა უკეთ გავიცნოთ „შსს აკადემიასა" და კადეტთა ნაკრების მეათე ნომერი ვილი ისიანი, რომელიც საფეხბურთო გორის „დილას" მენეჯერის გია ისიანის ვაჟია.

- კალათბურთის თამაში 11 წლისამ სერგო იშხნელთან დავიწყე. ერთი წლის შემდეგ „დინამოში" არჩილ ჟღენტთან გადავედი. მან ნება დამრთო თამაშებისთვის „აკადემიას" დავმატებოდი, რადგან „დინამოში" უფროსებთან მიწევდა ვარჯიში. სხვათა შორის, ვასილ სომხიშვილთან „აკადემიაში" ახლაც დავდივარ - ინდივიდუალურად ვემზადები.

**- ამჟამად „შსს აკადემიას" 16-წლამდელთა გუნდში ხარ.**

- აქ არჩილ ჟღენტი გადმოვიდა და თან წამომიყვანა. ეს სეზონი გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით ჩავატარე. მისთვის პირველი წელი იყო მთავარი მწვრთნელის პოსტზე, მოხარული ვარ, იმედები გავუმართლეთ და ჩემპიონები გავხდით. ეს ჩემთვისაც პირველი ჯილდო იყო. მანამდე მხოლოდ ვერცხლის მედალი მქონდა მოპოვებული.

**- რომელ გუნდში?**

- კალათბურთში არა...

**- იოლი მისახვედრია - ფეხბურთში.**

- ასეა. ფეხბურთზე ოთხი წელი ვიარე. მეკარე ვიყავი. ერთ-ერთ ტურნირზე ვერცხლის მედლები მოვიგეთ და საუკეთესო მეკარის პრიზი მომცეს.

**- კალათბურთზე გადასვლა რატომ გადაწყვიტე?**

- დედაჩემის რჩევით შევედი. ბებიაჩემი, ია ახრახაძე კალათბურთელი იყო და სსრ კავშირის ნაკრებშიც აქვს ნათამაშები. არ მინდა გამომრჩეს, ინდივიდუალურად ვემზადებოდი ოლიმპიურ ჩემპიონ რობერტ შავლაყაძესთან, რომლის დახმარებითაც სიმაღლეზე ხტომა გავაუმჯობესე.

**- ამ სეზონში რეკორდი დაამყარე. რას ნიშნავდა შენთვის 40 წუთში 127 ქულის ჩაგდება?**

- მნიშვნელოვანი იყო. თავდაჯერება შემემატა. თუმცა ისიც უნდა ვთქვა, რომ 127 ქულა უმთავრესად გუნდის დამსახურება იყო, რეკორდის დამყარებაში მეგობრები ყოველმხრივ მეხმარებოდნენ.

**- შსს-ს მთავარი მწვრთნელი გიორგიოს კეცელიდისი ახალგაზრდებს დიდ გუნდში ხშირად გიხმობთ...**

- ჩვენთვის დიდი სტიმულია. ინგლისური ვიცი და ყურადღებით ვუსმენ მის რჩევა-დარიგებებს, რომლებსაც თავის კალათბურთელებს აძლევს. ვიცი, რომ ეს მეც გამომადგება.

**- სხვადასხვა პოზიციაზე გიწევს თამაში. ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე თქვი, მესამე-მეოთხე ნომრების ამპლუაში თამაში მირჩევნიაო.**

- მწვრთნელს სადაც დავჭირდები, იქ დავდგები. მიყვარს გარედან თამაში, ნელ-ნელა ვსწავლობ ყველაფერს, რაც პერიმეტრის მოთამაშესაც სჭირდება, რადგან კალათბურთი წინ მიდის და აუცილებელია უნივერსალიზმი.

**- საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრების წევრი ხარ. გუნდი ამ სეზონშიც არაერთხელ შეიკრიბა.**

- ვემზადებით B დივიზიონის მატჩებისთვის. რამდენიმე თვის წინ პირველი გასვლითი ტურნე გვქონდა - ბელარუსის საერთაშორისო ტურნირში მივიღეთ მონაწილეობა. მასპინძლების, უკრაინელებისა და ლიტველების წინააღმდეგ ვითამაშეთ. შეხვედრები ვერ მოვიგეთ, მაგრამ დიდი გამოცდილება მივიღეთ. საუკეთესო ცენტრად დამასახელეს.

**- სხვათა შორის, ბელარუსი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირშიც ჩვენი მეტოქეა.**

- დავმარცხდით, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ჩვენს შორის დიდი სხვაობაა. სარაევოში ბელარუსის ძლევა შეგვიძლია. ჯგუფში ასევე გვყავს ავსტრია, ლუქსემბურგი, უნგრეთი და ჩეხეთი. გრანდი არც ერთია, მაგრამ იოლად დასაძლევი ერთიც არ იქნება. იმედი მაქვს, ჯგუფიდან გასვლას შევძლებთ.

ქართველი უკრაინაში

# წუთი: ყველაზე მეტი, ქულა: თორმეტი

## ცინცაძემ აზოვმაშთან სტუმრად იმარჯვა

„მესამე პერიოდის ბოლოს **გიორგი ცინცაძემ** სირენასთან ერთად ჩააგდო ორქულიანი და „ბუდიველნიკის" სასარგებლოდ 65:52 დაფიქსირდა. 13 ქულა კი ის სხვაობა იყო, რომლის აღმოფხვრა „აზოვმაშს" გაუჭირდა და 63:80 დამარცხდა", - ვკითხულობთ ინტერნეტ-გამოცემა „ისპორტში".

ზედა აბზაციდან ბევრს შეიტყობდით, მაგრამ არაერთი კითხვაც გაჩნდებოდა. ვინც არ იცის, ვეტყვით, რომ ეს იყო უკრაინის ჩემპიონატის ფინალური სერიის მეოთხე მატჩი. მანამდე 2:1-ს „აზოვმაში" იგებდა და გუშინ შინ მოგებით ჩემპიონობას ძალიან მიუახლოვდებოდა. თუმცა როგორც ზემოთ წერია, მარიუპოლში ცინცაძის თანაგუნდელებმა იყოჩაღეს და სერიაში ანგარიში გაათანაბრეს - 2:2. ჩემპიონობას მოიპოვებს ის, ვინც ოთხჯერ მოიგებს. ასე რომ, როგორც საქართველოს ჩემპიონატში უკრაინიშიც ყველაფერი თავიდან იწყება. სერიის მეხუთე თამაში 26 მაისს კიევში იგეგმება და ვუსურვებთ ცინცაძეს საქართველოს დამოუკიდებლობის დღე გამარჯვებით აღენიშნოს.

რაც შეეხება მის გუშინდელ გამოსვლას, მარიუპოლში ბუდიველნიკელთაგან ყველაზე მეტი სწორედ „ბუმ" ითამაშა - 34 წუთი. ვინც შეხვედრა იხილა, დაგვეთანხმება, რომ სარგებლიანობის მიხედვით იგი ერთ-ერთი პირველი იყო. ამას ციფრებიც ადასტურებს: როცა ცინცაძე მოედანზე იყო, „ბუდიველნიკი" 17 ქულით დაწინაურდა.

გიორგიმ ორქულიანები და საჯარიმოები 50-პროცენტიანი სიზუსტით სტყორცნა - ორიანი 5 ჩააგდო, რასაც 2 საჯარიმო მიამატა და 12 ქულამდე ავიდა. ამასთან ოქმში მის გასწვრივ წერია: 3 პასი, 3 მოხსნა და 1 ჩაჭრა. არც ის უნდა გამოგვრჩეს, რომ ქართველი პლეიმეიქერის წინაშე იდგა **ლინ გრირი**, რომელსაც ევროლიგაში არაერთი სეზონი ჩაუტარებია მაღალ დონეზე. მან გუშინ 18 ქულა ჩააგდო. „ბუდიველნიკის" ბომბარდირი უკრაინელი მეფარე **მიხაილ ანისიმოვი** გახდა - 18.



ოფიციოზი

# ფიბა-ევროპის პრეზიდენტი თბილისში მოდის

უელსის ქალაქ ნიუპორტიდან დაბრუნდა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა. პრეზიდენტი **ბესიკ ლიპარტელიანი** და გენერალური მდივანი **მერაბ რატიშვილი** ფიბა-ევროპის გენერალურ ასამბლეას დაესწრენ.

უელსში ჩასული იყო ფიბა-ს ხელმძღვანელი **ივან მაინინი**. ვფიქრობთ, მკითხველსაც აინტერესებს, რა საკითხები განიხილეს და საერთოდ, ევროპის ჩემპიონატის ოთხ წელიწადში ერთხელ გამართვის შესახებ ხომ არ იმსჯელეს.

*- სანაკრებო მატჩების სისტემაზე არ ულპარაკიათ. გაირკვა, რომ ფიბა-ევროპის საპრეზიდენტო რიგგარეშე არჩევნები არ ჩატარდება, ოფიციალურად 2014 წელს უწევს და სწორედ მაშინ გაიმართება. უელსში გადაწყდა, რომ ივნისში თბილისს ეწვევა ფიბა-ევროპის პრეზიდენტი ოლაფ რაფნსონი. ასევე დაიგეგმა შემოდგომით ფიბა-მსოფლიოს ხელმძღვანელობის ჩამოსვლა. თუ პრეზიდენტი ივან მაინინი ვერ შეძლებს სტუმრობას, გენერალური მდივანი პატრიკ ბაუმანი აუცილებლად გვეწვევა, -* გვითხრა ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა.

ასევე დავინტერესდით საკლუბო ტურნირებით. გავრცელდა ცნობა, თითქოს სამის ნაცვლად ორი შეჯიბრება უნდა დარჩეს (ევროთასი და ევროლიგა, ევროჩელენჯი უქმდებაო). როგორც პრეზიდენტმა გვითხრა, ნიუპორტში ეს საკითხი არ დასმულა, რაც გვავარაუდებინებს, რომ 2013-14 წლების სეზონში სერიოზული საკლუბო ცვლილება არ განხორციელდება.






საქართველოს ნაკრები. რეიტინგი

# ბოლოები აღარ ვართ

ფიბა-ევროპის ოფიციალურ ვებ-საიტზე ევროპის 2013 წლის ჩემპიონატის წილისყრის შემდეგ რეგულარულად ქვეყნდება მონაწილე ქვეყნების რეიტინგი. საქართველოს ნაკრები თავდაპირველად მე-14 ადგილზე იყო, თუმცა მარტში, მას შემდეგ, რაც **ზაზა ფაჩულიას** ტრავმის შესახებ ინფორმაცია რეიტინგის შემდგენლებმაც შეიტყვეს, ჩვენი ნაკრების მაჩვენებლებმაც დაიწია და აპრილში სულაც ბოლო, 24-ე ადგილი მიგვიჩინეს.



გუშინ გამოქვეყნდა ახალი მონაცემები, რომლის მიხედვით ცოტა დავწინაურდით - 22-ე პოზიციაზე ავინაცვლეთ. იქვეა მცირე განმარტება: „როგორც ცნობილია, **გიორგი შერმადინი** სლოვენიის ევრობასკეტზე ითამაშებს. იგი ბერძნული „ოლიმპიაკოსის" წევრია და თავისი წვლილი შეიტანა ევროლიგის ოთხთა ფინალის მოგებაში. შეგახსენებთ, რომ ბერძნებმა ევროლიგა ზედიზედ მეორედ მოიგეს".

ახლა ჩვენს მეტოქეებზე. პირველად დეკემბრის შემდეგ ესპანეთმა პირველი ადგილი დათმო. ამის მიზეზი ისაა, რომ ოფიციალურად ითქვა - **პაუ გასოლი** სლოვენიაში არ ჩავა. პირველზე საფრანგეთის ნაკრები ავიდა.

მასპინძელი სლოვენია რეიტინგში მეხუთეა, ხოლო მეათეა ხორვატია, რომლის მწვრთნელმა **ჟასმინ რეპეშამ** ესპანურ „უნიკახასთან" სეზონის დასრულების შემდეგ კონტრაქტი გაწყვიტა.

ერთი საფეხურით დაწინაურდა და მე-17-ზე ავიდა პოლონეთი, რომლის შემადგენლობაში თამაშიც საბოლოოდ გადაწყვიტა ფინიქსელმა **მარცინ გორტატმა**.

საქართველოს ერთით უსწრებს (21-ე ადგილზეა) ჩეხეთი.

ქართველი საბერძნეთში



# მეოთხედფინალში უშერმადინოდ

საბერძნეთის პირველობაზე მეოთხედფინალები დაიწყო, თუმცა მასში „ოლიმპიაკოსის" ქართველი ცენტრი **გიორგი შერმადინი** ვერ ჩაერთო. მას კუნთი აქვს დაზიანებული და მკურნალობს.

სერიის პირველ მატჩში პირეოსელებმა პატრას „აპოლონს" უმასპინძლეს და 77:63 გაიმარჯვეს. მეორე შეხვედრა პატრაში 24 მაისს გაიმართება.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

ტესტები

# კუპერი ვოლაბების მიღმა

**ავსტრალიის ნაკრები ივნისში „ბრიტანელ ლომებს“ უმასპინძლებს. „ვოლაბების“ თავკაცმა რობი დინსმა გუნდის 25-კაციანი შემადგენლობა დაასახელა. თუმცა იქვე დაამატა, რომ სერიის დაწყებამდე კიდევ ექვს მოთამაშეს მიიწვევს.**

ავსტრალიელთა ყველაზე დიდი დანაკლისი მგეზავი **ქუადე კუპერია**, რომელიც აბსოლუტურად ჯანმრთელია, თუმცა „ვოლაბების“ თავკაცმა **რობი დინსმა** ნაკრების მიღმა დატოვა. ბოროტი ხმები ამბობენ, რომ მათ შორის შავმა კატამ გაირბინა. თუმცა დინსი კუპერთან ყოველგვარ კონფლიქტს უარყოფს.

*„კუპერი მძიმე ტრავმის შემდეგ ნელნელა შედის ფორმაში. ივნისის ტესტები და ზე რაგბი ერთმანეთისგან განსხვავებული დონის ტურნირებია. სანაკრებო დონეზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური დატვირთვა გაცილებით მეტია. დარწმუნებული ვარ, კუპერს არაერთხელ მიეცემა შანსი თავისი შესაძლებლობები გამოავლინოს ეროვნულ გუნდში. გამორიცხული არ არის, მას წლეულსვე, „ბრიტანელ ლომებთანაც“ მოუწიოს თამაშმა.*

*კუპერი ნაკრებში 38-ჯერ გამოვიძახე, მას ვენდობოდი და მხარს ვუჭერდი. ეს ზუსტად იმის მაჩვენებელია, რომ მასთან პრობლემა არ მაქვს. საპირისპიროს მტკიცება უბრალოდ ნონსენსია“* - თქვა ვოლაბების მთავარმა მწვრთნელმა რობი დინსმა.



მგეზავის პოზიციაზე ავსტრალიელთა რიგებში **კრისტიან ლეალიფანო** (ბრამბიზი) და **ჯეიმზ ოკონორი** (რებლზი) არიან გამოძახებულნი. კუპერთან ერთად ნაკრების სიაში არ არის **ქართლი ბეილი**, რომელმაც ტრავმა ახლახან მოირჩინა და რეაბილიტაციის პროცესშია. ავსტრალიელი ქომაგებისთვის სამწუხაროდ, გასულ უქმეებზე დაშავდა ვეტერანი **ჯორჯ სმიტი**. დაშავებულია ასევე შერკინების კვაჭი **ტატაფუ პოლოტა-ნაუ**. ამ პოზიციაზე დინსმა **საია ფაინგაა** და **სტივენ მური** შეიგულა.

### ავსტრალია

**პირველი ხაზი:** ბენ ალექსანდერი, სტეფან მური (ორივე-ბრამბიზი), სეკოპე კეპუ, ბენ რობინსონი (ორივე-ვორათაზი), ჯეიმზ სლიპერი, საია ფაინგაა (ორივე-რედსი).

**მეორე ხაზი:** ჯეიმზ ჰოვილი, რობ საიმონსი (ორივე-რედსი), სიტალეკი ტიმანი (ვორათაზი).

**მესამე ხაზი:** დეივ დენისი, მაიკლ ჰუპერი, ვიკლიფი პალუ (სამივე-ვორათაზი), ლიამ გილი (რედსი), სკოტ ჰიგინბოთამი (რებლზი), ბენ მოუმენი (ბრამბიზი).

**№9:** ვილი გენია (რედსი).

**№10:** კრისტიან ლეალიფანო (ბრამბიზი), ჯეიმზ ოკონორი (რებლზი).

**№12-13:** ადამ ეშლი კუპერი, რობ ჰორნი (ორივე-ვორათაზი)

**№11-14:** ნიკ კამინსი (ფროსი), დიგბი იოანი (რედსი), ჯო ტომანე (ბრამბიზი).

**№15:** ბერიკ ბარნსი, ისრაელ ფოლაუ (ორივე-ვორათაზი)

# სამი ჩიტაზელი ბოკეში

**სამხრეთ აფრიკის ნაკრები ივნისში, შინ ოთხთა ტურნირს უმასპინძლებს. „ბოკეს“ მთავარმა მწვრთნელმა ჰეინკე მეიერმა რიგით მეორე საწვრთნელ კემპზე 38 მორაგბეს უხმო. მათ შორის რვა ისეთია, რომელთაც პირველ საწვრთნელ შეკრებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.**

სამხრეთ აფრიკის ნაკრების თავკაცმა წინასწარ შერჩეულ გუნდს შემდეგი მოთამაშეები დაამატა: **ხიო ეპლონი** (სტორმერზი), **ტრევორ ნიაკანე, ლაპის ლაბუსჰაჰნი, ვილი ლე რუ** (სამივე-ჩიტაზი), **ჯეი ჯეი ენგელბერხტი, ლიონელ მაპოე** (ორივე-ბლუ ბულზი), **ვინან ჰერბტსი** (ნატალ შარქსი), და **დემეტრი კატრაკილისი** (საუთერნ კინგზი).

ალსანიშნავია, რომ მეიერის განკარგულებაში ტრავმების გამო არ იქნებიან: ჯეი პი პიტერსენი, იაკო ტეუტი, ფრანსუა სტეინი, იოჰან გუსენი, დუეინ ვერმულენი, პეტ კილიერსი და ფრანსუა მალერბა. ამასთან ერთად, იაპონური კლუბი არ უშვებს **ანდრიას ბეკერს**, ვინაიდან იქ ამ დროს სეზონის ბოლო თამაშებია.

*„ვამჩნევ, რომ მოთამაშეთა უმრავლესობა დღითი დღე აუმჯობესებენ თავიანთ კონდიციებს. ცხადია, ამჟამინდელი შეკრება მათზე კიდევ უფრო უკეთეს გავლენას მოახდენს.“* - თქვა ჰეინკე მეიერმა.

ამასობაში, ყოფილმა „ბოკემ“ და ამჟამად ფრანგული „ტულონის“ მეორეხაზელმა **ბაკის ბოთამ** განაცხადა, რომ მზადაა ეროვნულ გუნდში დაბრუნდეს. თუმცა მეიერმა გადაწყვიტა, რომ საზღვარგარეთ მოთამაშე მორაგბეებს დასვენების საშუალება მისცეს.

სამხრეთაფრიკელთა მორიგი საწვრთნელი კემპი კვირას დურბანში დაიწყება.

### სამხრეთი აფრიკა

შერკინება: ტენდაი მთავარირა, ტრევორ ნიაკანე, იანი დუ პლესი, კონი ოსტჰუიზენი, ვინან ჰერბტსი, ადრიან სტრაუსი, ბისმარკ დუ პლესი, ჩილიბოი რელეპელე, ებენ ეტზებესი, ფლიპ ფან დერ მერვე, ივანდერ კრუხერი, პიტერსტეპ დუ ტუა, სიია კოლისი, მარსელ კუცია, ვილემ ალბერტსი, არნო ბოთა, ლაპის ლაბუშენი, პიერ სპისი, რაიან კანკოვსკი.

უკანა ხაზი: იანო ვერმაკი, ფრანსუა ჰუგარი, პატრიკ ლამბიე, მორნი სტეინი, ელიოტ იანტისი, დემეტრი კატრაკილისი, იან დე ფილიერსი, იან დე იონგი, იან სერფონტეინი, რობერტ ებერსონი, ჯეი ჯეი ენგელბერხტი, ბრაიან ჰაბანა, ლვაზი მვოვო, რაიმონდ რული, ლიონელ მაპოე, ბიორნ ბესონი, ხიო ეპლონი, ზან კირხნერი, ვილი ლე რუ.

საქართველოს ჩემპიონატი

## ყოჩები და აკადემია ისევ უმაღლესშია

საქართველოს ჩემპიონატის გათამაშების გადასასვლელ პლეი ოფში წარმატებას უმაღლესი ლიგის გუნდებმა, „ყოჩებმა“ და „აკადემიამ“ მიაღწიეს. მათ ორმატჩიან დაპირისპირებაში ორჯერ სძლიეს პირველლიგელებს, შესაბამისად, თბილისის „თიბისის“ და ქუთაისის „ბაგრატს“. შედეგად, ორივე მათგანი მომავალ სეზონში ისევ უმაღლეს ლიგაში იასპარეზებს.

| გადასასვლელი პლეი ოფი | |
|---|---|
| აკადემია-ბაგრატი | 28:17 (18:8) |
| ყოჩები-თიბისი | 23:18 (19:6) |

# ოდრისკოლი მსოფლიოს თასზე არ ითამაშებს

მსოფლიოს რაგბის მოქმედმა ლეგენდამ, ირლანდიის ნაკრების შუამარბმა **ბრაიან ოდრისკოლმა** უარყო მოსაზრება, რომ 2015 წლის მსოფლიოს თასზე თამაშს არ აპირებს. 34 წლის მორაგბემ ახლახან განაცხადა, რომ „ლენსტერთან“ მხოლოდ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.



*„დავიღალე ამ თემაზე სპეკულაციით. რამდენჯერ უნდა ვთქვა ინტერვიუში, რომ მსოფლიოს თასზე ვერ ვითამაშებ, აღარ ვიცი. ახლაც მეუღლის დაჟინებული თხოვნით „ლენსტერთან“ ერთწლიანი კონტრაქტი გავაფორმე. როგორც კი მომავალი სეზონი დასრულდება რაგბის თამაშს თავს დავანებებ და მწვრთნელობას მივყოფ ხელს“* - თქვა ბრაიან ოდრისკოლმა.

შვიდკაცა რაგბი



# მთავარი ბრძოლები ჩეხეთშია

**საქართველოს შვიდკაცა რაგბის ქალთა ნაკრებმა გასულ უქმეებზე ჰოლანდიაში, ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე „ამსტერდამის შვიდკაცაზე“ იასპარეზა. სამწუხაროდ, ჩვენი გუნდი მოწინავე ოთხეულის მიღმა დარჩა.**

შეჯიბრებაში ნაკრებებთან ერთად ევროპის სხვადასხვა ქვეყნის საკლუბო გუნდებიც თამაშობდნენ. საქართველოს ნაკრებმა პირველი მატჩი ნორვეგიულ „ტაბუსოროსთან“ გამართა და მშრალი ანგარიშით 21:0 მოიგო. სამწუხაროდ, მომდევნო მატჩში ჩვენი ქალთა გუნდი ბელგიის ნაკრებთან დამარცხდა - 12:24. ალსანიშნავია, რომ ჩვენმა მორაგბეებმა ნაკრები გუნდებიდან მხოლოდ ჩეხეთს სძლიეს - 7:5. უკრაინასთან კი 12:22 დამარცხდნენ და ნახევარფინალის მიღმა დარჩნენ.

საგულისხმოა, რომ ტურნირი სწორედ უკრაინის ნაკრებმა მოიგო. ამ გუნდმა ფინალში დიდი ანგარიშით სძლია გერმანიის შვიდკაცა რაგბის ქალთა გუნდს - 36:0.

საქართველოს ნაკრები 8-9 ივნისს ჩეხეთში ევროპის სერიის A დივიზიონში იასპარეზებს. ჩვენი გუნდი აქ A ჯგუფში მოხვდა, სადაც მეტოქეობას შვედეთის, ხორვატიის, რუმინეთისა და პოლონეთის გუნდები გაუწევენ. B ჯგუფში კი შვეიცარიის, მოლდოვას, ბელგიის, უნგრეთის, ჩეხეთისა და დანიის ნაკრებები იასპარეზებენ. ამ ტურნირის გამარჯვებული მომავალ წელიწადს ევროპის გრან პრის სერიაში ანუ უძლიერესთა შორის ითამაშებს.

### ამსტერდამის შვიდკაცა

საქართველო-ტაბუსორო 21:0, საქართველო-ბელგია 12:24, საქართველო-ჩეხეთი 7:5, საქართველო-ლორენი 26:0, საქართველო-უკრაინა 12:22.

### ნახევარფინალი

უკრაიანა-პანამე იუნაიტედი 27:0, გერმანია-ბელგია 19:14

### ფინალი

უკრაინა-გერმანია 36:0

### 8-9 ივნისი. ჩეხეთი

**A ჯგუფი:** საქართველო, შვედეთი, ხორვატია, რუმინეთი, ავსტრია, პოლონეთი.

**B ჯგუფი:** შვეიცარია, მოლდოვა, ბელგია, უნგრეთი, ჩეხეთი, დანია.

თბილისის თასი

# სამი ცვლილება ბორჯღალოსნების შემადგენლობაში

**ივნისში გასამართი „თბილისის თასის“ გათამაშებაში საქართველოს ნაკრების წინასწარ გამოცხადებულ შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილებაა. „ბორჯღალოსანთა“ თავკაცმა მილტონ ჰეიგმა საბოლოო სია გამოაქვეყნა.**

აქამდე გაცხადებულ სიაში სამი ახალი მორაგბეა. პირველ ხაზში „არმიას“ შერკინების კვაჭის **შალვა მამუკაშვილის** ნაცვლად, ფრანგული „ბაგნერეს“ მორკინალს **სიმონ მაისურაძეს** უხმეს. შერკინების ბურჯ **მიხეილ ნარიაშვილს** (მონპელიე) კი, „კასტრის“ პირველხაზელი **ანტონ ფეიქრიშვილი** შეცვლის, რომელსაც ეროვნულ გუნდში ორი წელიწადია არ უთამაშია.

ეროვნულ ნაკრებში გამოიძახეს „ალბის“ მეორეხაზელი **ვახტანგ მაისურაძე**, მან არმიელი **ბექა ბიწაძის** ადგილი დაიკავა.

### საქართველო

**პირველი ხაზი:** ანტონ ფეიქრიშვილი (კასტრი) დავით ქუბრიაშვილი, ლევან ჩილაჩავა (ორივე-ტულონი), ირაკლი მირცხულავა (ტარბი), ზურაბ ჟვანია (სტად ფრანსე), ირაკლი ნატრიაშვილი (ბრივი), სიმონ მაისურაძე (ბაგნერე).

**მეორე ხაზი:** გიორგი ჩხაიძე (ტარბი), კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი), ლაშა ლომიძე (მონპელიე), ვახტანგ მაისურაძე.

**მესამე ხაზი:** გიორგი ნემსაძე (ტარბი), ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი), დიმიტრი ბასილაია (ედინბურგი), შალვა სუთიაშვილი (მასი).

**№9:** ვაჟა ხუციშვილი (ხარები), გიორგი ბეგაძე (ბათუმი)

**№10:** ლაშა ხმალაძე (ლელო)

**№11-14:** თამაზ მჭედლიძე (მონ დე მარსანი), გიორგი ფრუიძე (აია), ირაკლი მაჩხანელი (არმაზი).

**№12-13:** დავით კაჭარავა (როდეზი), მერაბ შარიქაძე (აკადემია), თედო ზიბზიბაძე (პერიგო).

**№15:** ბექა წიკლაური (ლოკომოტოვი), მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟუნიენი).

### თბილისის თასი

**7 ივლისი**

**ურუგვაი-სამხრეთ აფრიკის საპრეზიდენტო ნაკრები**

**საქართველო-მზარდი ირლანდია**

**11 ივლისი**

**მზარდი ირლანდია-სამხრეთ აფრიკის საპრეზიდენტო ნაკრები**

**საქართველო-ურუგვაი**

**16 ივლისი**

**ურუგვაი-მზარდი ირლანდია**

**საქართველო-სამხრეთ აფრიკის საპრეზიდენტო ნაკრები**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი.

# კლიპერსმა დელ ნეგრო გაუშვა

"ლოს ანჯელეს კლიპერსის" ხელმძღვანელობა არ გაახანგრძლივებს კონტრაქტს თავის ამჟამინდელ მთავარ


ვინი დელ ნეგრო

მწვრთნელთან **ვინი დელ ნეგროსთან.** და ეს იმის მიუხედავად, რომ 46 წლის სპეციალისტის ხელმძღვანელობით გუნდმა ამ სეზონში საკლუბო რეკორდი დაამყარა – 56 მოგებით დაასრულა ჩემპიონატი და პირველად მოიგო წყნარი ოკეანის დივიზიონი. მაგრამ კალიფორნიელებმა პლეი ოფის პირველივე რაუნდში წააგეს სერია "მემფისთან" – 2:4.

ამ სპეციალისტთან კონტრაქტი 30 ივნისს იწურება.

როგორც ჩანს, კლუბის ხელმძღვანელობამ ასეთი გადაწყვეტილება იმ მიზეზით მიიღო, რათა გაეზარდა გამთამაშებელ **კრის პოლის** შენარჩუნების შანსები. ეს კალათბურთელი ამ ზაფხულს თავისუფალი აგენტი გახდება.

2010 წლამდე დელ ნეგრო „ჩიკაგო ბულზს" ედგა სათავეში, რის შემდეგაც აღმოჩნდა "კლიპერსში". მან 230-ჯერ უხელმძღვანელა გუნდს და 128 გამარჯვება მოიპოვა.

# ლატარია კლივლენდმა მოიგო

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში გაიმართა 2013 წლის დრაფტის ლატარია, რომლის მიხედვითაც პირველ ნომრად არჩევის უფლება "კლივლენდმა" მიიღო, მეორე ნომერი ერგო "ორლანდოს", მესამე – "ვაშინგტონს".

ლატარიის წინ, გუნდების შანსები პირველი ნომრის არჩევის უფლებაზე შემდეგნაირად ნაწილდებოდა: 25 პროცენტი "ორლანდოს", 19.9 – "შარლოტს", 15.6 – "კლივლენდს", 11.9 – "ფინიქსს", 8.8 – "ნიუ ორლეანს"...

ლატარიის შედეგად, მეოთხე ნომრის არჩევა "შარლოტს" ერგო. ასევე პირველ 15 გუნდში არიან: "ფინიქსი", "ნიუ ორლეანი", "საკრამენტო", "დეტროიტი", "მინესოტა", "პორტლენდი", "ფილადელფია", "ოკლაჰომა "("ტორონტოსგან") ,"დალასი" და "იუტა".

NBA-ის დრაფტი 27 ივნისს, ნიუ იორკის Barclays Center-ში გაიმართება.

ვარაუდობენ, რომ 2013 წელს დრაფტის პირველი ნომერი გახდება "კენტუკის" ცენტრი **ნერლენს ნოელი,** "კანზასის" მცველი **ბენ მაკლემორი,** "ჯორჯთაუნის" ფორვარდი **ოტო პორტერი** ან "მიჩიგანის" მცველი **ტრეი ბერკი.**

ბოლოს „კლივლენდს" დრაფტზე პირველი ნომრის არჩევის უფლება 2011 წელს ჰქონდა და მაშინ გუნდს ერგო მცველი **კაირი ირვინგი**, რომელიც 2011-12 წლების სეზონის საუკეთესო დებიუტანტი გახდა.



კლივლენდს გაუმართლა

# და მაინც კუიჟევსკი

საბოლოოდ გადაწყდა, რომ დიუკის უნივერსიტეტის მთავარი მწვრთნელი **მაიკ კუიჟევსკი** აშშ-ის ნაკრებს უბრუნდება. 2012 წლის ოლიმპიადის მოგების


მაიკ კუიჟევსკი

შემდეგ, 66 წლის სპეციალისტმა განაცხადა, რომ აღარ აპირებს ნაკრების ხელმძღვანელობას. მაგრამ, ახლა, კუიჟევსკიმ გადაიფიქრა და სურს ზედიზედ მესამე ოლიმპიადაზე გაუძღვეს წინ „დრიმ თიმს".

როგორც ამერიკული პრესა წერს, ამ ამბის შესახებ ოფიციალურად უახლოესი 48 საათის განმავლობაში გამოცხადდება. მწვრთნელი 2016 წლის ბოლომდე გააფორმებს კონტრაქტს და ნაკრებს მადრიდში მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატზე და 2016 წელს რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიადაზე უხელმძღვანელებს.

კუიჟევსკიმ ეროვნული გუნდი 2006 წელს ჩაიბარა, როცა ამერიკის ნაკრებმა ზედიზედ ორი დიდი ტურნირი ჩააგდო - მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატი (მე-6 ადგილი) და ათენის ოლიმპიური თამაშები (მე-3 ადგილი). ამ სპეციალისტის ხელმძღვანელობით, ამერიკელებმა ზედიზედ ორი ოლიმპიადა მოიგეს - 2008 წელს პეკინში და 2012 წელს ლონდონში. აშშ-ის ნაკრებში კუიჟევსკის ანგარიშზე 61 მოგება და მხოლოდ ერთი წაგებაა.

NBA. პლეი ოფი

# ბოლო სიტყვა დანკანისაა


შეტევაში ტიმ დანკანი

პირველი მატჩის შემდეგ, რომელშიც **ლაინელ ჰოლინზის** შეგირდებმა ვერაფერი დაუპირისპირეს „სან ანტონიო სპურსის" ბრწყინვალე თამაშს, ბევრმა ამ სერიაში „მემფისი" განწირულად გამოაცხადა. ეს არც არის გასაკვირი: „გრიზლისი" პირველად თამაშობს კონფერენციის ფინალში, „სან ანტონიოსთვის" კი ასეთი რამ ბოლო 15 წელიწადში მერვედ ხდება. მიუხედავად ამისა, სტუმრებმა კინაღამ გააცამტვერეს პროგნოზისტთა ვარაუდი.

პირველ ტაიმში „სპურსის" სრული უპირატესობის მიუხედავად, დიდი შესვენების შემდეგ, **გრეგ პოპოვიჩის** გუნდს სერიოზული საფრთხე დაემუქრა. როგორც კი სათადარიგოთა სკამზე დასხდნენ **ტიმ დანკანი** (მეოთხე პერსონალურის გამო) და **ტონი პარკერი**, „მემფისმა" მაშინვე 16:6 გაქცევა მოაწყო და სხვაობა რვა ქულამდე შეამცირა. ხოლო, როცა პოპოვიჩმა პარკერი ისევ მოედანზე დააბრუნა, ფრანგმა სუპერგამთამაშებელმა (18 შედეგიანი პასი - პირადი რეკორდი პლეი ოფში) ზედიზედ ხუთი ტყორცნა ააცილა.

ამასთან, სტუმრებმა ოპტიმალურ სათამაშო სქემას მიაგნეს: მცველი **პონდექსტერი** ფორვარდის პოზიციაზე გადავიდა, უკანა ხაზზე კი ორი პირველი ნომერი (**კონლი** და **ბეილესი**) მოქმედებდა.

ასეთი მსუბუქი ხუთეულით „დათვები" უფრო მხიარულად ათამაშდნენ. მართალია, ისინი სირენამდე ერთი წუთით ადრე თითქმის უიმედოდ აგებდნენ (მინუს შვიდი), მაგრამ მაინც მოახერხეს მატჩის ოვერტაიმში გადაყვანა. **რენდოლფმა** ერთ შეტევაში სამი ქულა დააგროვა (**ბონერის** ჯარიმის შემდეგ), შემდეგ **ჯინობილიმ** ითამაშა ცუდად, როცა ბურთი დაკარგა და იქვე იუხეშა **ალენზე**, რითაც მეტოქეს ორი ჯარიმა და ბურთის ფლობა აჩუქა. ალენმა ორივე საჯარიმო გამოიყენა, შემდეგ კი კონლიმ საშუალო ტყორცნა ჩააგდო.

დამატებითმა ხუთმა წუთმა კი ტიმ დანკანის ბრწყინვალე თამაშით ჩაიარა. 37 წლის ვეტერანმა ოვერტაიმში პირველი ექვსი ქულა თავის ანგარიშზე მიითვალა, ერთი შედეგიანი პასი შეასრულა და ბოლოს **მარკ გასოლს** დაუფარა. ეს იყო ტიმისთვის მატჩში მეოთხე და პლეი ოფის მატჩებში მე-500 ბლოკშოტი. NBA-ის ისტორიაში ასეთი შედეგი არც ერთ კალათბურთელს არ აქვს.

ასეთი ფსიქოლოგიური დარტყმის შემდეგ, „მემფისს" გაუჭირდება გონს მოსვლა, თუმცა პლეი ოფის პირველ რაუნდში ამ გუნდმა შეძლო 0:2-დან „კლიპერსის" წინააღმდეგ სერიის მოგება. ასე რომ, „გრიზლისის" ჩამოწერა ჯერ ნაადრევია.

შემდეგი მატჩი შაბათს, „მემფისის" მოედანზე გაიმართება.

**სან ანტონიო–მემფისი 93:89 (ო)**

15:13, 31:18, 30:33, 9:21, 8:4

ს-ა: დანკანი (17+9 მოხსნა+4 დაფარება+3 პასი), პარკერი (15+18 პასი+5 მოხსნა+3 ჩაჭრა), სპლიტერი (14), ლეონარდი (12+9 მოხსნა), გრინი (11+3 დაფარება).

მ: ბეილესი (18+3 პასი), კონლი (18+4 პასი), რენდოლფი (15+18 მოხსნა+3 პასი), მ. გასოლი (12+14 მოხსნა+4 პასი).

**სერია:** 2-0

ამბები

## პარკერს მოკვლით დაემუქრნენ?

ამერიკის პოლიცია გამოიძიებს ინციდენტს "სან ანტონიო სპურსის" გამთამაშებლის **ტონი პარკერის** მკვლელობის მუქარასთან დაკავშირებით. როგორც ამერიკული პრესა წერს, დასავლეთი კონფერენციის ფინალის პირველი მატჩის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე, უცნობმა 911-ში კალათბურთელის მისამართით მუქარის ზარი განახორციელა.

ინფორმაცია გადაეცა შერიფის ოფისს, რომელიც AT & T Center-ის უსაფრთხოებაზეა პასუხისმგებელი. არენაზე მაშინვე მიიღეს უსაფრთხოების გაძლიერებული ზომები, თუმცა არანაირ ინციდენტს ადგილი არ ჰქონია.

მატჩის შემდეგ, უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა ფრანგი სახლამდე მიაცილეს.

## ლიტვის გაფართოებული

ლიტვის ნაკრების ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **იონას კაზლაუსკასმა** ევრობასკეტისთვის თავისი გუნდის გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა.

სიაში შემდეგი კალათბურთელები მოხვდნენ:

**მცველები** - მანტას კალნიეტისი („ლოკომოტივი"), ტომას დელინინკაიტისი („ჩერკასი"), ადას იუშკიავიჩუსი („ჟალგირისი"), რენალდას სეიბუტისი („ლეტუვოს რიტასი"), მარტინას გეჩევიჩუსი („ოლიმპიაკოსი");

**ფორვარდები** - მარტინას პოციუსი („პეჟო"), მინდაუგას კუზმინსკასი, პაულიუს იანკუნასი, კშიშტოფ ლავრინოვიჩი (ყველა - „ჟალგირისი"), დონატას მოტეიუნასი („ჰიუსტონი"), ლინას კლეიზა ("ტორონტო");

**ცენტრები** - იონას ვალანჩიუნასი ("ტორონტო"), დარიუშ ლავრინოვიჩი, რობერტას იავტოკასი („ჟალგირისი").

## ესპანეთს გაფიცვა ემუქრება

ესპანეთის ჩემპიონატში მონაწილე კალათბურთელები გაფიცვით იმუქრებიან. რამდენიმე დღის წინ, პროფესიონალ მოთამაშეთა ასოციაციამ ათი მოთხოვნა წაუყენა კლუბების ასოციაციას, თუმცა ლიგის ხელმძღვანელობისა და კლუბების მფლობელებისგან ამას არანაირი რეაქცია არ მოჰყოლია.

პროფკავშირების პრეზიდენტმა **ხოსე ლუის ლორენტემ** ადრე განაცხადა, რომ ყველა საკამათო საკითხი 48 საათის განმავლობაში მოგვარდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა და ამიტომაც, 26 მაისს, მოთამაშეები გაფიცვას დაიწყებენ.

*"ჩვენს უფლებას გაფიცვასთან დაკავშირებით 26 მაისს, ღამით გამოვიყენებთ და ეს უვადო აქცია იქნება"*, - წერია კალათბურთელთა ასოციაციის მიმართვაში.

## დურანტმა მილიონი შესწირა

"ოკლაჰომა-სიტის" ლიდერმა **კევინ დურანტმა** ერთი მილიონი დოლარი შესწირა ორგანიზაცია "წითელ ჯვარს". ამით NBA-ის ვარსკვლავი ტორნადოთი დაზარალებულებს დაეხმარა. სტიქიური უბედურება ოკლაჰომას შტატს 20 მაისს დაატყდა. ბოლო ინფორმაციით, სტიქიის შედეგად 91 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის, 20 ბავშვია, რადგან უზარმაზარი ტალღის პირველი დარტყმა დაწყებითმა სკოლამ მიიღო, რომელიც ქალაქ მურში მდებარეობდა.

თხილამურებით რბოლა

# იოლად გადარჩა

უსიამოვნო ინციდენტი შეემთხვა 2010 წლის ოლიმპიურ ჩემპიონს, ნორვეგიელ **კრისტენ სტერმერ სტეირას** - ვარჯიშის დროს მას მანქანა დაეჯახა.

32 წლის სპორტსმენი ქალაქ დრებაკის ახლოს, ტრასაზე გორგოლაჭებიანი თხილამურებით ვარჯიშობდა. შუქნიშანზე ერთ-ერთმა ავტომობილმა მოთხილამურეს გზა არ დაუთმო და დაეჯახა. საავადმყოფოში სტეირას ორი ნეკნის მოტეხილობა და რამდენიმე მსუბუქი დაზიანება დაუდგინეს.

ნორვეგიელმა განაცხადა, რომ ინციდენტი სერიოზული იყო და იოლად გადარჩა. სტეირამ იმედი გამოთქვა, რომ უახლოეს ხანში შეძლებს ვარჯიშების გაგრძელებას.

კრისტენი მეორე ნორვეგიელი მოთხილამურეა, რომელიც ავტოსაგზაო შემთხვევაში მოხვდა. 2010 წელს, ვანკუვერის ოლიმპიურ ჩემპიონს **ტერეზა იოჰაუგს** მანქანა დაეჯახა ტრონჰეიმში ვარჯიშის დროს. მაშინ სპორტსმენი თითქმის არ დაზარებულა.


კრისტენ სტეირა

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰოკეი. NHL პლეი ოფი



ბოსტონი მესამედაც ძლიერი იყო

# ბენეფისი არ შედგა

„ბოსტონისა“ და „რეინჯერსის“ სერიის მესამე მატჩი ბენეფისი უნდა გამხდარიყო ნიუიორკელთა მეკარე **ჰენრიკ ლუნდკვისტისთვის**. ამის შესახებ წერდნენ ჟურნალისტები და შვედს მესამე მატჩების „მეფედ“ მოიხსენიებდნენ: ბოლო ხუთ შეხვედრაში, რომელიც სერიაში რიგით მესამე მატჩი იყო, ლუნდკვისტი აუცილებლად ახერხებდა გამარჯვებას. და ამ ხუთი სერიიდან „რეინჯერსმა“ სამში გამარჯვება მოიპოვა. მოყვანილ იქნა სწორედ ამ მესამე მატჩების ფანტასტიკური სტატისტიკა: 1.01 გაშვებული გოლი და მოგერიების 96.6 პროცენტი.

ლუნდკვისტი მართლაც მოწოდების სიმაღლეზე იყო მთელი მესამე მატჩის განმავლობაში, მაგრამ „ბოსტონს“ მაინც ვერ გაუმკლავდა, რადგან „დათვებს“ მთელი 60 წუთი მიჰყავდათ თამაში. მარტო პირველ პერიოდში, მასპინძლების მეკარემ ორჯერ გადაარჩინა გუნდი მეტოქის ერთი ერთზე გასვლის შემდეგ, მეორე პერიოდშიც „მშრალად“ შეინახა საკუთარი კარი და თითქოს ამართლებდა „მესამე მატჩების მეფის“ სტატუსს, მაგრამ ბოლომდე ვერ გაძლო.

გამარჯვების გოლი, რომელიც **დანიელ პეიმ** გაიტანა, კურიოზული გამოდგა. **გრეგორი კემპბელმა** შორი მანძილიდან დაარტყა, შაიბა კარის წინ მდგარი **შონ ტორნტონის** ყვანჯს მოხვდა და რიკოშეტით შეეხო ჯერ ლუნდკვისტის ჩაფხუტს, შემდეგ ძელს და ყინულზე დავარდა, რის შემდეგაც, პეიმ ის ცარიელ კარში შეაცურა.

სერიაში ანგარიში გახდა 3:0, რაც უდიდესი უპირატესობაა, მაგრამ ბოსტონელ ჰოკეისტებს სიტყვაც არ დაცდენიათ იმის შესახებ, რომ სერია თითქმის მოგებულია. ბევრს კარგად ახსოვს 2012 წლის ისტორიული სერია, როცა „ფილადელფიამ“ სწორედ 0:3-დან მოახერხა „ბოსტონის“ სტენლის თასიდან გაგდება.

| რეინჯერსი-ბოსტონი | 1:2 |
|---|---|

0:0, 1:0, 0:2

**გოლები**: 1:0 პიატი-2 (მაკდონაჰი-2), 1:1 ბოიჩაკი-4 (პეი-2, შ. ტორნტონი-1), 1:2 პეი-2 (შ. ტორნტონი-2, გ. კემპბელი-2).

**სერია**: 0-3

■ ■ ■

„სან ხოსემ“, რომელმაც სტუმრად ორი სასტარტო შეხვედრა წააგო, მოახერხა სერიაში თანაფარდობის აღდგენა - მან მეორე საშინაო მატჩიც მოუგო სტენლის თასის მოქმედ მფლობელს. მოკრძალებული ანგარიშის მიუხედავად, ამჯერად, „ზვიგენები“ გაცილებით აღემატებოდნენ მეტოქეს, რომელსაც პირველ ორ პერიოდში თითქმის არ ჰქონია შეტევა.

21:9 - ასეთი იყო დარტყმების შეფარდება საწყისი 40 წუთის შემდეგ. თუმცა მესამე პერიოდი აქტივობის მხრივ სრულიად განსხვავებული აღმოჩნდა. „სან ხოსემ“ უკან დაიხია და საშუალება მისცა **მაიკ რიჩარდსს** დამატებაზე გაეტანა ერთი საპასუხო შეტევა, თუმცა მასპინძლებმა მაინც შეინარჩუნეს სასურველი ანგარიში.

| სან ხოსე-ლოს ანჯელესი | 2:1 |
|---|---|

1:0, 1:0, 0:1

**გოლები**: 1:0 ბერნსი-2 (ჯ. ტორნტონი-8, გალიარდი-1), 2:0 კუტური-5 (დ. ბოილი-4, პაველსკი-6), 2:1 მ. რიჩარდსი-2 (ჯ. კარტერი-3, კკოპიტარი-4).

**სერია**: 2-2

## მძლეოსნობა

# ნელს პისტორიუსი არ ირბენს

სამხრეთაფრიკელი მორბენალი-ამპუტანტი **ოსკარ პისტორიუსი** ჯერჯერობით არ გეგმავს ტურნირებზე დაბრუნებას.

შეგახსენებთ, რომ ცნობილი მორბენალი ბრალდებულია თავისი შეყვარებულის **რივა სტინკამპის** მკვლელობაში. თავად სპორტსმენი ამტკიცებს, რომ მკვლელობა ტრაგიკული შემთხვევითობის ბრალია, რადგან ღამით, საკუთარ სახლში ქალი მძარცველად მიიღო.

ამის შემდეგ სასამართლომ დააკმაყოფილა მორბენალის ადვოკატების თხოვნა და უფლება მისცა პისტორიუსს საზღვარგარეთ იმოგზაუროს ტურნირებზე. თუმცა, როგორც ოსკარის მწვრთნელმა **ემპი ლოუვმა** განაცხადა, პისტორიუსი 2013 წელს არ აპირებს სტარტზე გასვლას.

*„ჩვენ, როგორც გუნდმა, გადავწყვიტეთ, რომ ჯერჯერობით არ ვლაპარაკობთ ვარჯიშებსა და ტურნირებზე. უარი ვთქვით ყველა იმ შეჯიბრებაზე, რომელიც 2013 წელს გვქონდა დაგეგმილი“*, - განაცხადა ლოუვმა.

ასე რომ, ოსკარ პისტორიუსი არ გამოვა მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელიც ზაფხულში მოსკოვში გაიმართება.

■ ■ ■

ასევე არ ჩავა რუსეთის დედაქალაქში ქალებს შორის მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი 5 და 10 ათას მეტრზე სირბილში, კენიელი **ვივიან ჩერუიოტი**. ის არ აპირებს ტიტულების დაცვას.



ოსკარ პისტორიუსი

30 წლის სპორტსმენის თქმით, ის გარკვეულ ხანი პაუზის აღებას აპირებს კარიერაში. 2012 წლის ოლიმპიადაზე ჩერუიოტმა ვერცხლი აიღო 5000 მეტრზე და ბრინჯაო - 10000 მეტრზე.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ევრო 2013**

**UNDER 19**

| | |
|---|---|
| უკრაინა-იტალია | 0:1 |
| რუსეთი-თურქეთი | 1:2 |

**ამხანაგური მატჩი**

| | |
|---|---|
| ომანი-ირანი | 3:1 |

**იტალია**

**სერია A/B. პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| ბრეშა-ლივორნო | 1:1 |
| ნოვარა-ემპოლი | 1:1 |

**გერმანია**

**რეგიონალლიგა (ჩ)**

| | |
|---|---|
| ობერნოილანდი-რედენი | გადაიდო |

**რეგიონალლიგა (ჩ-ა)**

| | |
|---|---|
| ბერლინერი-კოტბუსი II | 6:0 |
| გერმანია-ცვიკაუ | 0:0 |
| რატენოვი-კარლ ცაისი | 0:3 |
| ტორგელოვერი-ლოკ ლაიპციგი | 2:5 |

**ნორვეგია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| კრისტიანსუნდი-ჰიოდი | 0:1 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| გეფლე-გიოტებორგი | 1:1 |
| აიკ-იურგორდენი | 1:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| დეგერფორსი-ოსტერსუნდი | 1:0 |
| იონჩოპინგი-ვარნამო | 0:0 |
| ერებრო-ანგელჰოლმი | 1:0 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ადმირა-რაპიდი | 0:2 |
| ავსტრია-მატერსბურგი | 4:0 |
| ტიროლი-შტურმი | 2:1 |
| რიდი-ზალცბურგი | 2:2 |
| ვინერი-პელეტსი | 2:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ვენა-ჰორნი | 3:1 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| სერვეტი-სიონი | 4:0 |

**საბერძნეთი**

**პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| იანინა-ატრომიტოსი | 1:1 |
| ასტერასი-პაოკ | 1:2 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ანაგენისი (ე)-კავალა | 0:1 |
| ანაგენისი (ი)-კალონი | 0:3 |
| აპოლონი-ეთნიკოსი | 1:1 |
| დოქსა-ლარისა | 1:1 |
| ერგოტელისი-ტრასივულოსი | 2:0 |
| ირაკლისი (პ)-პანახაიკი | 0:1 |
| კალითეა-ფოკიკოსი | 2:1 |
| ოლიმპიაკოსი (ვ)-ირაკლისი (ს) | 1:0 |
| პანსერაიკოსი-ვიცასი | 3:0 |
| პიერიკოსი-პანაიტოლიკოსი | 0:4 |

**თურქეთის თასი**

**ფინალი**

| | |
|---|---|
| ფენერბაჰჩე-ტრაბზონი | 1:0 |

**კვიპროსის თასი**

**ფინალი**

| | |
|---|---|
| აელ-აპოლონი | 1:2 |

**ლუქსემბურგი**

| | |
|---|---|
| პეტანჟი-დუდელანჟი | 0:4 |
| დიფერდანჟი-რასინგი | 6:2 |
| გრევენმახერი-კაერიენგი | 1:0 |
| ჟონესი (ე)-ფოლა | 1:5 |
| ჰამი-პროგრესი | 2:2 |

| | |
|---|---|
| უნიონი-ჟონესი (კ) | 0:2 |
| ეტცელა-ვილტცი | 3:2 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ბანიკი-დუკლა | 2:2 |
| იულავა-სლოვაცკო | 1:1 |
| ბოლესლავი-იაბლონეცი | 1:1 |
| სლავია-ბუდეიოვიცე | 3:0 |
| სიგმა-პლზენი | 0:1 |
| ბრნო-სპარტა | 3:2 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| მოსტი-კარვინა | 2:0 |
| ჩასლავი-ზნოიმო | 0:1 |
| ტაბორსკო-ვარნსდორფი | 1:3 |
| სოკოლოვი-ოპავა | 1:0 |
| უსტი-ვლაშიმი | 0:1 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| შენიცა-მორავცე | 1:0 |
| მიიავა-კოშიცე | 1:0 |
| სლოვანი-ნიტრა | 4:0 |
| ტრენჩინი-რუჟომბეროკი | 5:0 |
| ტრნავა-ბისტრიცა | 0:1 |
| ჟილინა-პრეშოვი | 0:1 |

**უკრაინის თასი**

**ფინალი**

| | |
|---|---|
| შახტარი-ჩერნომორეცი | 3:0 |

**ხორვატიის თასი**

**ფინალი. II მატჩი**

| | |
|---|---|
| ლოკომოტივა-ჰაიდუკი | 3:3 (1:2) |

**სერბეთი**

| | |
|---|---|
| ბორჩა-იაგოდინა | 1:2 |
| დონი შრემი-ჰაიდუკი | 1:0 |
| სპარტაკი-ოფკ | 0:2 |
| ნოვი პაზარი-რადი | 4:0 |
| რადნიჩკი 1923-ვოივოდინა | 2:0 |
| რადნიჩკი-იავორი | 2:0 |
| ცრვენა ზვეზდა-სლობოდა | 1:2 |
| სმედერევო-პარტიზანი | 0:2 |

**სლოვენია**

| | |
|---|---|
| ალუმინი-პუბლიკუმი | 1:3 |
| დომჟალე-გორიცა | 3:0 |
| კოპერი-ოლიმპია | 0:1 |
| რუდარი-მარიბორი | 3:1 |
| ტრიგლავი-მურა | 0:2 |

**უნგრეთის თასი**

**ფინალი**

| | |
|---|---|
| დერბეცენი-დიორი | 2:1 |

**რუმინეთის თასი**

**1/2 ფინალი. II მატჩი**

| | |
|---|---|
| ასტრა-კლუჟი | 0:2 (0:0) |

**ბულგარეთი**

| | |
|---|---|
| ბოტევი-მონტანა | 3:1 |
| ეტარი-ლევსკი | 0:3 |
| ლიტექსი-ლოკომოტივი (ს) | 1:2 |
| ლოკომოტივი (პ)-ბეროე | 1:2 |
| მინიორი-ჩერნო მორე | 0:2 |
| სლავია-ჩერნომორეცი | 3:0 |
| ცსკა-პირინი | 3:0 |
| ლუდოგორეცი-ბოტევი | 2:0 |

**ბელარუსი**

| | |
|---|---|
| ბელშინა-დინამო (მნ) | 1:1 |
| მინსკი-შახტიორი | 0:1 |

**ლიტვა**

| | |
|---|---|
| ტაურასი-ჟალგირისი | 0:7 |
| ეკრანასი-ბანგა | 4:1 |

**ჩერნოგორიის თასი**

**ფინალი**

| | |
|---|---|
| ბუდუჩნოსტი-სელიკი | 1:0 |

**აზია**

**ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| კაშივა-ჟეონბუკი | 3:2 |
| გუანგჯოუ-სენტრალ კოუსტი | 3:0 |
| ლეხვიია-ალ ჰილალი | 2:2 |
| ესტეგლალი-ალ შაბაბი | 0:0 |

**იაპონიის თასი**

| | |
|---|---|
| შონანი-კავასაკი | 1:1 |
| შიმიცუ-იოკოჰამა | 1:2 |
| ივატა-კოფუ | 1:1 |
| ნაგოია-ნიიგატა | 2:1 |
| სერეზო-კაშიმა | 2:1 |
| ტოსუ-ოიტა | 2:3 |

**პარაგვაი**

| | |
|---|---|
| დეპ. კარაპეგუა-პრეზიდენტე | 1:2 |
| ნასიონალი-დეპ. კაპიატა | 2:1 |
| სოლ დე ამერიკა-ხენერალ დიასი | 3:1 |

### კალათბურთი

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| ნანტი-შალონი | 103:91 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ბამბერგი-ბაიერნი | 85:98 |

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| პანათინაიკოსი-იკაროსი | 88:57 |
| ოლიმპიაკოსი-აპოლონი | 77:63 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| მილანი-მონტეპასკი | 80:90 |

### ჩოგბურთი

**ATP. დიუსელდორფი**

| | |
|---|---|
| ტიპსარევიჩი-პეია | 6:7, 1:6 |
| მონაკო-გემი | 6:4, 6:4 |
| კამკე-ბედენე | 6:1, 6:4 |
| ჟემლია-ტროიცკი | 3:6, 6:7 |
| ნიემინენი-ბაუტისტა აგუტი | 6:4, 5:7, 6:3 |
| ჰაასი-დოდიგი | 3:6, 6:4, 7:5 |
| ბრანდსი-ჰაიეკი | 1:6, 0:6 |
| სისლინგი-კოლშრაიბერი | 3:6, 6:3, 6:4 |

**ATP. ნიცა**

| | |
|---|---|
| როჟე ვასელენი-ბერანკისი | 2:6, 6:4, 6:2 |
| მონტანიესი-ჰანესკუ | 7:5, 7:6 |
| კუერი-სტახოვსკი | 7:5, 6:3 |
| ლუ-ანდუხარი | 2:6, 0:6 |
| ბერლოკი-მატიო | 5:7, 6:3, 3:6 |
| ისნერი-ჰაასე | 4:6, 6:1, 5:7 |
| რუფენი-სიმონი | 4:6, 3:6 |

**WTA. ბრიუსელი**

| | |
|---|---|
| კანეპი-ციბულკოვა | 6:4, 7:6 |
| სტივენსი-პირონკოვა | 6:3, 2:6, 6:3 |
| პუტინცევა-ვან უიტვანკი | 6:1, 6:0 |
| ჟანგი-რიბარიკოვა | 6:1, 6:3 |
| არვიდსონი-პენგი | 3:6, 0:6 |
| ვანდევეგე-გორგესი | 1:6, 5:7 |
| ვიკმაიერი-ჰემპტონი | 6:1, 3:6, 4:6 |
| ჟენგი-ბურდეტი | 6:2, 4:6, 6:3 |
| ოპრანდი-ოუდინი | 6:2, 6:2 |
| ჩეპელოვა-კანეპი | 3:6, 3:6 |
| ფლიპკენსი-კისი | 6:4, 1:6, 6:2 |
| სტივენსი-ჟანგი | 6:4, 6:0 |
| გოვორცოვა-პენგი | 6:4, 6:7, 6:7 |
| ვოზნიაცკი-ჟენგი | 2:6, 4:6 |
| ლეპჩენკო-ბალტაჩა | 6:2, 6:0 |
| ოპრანდი-გორგესი | 6:3, 6:0 |

**WTA. სტრასბური**

| | |
|---|---|
| ჯორჯი-ბუშარი | 3:6, 0:6 |
| დევისი-ჰრადეცკა | 2:6, 2:6 |
| როჯერსი-სხეპერსი | 6:2, 3:6, 4:6 |
| ტატიშვილი-ნიკულესკუ | 4:6, 6:3, 6:2 |
| ტორო ფლორი-პენეტა | 2:6, 3:6 |
| დოი-ჰსიე | 6:4, 4:6, 7:6 |
| ლარსონი-რაზანო | 6:3, 6:3 |
| კორნე-ლინეტი | 6:3, 6:4 |

## TV პროგრამა

**23 მაისი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-დორტმუნდი.
13:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXXIV ტური. ჰანოვერი-ფორტუნა.
14:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXXVIII ტური. ჩელსი-ევერტონი.
16:00 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. დორტმუნდი-შახტარი.
18:00 არგენტინის ჩემპიონატი. XIV ტურის მიმოხილვა.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXXVIII ტური. ტოტენჰემი-სანდერლენდი.
21:00 ევროპის ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
22:00 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. ბაიერნი-ბარსელონა.
00:00 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. დორტმუნდი-რეალი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერ იუნ.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. მაიამი-ინდიანა. I მატჩი.
15:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. აუგსბურგი-ფიურტი.
17:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჩემპიონის გზა. ტულონი-ლესტერი.
19:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
20:00 კალათბურთი. ევროლიგა. ჩემპიონის გზა. მაკაბი-ოლიმპიაკოსი.
22:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
23:00 მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ბოსტონ სელტიქსი. 1983-84 წლები. II ნაწილი.
00:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. მაიამი-ინდიანა. I მატჩი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი.
12:45 სპორტ-NEWS.
13:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი.
14:25 საჩოგბურთო პროგრამა - მატჩ-პოინტი.
15:05 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. სტრასბური. საფრანგეთი (LIVE).
18:45 სპორტ-NEWS.
19:15 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
20:05 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ნიცა. საფრანგეთი (LIVE).
23:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი.

## ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 11 | 29 | (მზე) |
| ქუთაისი | 19 | 33 | (მზე) |
| ბათუმი | 20 | 28 | (მზე) |
| ფოთი | 19 | 29 | (მზე) |
| ზუგდიდი | 17 | 32 | (მზე) |
| გორი | 8 | 30 | (მზე) |
| თელავი | 11 | 27 | (მზე) |
| სიღნაღი | 10 | 26 | (მზე) |
| ბაკურიანი | 5 | 22 | (მზე) |
| ბორჯომი | 7 | 26 | (მზე) |
| მესტია | 9 | 26 | (მზე) |

## ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1153 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6360 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.4692 |
| 100 რუსული რუბლი | 5.2389 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფოტო-NEWS

## სამი ფერარის ფასის საღეჭი რეზინი

„მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი მთავარი მწვრთნელის სერ **ალექს ფერგიუსონის** ბოლო საღეჭი რეზინი eBay-ის აუქციონზე 592 ათას დოლარად გაიყიდა.

საღეჭი რეზინი ინტერნეტ-აუქციონს გულშემატკივარმა მიაწოდა. ის ამტკიცებს, რომ ეს ძვირფასი ნივთი „ჰოტორნის" სტადიონის მინდვრიდან აიღო. სწორედ ამ მოედანზე ითამაშა „მანესტერმა" პრემიერლიგის ბოლო ტურში „ვესტ ბრომვიჩის" წინააღმდეგ. ეს იყო ფერგიუსონის ბოლო მატჩი „იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელის რანგში.

მყიდველს უზარმაზარი თანხის გადახდამ მოუწია - 592 ათას დოლარზე მეტი. მთელი თანხა ქველმოქმედებას მოხმარდება, - იტყობინება ინგლისური გამოცემა Metro. გამოდის, რომ სერ ალექსის ნახმარი საღეჭი რეზინი დაახლოებით იგივე ღირს, რამდენიც სამი Ferrari 458 Italia.



ფერგის ბოლო საღეჭი რეზინი

ჩოგბურთი

## ენდის როლან გაროსზე ვერ ვნახავთ...

მოახლოებული როლან გაროსის წინ, შესამჩნევად გაღარიბდა მამაკაცთა სატურნირო ბადე. არგენტინელი **ხუან მარტინ დელ პოტროს** შემდეგ, საფრანგეთის ღია პირველობაზე თამაში იუარა მსოფლიოს მეორე ჩოგანმა, ბრიტანელმა **ენდი მარეიმ**.

შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას, რომის მასტერსზე მარეიმ მეორე წრის მატჩი შეწყვიტა ესპანელი **მარსელ გრანოლერსის** წინააღმდეგ, რისი მიზეზიც ზურგის ტრავმა იყო. უკვე მაშინ ენდიმ განაცხადა, რომ სავარაუდოდ, ვერ მოასწრებდა როლან გაროსისთვის აღდგენას. გუშინ, ამის შესახებ ოფიციალურად გამოცხადდა.

*„ეს იყო ძალიან რთული გადაწყვეტილება, რადგან ყოველთვის მომწონდა პარიზში გამოსვლა. მაგრამ სხვადასხვა სამედიცინო პროცედურის მიუხედავად, ვერ მოვასწარი ფიზიკური ფორმის აღდგენა"*, - განაცხადა მარეიმ.

ასევე ვერ შეძლებს საფრანგეთის ღია პირველობაზე თამაშს ორი ამერიკელი ჩოგბურთელი - **მარდი ფიში** და **ბრაიან ბეიკერი**.

31 წლის ფიშს, რომელიც რეიტინგში 41-ე ადგილს იკავებს, კვლავაც გულთან დაკავშირებული პრობლემები აქვს, რაც შეეხება 28 წლის ბეიკერს (73-ე ჩოგანი), მან ვერ მოასწრო მარჯვენა მუხლზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ გამოჯანმრთელება.

უკვე ცნობილია, რომ ამერიკელებს ძირითად ბადეში პორტუგალიელი **ჟოაო სოუზა** (123) და არგენტინელი **გვიდო პეია** (101) შეცვლიან.

დაბოლოს, გუშინ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ არის როლან გაროსზე შვეიცარიელი **სტანისლას ვავრინკას** თამაში.



ენდი მარეი

ფორმულა 1

## პილოტებმა წააგეს

მონაკოში გაიმართა ტრადიციული საფეხბურთო მატჩი პილოტების ნაკრებსა და მონაკოს თავად **ალბერ II**-ის „ვარსკვლავების გუნდს" შორის. თავად ალბერ II სტადიონზე არ გამოჩენილა, სამაგიეროდ, შეხვედრას ესწრებოდა მისი და **კაროლინა**. მატჩის წინ, ბურთის სიმბოლური დარტყმა შეასრულა კაროლინას ქალიშვილმა **შარლოტა კაზირაგიმ**.


ალონსო და ჯოკოვიჩი მოწინააღმდეგეები იყვნენ

თავიდან, პილოტების გუნდს შესამჩნევი ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობა ჰქონდა. პირველი დარტყმა პირველივე წუთზე **ფელიპე მასამ** შეასრულა. მე-9 წუთზე სახიფათო საჯარიმო შეასრულა **ფერნანდო ალონსომ**, მაგრამ „ვარსკვლავების" მეკარემ ქვედა კუთხიდან „გამოაძრო" ბურთი. შემდეგ გოლის გატანის რამდენიმე კარგი შანსი დაკარგა **სერხიო პერესმა**.

თანდათან ინიციატივა ალბერ II-ის გუნდის მხარეს გადავიდა. 28-ე წუთზე მან ანგარიშის გახსნის შესანიშნავი შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან - პენალტი ვერ გამოიყენა. „მილანის" ყოფილმა ფეხბურთელმა **მარკო სიმონემ** პირდაპირ კარში არ დაარტყა - **ნოვაკ ჯოკოვიჩს** დაუგორა, მაგრამ მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ააცილა.

რამდენიმე წუთის შემდეგ, მარკო სიმონემ მაინც გაიტანა მატჩში პირველი გოლი. ამჯერად, ფეხბურთელმა ყველაფერი თავად გააკეთა - საჯარიმოს გარედან ზუსტად „ცხრიანში" გაარტყა ბურთი. 38-ე წუთზე ორამდე გაზარდა ანგარიში **პოლ-ნოელ ეტორიმ** - ახალგაზრდა მეკარემ, რომელიც „მონაკოს" აღზრდილია.


ფერნანდო ალონსოს ჯარიმა

ავტომრბოლების გუნდში გამოირჩეოდა GP2-ის სერიის პილოტი **სტეფანო კოლეტი**, რომელიც კარგად მუშაობდა მარჯვენა ნახევარმცველის პოზიციაზე. 42-ე წუთზე პილოტებმა ერთი გოლი გაქვითეს - **ჟიულ ბიანკიმ** ზუსტი გადაცემით სერხიო პერესი გაიყვანა დასარტყმელად და მექსიკელმა არ ააცილა. შესვენებაზე გუნდები 2:1-ით გავიდნენ.

მეორე ტაიმის მეხუთე წუთზე, ალბერ II-ის გუნდმა ორბურთიანი უპირატესობა აღადგინა - ძლიერი შორეული დარტყმით თავი გამოიჩინა „მონაკოს" ყოფილმა ფეხბურთელმა **კამპიმ**. პილოტების გუნდმა მეტოქეს შეცვლებით უპასუხა - მინდორზე გამოჩნდა პროფესიონალი ფეხბურთელი, „მონაკოს" აღზრდილი **სიმონელი**. მე-15 წუთზე **სერხიო პერესი** შეცვალა ახალგაზრდა პილოტმა **ნათანიელ ბერტონმა**. სულ მალე ფელიპე მასას ნაცვლად მოედანზე გავიდა **კევინ ჩენკონი**.

„ხმაურიანი" შეცვლა ჰქონდათ „მასპინძლებს" - შემადგენლობაში გამოჩნდა მმართველი დინასტიის წარმომადგენელი **პიერ კაზირაგი**. 28-ე წუთზე მან გოლის გატანის რეალური შანსი გაუშვა ხელიდან - კარიდან ორი-სამი მეტრის მოშორებით ბურთს ფეხი ააცილა.

მეორე ტაიმის 31-ე წუთზე სიმონელიმ ხელსაყრელი პოზიციიდან დაარტყა, მაგრამ ძელს მოახვედრა. ერთი წუთის შემდეგ, ჯოკოვიჩის კარგი პასი კაზირაგიმ ვერ გამოიყენა. 36-ე წუთზე სიმონელიმ ერთი ერთზე გაიყვანა გერმანელი ავტომრბოლი **მარო ენგელი**, რომელმაც იოლად მოატყუა მეკარე და სხვაობა შეამცირა - 2:3.

ძირითადი დროის ბოლო წუთზე შესანიშნავი მომენტი შექმნა ენგელმა - გერმანელმა საჯარიმოს გარედან სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ ძელს გაარტყა. ერთი წუთის შემდეგ კი საფინალო სასტვენი გაისმა, რომელმაც ალბერ II-ის გუნდის გამარჯვება დააფიქსირა - 3:2.

## ექლსტოუნი არ გაუშვეს

ფორმულა 1-ზე კომერციული უფლებების მქონე საინვესტიციო კომპანია CVC-ის დირექტორთა საბჭომ სპეციალური სხდომა ჩაატარა. გადაწყდა, რომ 82 წლის ბრიტანელი **ბერნი ექლსტოუნი** შეინარჩუნებს „დიდი ცირკის" გენერალური პრომოუტერის პოსტს. და ეს იმის მიუხედავად, რომ ექლსტოუნი ფიგურანტად გადის კორუპციისა და მექრთამეობის საქმეში. ბრიტანელმა განაცხადა, რომ მისი უფლებამოსილება არც დამდგარა დღის წესრიგში იმის მიუხედავად, რომ გერმანული და ბრიტანული პრესა საპირისპიროს წერდა.

*„ყველამ მხარი დაუჭირა ჩემს პოსტზე დატოვებას, - განაცხადა ექლსტოუნმა. - ასე იქნება იქამდე, სანამ ჩემს ბრალეულობა არ იქნება დამტკიცებული".*


ბერნი ექლსტოუნი

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
9 772233 382000
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გოტფრიდ ლენცი**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).
*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge* ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:00
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608